F1191 ლ 12329
ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვირის პალიტრა
## ყოველკვირეული გაზეთი

№26 (591) ◆ 26 ივნისი – 2 ივლისი. 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995



### რუსეთის თავმოყვარეობა არ მისცემს იმის უფლებას, რომ პატარა საქართველოს გულისთვის დაგუქსონ

როდესაც მედია შენს ხელთ არის, ბევრი რამის მოგვარება და ისე წარმოჩენა შეგიძლია, როგორც გჭირდება გვ.3

### „საქართველოს ჯერ არ დაუმსახურებია, რომ პატივი ვცეთ მის სუვერენიტეტს“



„თქვენმა მინისტრმა მთელ რუსეთს შეურაცხყოფა მიაყენა“ გვ.8

*სერგეი მარკოვი:* ნატოს წარმომადგენლებმა რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებაში, სეპარატიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულეს და აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდაზე პასუხისმგებლობა რუსულ მხარეს დააკისრეს.

### „რა ლაშქრობა და რა „დიდი მონღოლობაა“ ეს?“





რადგან ოპოზიციაში ვართ, ჩვენ გამო ქართული ენაც მსხვერპლად შესწირეს გვ.6

„ისიც გვითხრეს, დაშინების მიზნით რამდენიმე კაცს დააპატიმრებენო...“

გიორგი ხუბუა: სირცხვილია, იმის მტკიცება რომ მჭირდება, ქართული ეროვნული მიმართულებით ვიმუშავებ-მეთქი.

### სანამ ყვარელი დურუჯს ჩაუნთქავს

ხელისუფალნო, მდინარის გაცოფება ყოველ წამს არის მოსალოდნელი! გვ.31

### მოსკოვურ ბომონდში შემთხვევით ვერავინ ხვდება

გვ.20,37



„ქეთა ზედმეტ სიტყვას არავის ათქმევინებს“

### ასლანმა მაშინ ლოთის პისტოლეტი აჩუქა

*ავთანდილ მარგიანი:* ის ხალხი, რომელიც ზვიადის გვერდით იყო, ხშირად გადაწყვეტილებებს აცვლევინებდა... გვ.14

„შევარდნაძე უჭკვიანესი კაცია, მაგრამ გული არ აქვს“

### ეკონომიკა:

გვ.27



გაზის მნიშვნელოვნად გაძვირება გარდაუვალია...

### ამ ომში ოქრუაშვილი ჯერჯერობით ღიად არ ერევა

გვ.7



„კომპრომატებით ომი“ და „დიდი განაწილება“ პრეზიდენტის გარემოცვაში

### ვინ მოკლა აკადემიკოსი და რატომ გადმოხტა მეექვსე სართულიდან 70 წლის მეცნიერ-თანამშრომელი

ვის კორუფციულ ინტერესებს შეეწირნენ ღვაწლმოსილი მეცნიერები გვ.5,11

### პოლიტიკური მნიშვნელობის სასამართლო პროცესი

გვ.5




„მე ვთხოვ ხალხს, დაიცვან თავიანთი შვილები“

უნდათ თუ არა დონაძესა და მიქაძეს, პასუხი უნდა გასცენ კითხვას...



„ვისი ბრძანებით გააჩინეს იარაღი შემთხვევის ადგილზე?!“

## თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პუტინის შემდეგ ბუშს ესტუმრება



ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მიესალმება ქართველი კოლეგის მომავალ სტუმრობას, რომელიც 2006 წლის 5 ივლისს არის დაგეგმილი.

„თეთრი სახლის" ადმინისტრაციამ ამასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა, სადაც აღნიშნულია, რომ „ვარდების რევოლუცია" იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა თანამედროვე ისტორიაში, რამაც სხვა ქვეყნებსაც უბიძგა თავისუფლებისთვის ბრძოლისკენ. საქართველო არის უმნიშვნელოვანესი ქვეყანა კავკასიაში და ღირებული პარტნიორი ტერორიზმთან ბრძოლაში.

5 ივლისს დაგეგმილ შეხვედრაზე ჯორჯ ბუში და მიხეილ სააკაშვილი ისაუბრებენ საქართველოში დემოკრატიის განვითარებაზე, იმ ცვლილებებზე, რომლებიც ბუშის 2005 წლის 9-10 მაისს საქართველოში ვიზიტის შემდეგ მოხდა.

შეხვედრაზე ასევე განიხილება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების პერსპექტივები, თანამშრომლობა ენერგოუსაფრთხოების საკითხებში, თანამშრომლობა საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების რეალიზაციასა და ერთობლივ მუშაობაში მსოფლიოში მშვიდობის და უსაფრთხოების დამყარების თვალსაზრისით.

## პრეზიდენტს ვერ გაუგია, რატომ არაფერი შენდება ბორჯომში

ბათუმში რეგიონების გუბერნატორებთან შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლება ქვეყნის ასაღორძინებლად ახალ პროგრამას იწყებს. ამასთან, გაირკვა, რომ ამიერიდან მარეგულირებელი კომისიები ქუთაისში დაიდებენ ბინას, სადაც ასევე აშენდება სამთავრობო ცენტრი. ბათუმში კი, სავარაუდოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაში, საკონსტიტუციო სასამართლო განთავსდება.

პრეზიდენტმა ბათუმის შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამცხე-ჯავახეთის რეგიონს. გუბერნატორ გოგა ხაჩიძეს კატეგორიულად მოსთხოვა გაკოტრების პირას მისული სასტუმროების კანონის ფარგლებში გაყიდვა. „აბსურდია აჭარაში ამდენი სასტუმრო რომ შენდება, ბორჯომში კი თითქმის არაფერი. აქ რაღაც პრობლემაა, რომლის მოგვარებაც ჩვენი საქმეა და ძალიან სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი. არ მესმის, რატომ არის გაჩერებული ამდენი სასტუმრო დღემდე. ჩამოართვით მეპატრონეს და გაყიდეთ. აღარ შემიძლია გავერანებულ-გაპარტახებული ბორჯომის ცენტრის დანახვა". — განაცხადა შეხვედრაზე სააკაშვილმა.

## ზურაბიშვილი უარს ამბობს პირად დაცვაზე



პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი პირადი დაცვის დანიშვნის შესახებ ხელისუფლების შემოთავაზებაზე საჯაროდ უარის თქმის მიუხედავად, საკუთარ უსაფრთხოებაზე მთელ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს.

„მე საზოგადოების ერთ-ერთი წევრი ვარ. პრეზიდენტი და ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი არველაძემ პირადი დაცვის დანიშვნა ჩემი თანაშემწის საშუალებით შემომთავაზა", — განაცხადა ზურაბიშვილმა.

მას, როგორც ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს, ვერ გაუგია, რას ნიშნავს ხელისუფლების მხრიდან არასაჯარო შეთავაზება პირადი დაცვის დანიშვნის შესახებ.

ხელისუფლებამ პირადი დაცვის დანიშვნა კობა დავითაშვილის ლიკვიდაციის მცდელობის შემდეგ მთელ ოპოზიციურ სპექტრს შესთავაზა. სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის კობა დავითაშვილის წინააღმდეგ დაგეგმილ და პოლიციის მიერ გახსნილ ტერაქტის მცდელობას ფარსად აფასებს და აცხადებს, რომ ხელისუფლების მიერ დადგმულ სპექტაკლებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს.

## — ეს ფანტასტიკაა!..



„რესპუბლიკური პარტია" ცესკოს მიერ წარმოდგენილ პირველად საარჩევნო სიებს საეჭვოდ მიიჩნევს.

„რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთ ლიდერს თინათინ ხიდაშელს არ სჯერა, ცესკოს მონაცემებით დღეს ხმის მიცემის უფლების მქონე 3 მილიონ 200 ათასი ადამიანი თუ ცხოვრობს საქართველოში. — ეს ელემენტარულად ფანტასტიკაა! — აცხადებს ხიდაშელი.

მისი თქმით, საარჩევნო სიებში ძალზე ბევრი დარღვევაა. არჩევნებისთვის ისევ „ემზადებიან" გარდაცვლილები და არარსებული პირები.

— ცესკოს მიერ დასახელებული ამომრჩეველთა რიცხვი თავისთავად მიანიშნებს ხელისუფლების ინტერესებზე, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ არჩევნებთან. რესპუბლიკური პარტია სიების შედგენის თაობაზე მონიტორინგს კვლავაც განახორციელებს, — განცხადა ხიდაშელმა.

## საქართველოს რუმინეთის მხარდაჭერა სჭირდება

რუმინეთს საქართველოში ახალი ელჩი ჰყავს. დან მიხაი ბარლიბამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გელა ბეჟუაშვილს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა. ამის შემდეგ გაიმართა შეხვედრა, სადაც საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა და ელჩმა ორმხრივი ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები და სამომავლო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები განიხილეს. გელა ბეჟუაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რუმინეთის გამოცდილება და მხარდაჭერა.

## „სიკვდილის ბრიგადები" — ჯანდაცვაში



„ლეიბორისტთა" ლიდერის, შალვა ნათელაშვილის განცხადებით, ხელისუფლებამ ჯანდაცვის სისტემაში „სიკვდილის ბრიგადები" შექმნა. „ლეიბორისტები" ოპერაციებზე ტარიფების გაძვირებას აპროტესტებენ.

— ამ ნაბიჯით საქართველოს პრეზიდენტმა თავის ხალხს ოფიციალურად სიკვდილი გამოუწერა!.. — განაცხადა ნათელაშვილმა და პრეზიდენტ სააკაშვილს „სიკვდილაშვილი" უწოდა. ნომერ პირველმა ლეიბორისტმა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელ ნაწილს მოუწოდა თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება საპროტესტო აქციებზე დააფიქსირონ. „ლეიბორისტებმა" საგანგებო წერილით მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასაც მიმართეს.

## პატრიარქმა საგანგებო პარაკლისი აღავლინა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი დაძაბულობის მოსაგვარებლად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წმინდა სამების საკათედრო ტაძარში საგანგებო პარაკლისი აღავლინა. ტაძარში იმყოფებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებიც. პატრიარქი იმედოვნებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. პროფესორ-მასწავლებლები და რექტორი გაუგებენ ერთმანეთს და მოვლენები დასრულდება ისე, როგორც საქართველოს კეთილდღეობას სჭირდება.

## მოლაშვილის განაჩენი ძალაში დატოვეს



უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ადვოკატების შუამდგომლობა, რითაც დაკავებულისთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის გაუქმებას მოითხოვდნენ. კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სასჯელის ზომა არ შეუმსუბუქეს და კვლავაც რვა წლით პატიმრობა მიესაჯა. სასამართლოში საბოლოო განაჩენის გამოცხადება ემოციური რეპლიკებით გააპროტესტეს მოლაშვილის მეუღლემ და მამამ. დაკავებულის ერთ-ერთმა ადვოკატმა იოსებ ბარათაშვილმა კი აღნიშნა, რომ საქართველოში მხოლოდ დაკვეთით ხდება განაჩენების გამოტანა. მისი თქმით, სასამართლოს ამგვარი განაჩენი ქვეყნის ნგრევის სერიოზული ნიშანია. ადვოკატები უახლოეს ხანში ევროპის ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლოს სარჩელით მიმართავენ, სადაც მოლაშვილის საქმის არსებით განხილვას მოითხოვენ. როგორც ადვოკატმა ბარათაშვილმა აღნიშნა, განაჩენის თანახმად დგინდება, რომ მოსამართლეთა კოლეგიის ერთ-ერთი მოსამართლე არ დაეთანხმა სხვების გადაწყვეტილებას.

ბადრაგის წევრებმა მოლაშვილი სასამართლო დარბაზიდან ისე გაიყვანეს, რომ მას ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთების საშუალება არ მიეცა.

## ექიმებს კვლავ გულგრილობაში სდებენ ბრალს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლების ხელმძღვანელობით ექსჰუმაცია ჩაუტარდება 21 წლის რატი გვალიას ცხედარს. გარდაცვლილის ოჯახის წევრები მოითხოვენ „განსაცდელში მიტოვების" მუხლით აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ქალაქ ბათუმის საავადმყოფოს მედპერსონალის წინააღმდეგ. მათ მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდა პაციენტის სიკვდილში ბრალი ექიმებს მიუძღვით. საქმეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა იძიებს. სოფელ ურეხში მცხოვრები რატი გვალია 21 მაისს გარდაიცვალა ნაწლავების დაავადების დიაგნოზით — შეხორცებითი გაუვალობით. მას ბათუმის საავადმყოფოში გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთდა. მკურნალი ექიმის აკაკი ბერიძის თქმით, ქირურგიულ ჩარევას გართულება არ მოჰყოლია. გარდაცვლილის და ქრისტინე გვალია კი სწორედ მკურნალ ექიმს სდებს ბრალს გულგრილობაში. როგორც ამბობს, მკურნალ ექიმს პაციენტი ორი დღის განმავლობაში არ უნახავს, მესამე დღეს კი კონსილიუმი დაინიშნა. დასკვნის თანახმად, პაციენტს პერიტონიტი (მუცლის ღრუს ანთებითი პროცესი) განუვითარდა, რასაც მეორე ოპერაცია დასჭირდა. 8 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით რატი გვალიას კიდევ ოთხი ქირურგიული კვეთა ჩაუტარდა. ქრისტინე გვალია აცხადებს, რომ ნაწლავებისა და მუცლის ღრუს პრობლემამ ფილტვების დაავადებაც გამოიწვია, რის გამოც ავადმყოფის თბილისში ტრანსპორტირება შეუძლებელი გახდა. სამედიცინო დასკვნით, პაციენტის დაღუპვა ფილტვების უკმარისობამ გამოიწვია, გარდაცვლილის ოჯახს კი მიაჩნია, რომ სიკვდილის მიზეზი არასწორი ქირურგიული ჩარევა და დაგვიანებული სამედიცინო გამოკვლევა გახდა.

## ენგურჰესზე კინაღამ ტრაგედია დატრიალდა



ენგურჰესის სადერივაციო გვირაბში სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების დროს კინაღამ ტრაგედია დატრიალდა. მილი გასკდა და წყლის ძლიერი ნაკადის შედეგად გვირაბში მყოფი რვა მუშა დაშავდა. მათგან ერთი საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა, ექიმების ცნობით, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. გვირაბში სამუშაოები ისევ გრძელდება.

ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, ენგურჰესზე სადერივაციო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. უკვე დაიწყო წყალსაცავის წყლით შევსება და ჰესს ექსპლუატაციაში, სავარაუდოდ, 15 ივლისს გაუშვებენ.

## დამნაშავე დეპუტატს ტელეფონი ჩამოართვეს

საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს უკვე არა მარტო სესიებზე დაუსწრებლობის გამო დასჯიან. ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში პირველად დეპუტატის ტელეფონის „კონფისკაცია" განახორციელა.

პარლამენტში ეთიკური ნორმების დამრღვევ დეპუტატ კობა ფხაკაძეს ვიცე-სპიკერის ბრძანებით ტელეფონი მანდატურმა ჩამოართვა. როგორც გაირკვა, პარლამენტარები მამუკა გაჩეჩილაძე და კობა ფხაკაძე მობილურით ცდილობდნენ ვან ბაიბურთის გართობას აზერბაიჯანული მელოდიებით. სწორედ ამ „მზრუნველობას" შეეწირა კობა ფხაკაძის მობილური ტელეფონი.

მიხეილ მაჭავარიანის განმარტებით, მობილური ტელეფონი პატრონს აღარ დაუბრუნდება(!).

## საქართველოს პირველმა ქალბატონმა „ნათლობის რიტუალი" ჩაატარა



— დღემდე რვა ბავშვი მოვნათლე. ვერ წარმომედგინა, რომ თვითმფრინავის ნათლობაც მომიწევდა, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის მეუღლემ სანდრა რულოვსმა მას შემდეგ, რაც ავსტრიული ავიაკომპანიის ერთ-ერთი თვითმფრინავის საჭესთან მოკალათდა და ღია სარკმლიდან საჰაერო ხომალდი შამპანურით გაწუწა. ქალბატონმა რულოვსმა „ნათლულს" „თბილისი" უწოდა. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ პირველ ქალბატონს სიახლის ინიციატორებისგან გადაეცა საქველმოქმედო თვითმფრინავის ბილეთი. იგი მოხმარდება იმ პატარა პაციენტს, რომელსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის დასჭირდება ევროპაში გადაფრენა.

## პატიმრების ნათესავისთვის აკრიტიკებენ

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" სასამართლო ხელისუფლებას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უპირისპირდება. ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე მანანა კობახიძე სასამართლო რეფორმის შედეგებს აკრიტიკებს და შესაბამის უწყებებს მოუწოდებს, პატიმრებისთვის სათანადო პირობების შექმნაზე იზრუნონ. კობახიძე პატიმრების სანამებელ ოთახზეც კი ლაპარაკობს. მისი თქმით,



საქალაქო სასამართლოს შენობის სარდაფში მოთავსებულ 30 კვმ-იან უფანჯრო საბადრაგოში, სადაც არ არის ვენტილაცია, ათეულობით პატიმარს საათობით უწევს ლოდინი. სასამართლოს შენობაში დღემდე ინახება ქიმიური რეაქტივები და სხვადასხვა ნივთიერება, რის გამოც პატიმრები იწამლებიან — არ ჰყოფნით ჟანგბადი და გონებას კარგავენ. „საბადრაგოში პატიმრები მთელი დღე უწყლოდ და საკვების გარეშე არიან. ორიოდე დღის წინ ერთ-ერთი მათგანი რამდენიმე საათის განმავლობაში ითხოვდა წყალს, მაგრამ ბადრაგის ყურადღება მხოლოდ მას შემდეგ მიიქცია, როდესაც საკუთარ ხელზე ხორცი ამოიჭამა. შენობა, რომელშიც სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაა განთავსებული, არ პასუხობს ამ ტიპის დაწესებულებისთვის განკუთვნილ საერთაშორისო სტანდარტებს. მართალია, რემონტი მიმდინარეობს, მაგრამ ეს არ არის საპატიო გარემოება პატიმრების გაუსაძლის პირობებში ჩასაყენებლად", — განაცხადა კობახიძემ.

## ფანები ევროპაშიც მაგრად „უბერავენ"




მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში გერმანია-შვედეთის მატჩის შემდეგ ორი ქვეყნის საფეხბურთო გუნდების გულშემატკივრებმა გერმანელ სამართალდამცველებს სერიოზული „სამუშაო" გაუჩინეს. შვედებმა და გერმანელებმა ჯერ ერთმანეთის გინებით იჯერეს გული, მერე კი ცემა-ტყეპაზე გადავიდნენ. თუმცა, ესეც არ იკმარეს, ლუდის ბოთლებისა და ქვების სროლის თანხლებით ბარებისა და რესტორნების დარბევასაც მიჰყვეს ხელი. პოლიცია იძულებული გახდა აგრესიული ფანები „ვირის აბანოში" მიებრძანებინა, რის გამოც აზარტში შესულმა „პროტესტანტებმა" ერთმანეთის ცემას თავი ანებეს და ახლა პოლიციას შეუტიეს. დაკავებულებს ბრალდებებს ხულიგნობის მუხლით წაუყენებენ და გვარიან ფულად ჯარიმასაც გადაახდევინებენ.

# რუსეთის თავმოყვარეობა არ მისცემს იმის უფლებას, რომ პატარა საქართველოს გულისთვის დატუქსონ



**როდესაც მედია შენს ხელთ არის, ბევრი რამის მოგვარება და ისე წარმოჩენა შეგიძლია, როგორც გჭირდება**

გასული კვირა საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და შეერთებული შტატების ადმინისტრაციის აქტიურობით გამოირჩეოდა. როგორც ჩანს, დიდი რვიანის სამიტისთვის გამალებული მზადება მიმდინარეობს. რუსი პოლიტიკოსები ტრადიციულად ცდილობენ, არ შეიმჩნიონ, თუმცა ალბათ მათ მიერ დაჭერილი თადარიგი – პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრა რუსული იმიჯის სარეაბილიტაციოდ საკმარისი არ აღმოჩნდება... ეუთოს ექსპერტებისთვის თავის შესაცოდებლად საკმარისი არც კოკოითის მიერ ცხინვალში მოწყობილი სახელდახელო მანიფესტაცია აღმოჩნდა – ეუთოს თავმჯდომარემ და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ცხინვალის დე ფაქტო მმართველების ქმედებას საკმაოდ მკაცრი შეფასება მისცეს.

ცოტა არ იყოს, უცნაური მოვლენები ხდება ქართულ მედიასივრცეშიც. სულ რაღაც ექვსიოდე თვის წინ პრეზიდენტ სააკაშვილს უმ ხიტანში (არის ასეთი პატარა ქალაქი სუდანში) გამართულ სტომატოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმის გვერდით რომ ჩაევლო, ქართულ მედიაში პირდაპირი ჩართვა ჩართვაზე მოეწყობოდა, კანცელარიაში კი ამ ფაქტის აღსანიშნავად საზეიმო მიღებას გამართავდნენ... დღეს კი, როდესაც რვიანის სამიტის წინ სააკაშვილი ბუშს ხვდება, საფეხბურთო ტელეშოუებში მონაწილეობით „დაღლილი“ უმრავლესობის ლიდერები ვიზიტის საერთაშორისო მნიშვნელობაზე ხმას არ იღებენ...

გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენებსა და მომავლის პერსპექტივებზე პოლიტოლოგ **ალექსანდრე რონდელს** ვესაუბრებით:

**— დიდი რვიანის სამიტის მოახლოებასთან ერთად, საქართველოში საერთაშორისო საზოგადოების გააქტიურებაც შეინიშნება. გასულ კვირაში სოხუმს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მრჩეველი, მეთიუ ბრაიზა სტუმრობდა. რეალურად, რისი მომასწავებელი შეიძლება იყოს ასეთი გააქტიურება ან რა შედეგების მომტანი იქნება იგი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრის საქმეში?**

— ასეთი კონფლიქტის პირობებში არ უნდა ველოდეთ იმას, რომ სწრაფად შეიძლება რაიმე მოხდეს. მით უმეტეს, რომ კონფლიქტის მეორე მხარის ხელში ბერკეტების უმრავლესობაა თავმოყრილი. ამ მხარეს აბსოლუტურად არ აინტერესებს, რომ უახლოეს მომავალში ეს კონფლიქტი საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდეს. ამიტომ, ბუნებრივია, რაც არ უნდა საერთაშორისო საზოგადოება იყოს ამაში ჩართული და რაც არ უნდა დაინტერესებული იყოს პრობლემის მოგვარებით (ყოველ შემთხვევაში იმ დონეზე, რომელიც საკმაოდ აშკარად ჩანს), რაიმე პერსპექტივაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. თუმცა ის კი ფაქტია, რომ ევროპაც და ამერიკის შეერთებული შტატებიც საქართველოში არსებულ კონფლიქტის კერებს სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ. ამავე დროს ფაქტია ისიც, რომ აფხაზეთის ხელისუფლება უკანასკნელ პერიოდში ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ საერთაშორისო საზოგადოების თვალში თავისი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა დაადასტუროს და დე ფაქტო სახელმწიფოდ წარმოჩნდეს. ასეთივე სწრაფვა აქვს ჩვენს „მეგობარ“ მოსკოვსაც. ამისთვის არჩევნებიც ჩატარდა, გამოკითხვებიც და რეფერენდუმებიც. მართალია, ამ ყველაფერს საერთაშორისო დონეზე არავითარი ლეგიტიმაცია არ გააჩნია, მაგრამ თავისთავად ფაქტი უარყოფითია და გავლენაც მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე შესაბამისად უარყოფითი იქნება. საინტერესოა თავად აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების განწყობაც, რომლის წარმომადგენლებიც თავიანთ სახელმწიფოებრიობაზე აცხადებენ პრეტენზიას და როგორც საქართველოსგან, ისე საერთაშორისო საზოგადოებისგან დამოუკიდებლობის აღიარებას მოითხოვენ. ბუნებრივია, ეს არანაირად არ მოსწონს რუსულ მხარეს. რუსების აზრით, მათ აფხაზებისთვის ეკონომიკური, სამხედრო თუ პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაფერი გაიღეს და დღეს, სოხუმის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, უბრალოდ, მოსკოვის მიმართ გამოჩენილი უმადურობაა. ალბათ, გახსოვთ არცთუ შორეულ წარსულში როგორ განვითარდა მოვლენები, როდესაც აფხაზებმა საკუთარი, ე.წ. პრეზიდენტის არჩევა მოინდომეს. მაშინ რუსული პოლიტიკა აფხაზეთში მარცხს ბეწვზე გადაურჩა და კრემლსა თუ სპეცსამსახურებს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდათ საიმისოდ, კონტროლს მიღმა აღმოჩენილი სიტუაცია რომ განემუხტათ. ამ მოვლენების არც ზედმეტად გადაფასება ივარგებს და არც მთლად შეუფასებლობა – თავისთავად, საინტერესო შემთხვევაა, რომელსაც, ვფიქრობ, თავისი ლოგიკური გაგრძელება მომავალშიც ექნება. ყველაზე ცუდი ფაქტორი ამ კონფლიქტში ის გახლავთ, რომ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთთან მოწმის გარეშე დალაპარაკება არ შეუძლიათ. მართალია, რუსები, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, მოჩვენებითი გულგრილობით აცხადებენ, სხვისი მიწა არ გვჭირდებაო – ფაქტია, რომ ძალიანაც სჭირდებათ. მათი „საქმენი“ ამას გვიჩვენებენ და განსაკუთრებით, აფხაზეთის შემთხვევაში. ამ თავისებურებათა შედეგად საკმაოდ რთული სურათი იქმნება. რაც არ უნდა ობიექტური იყოს ქართული მხარე – ვგულისხმობ კრიტიკულ განწყობას საკუთარი პოლიტიკის მიმართ, საკუთარი შეცდომების აღიარებას და ასე შემდეგ – არავითარი შედეგი ამას არ ექნება, რადგან როგორც მოგახსენეთ, არსებობს კონფლიქტში ძირეულად დაინტერესებული ძალა და საქართველოს მხრიდან შერიგებისთვის გამოთქმული ყველაზე ტოლერანტული განცხადებაც კი მისთვის უბრალოდ, ღიმილის მომგვრელია. რასაკვირველია, ეს არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ ამ მიმართულებით პოლიტიკა უნდა შეცვალოს და უფრო მეტად აგრესიული ან ხისტი გახდეს. როდესაც აცხადებ, რომ დემოკრატიული და მშვიდობიანი ქვეყანა ხარ, შენს მეზობლად მდებარე ბევრად უფრო პატარა და სუსტ სახელმწიფოს არ უნდა ჩაგრავდე და მის გაჭირვებაზე

> აქ უკვე მხოლოდ გალიზიანების ფაქტორი არ არის – სეპარატიზმის საფრთხე და რისკი ყველა ქვეყანაში არსებობს. როდესაც ხედავენ, რომ პატარა კუთხეში, საკმაოდ მცირერიცხოვანმა პოლიტიკურმა ჯგუფმა შეიძლება თავის ხალხს თავგზა აურიოს და მერე მთელი მსოფლიო და საერთაშორისო ორგანიზაციები თავის ჭკუაზე ატაროს, ბუნებრივია, აღარავის აღარ მოსწონს, რადგან პრეცედენტის შექმნა არავის არაფერში სჭირდება...

საკუთარ ხეირს არ უნდა გეგმავდე. ეს კარგად იცის რუსეთმაც და ცდილობს, განცხადებების სახით მაინც, თავი კონფლიქტის ერთადერთ მედიატორად და მომრიგებელ მოსამართლედ გამოაცხადოს. მაგრამ ეს დაახლოებით იგივეა, რაც მგლისა და წითელქუდას ამბავი. რაც არ უნდა შეინიღბოს მგელი, ხმა გაინაზოს და ბებიას დაემსგავსოს, ზღაპრის კითხვისას ამ მომენტში ყველაზე პატარა და გულუბრყვილო ბავშვიც კი ხვდება ხოლმე, რომ მგელს წითელქუდას

> ეს დაახლოებით იგივეა, რაც მგლისა და წითელქუდას ამბავი. რაც არ უნდა შეინიღბოს მგელი, ხმა გაინაზოს და ბებიას დაემსგავსოს, ზღაპრის კითხვისას ამ მომენტში ყველაზე პატარა და გულუბრყვილო ბავშვიც კი ხვდება ხოლმე, რომ მგელს წითელქუდას მოფერება კი არა, შეჭმა უნდა. სწორედ ასეთივე ზღაპარია რუსეთის მხრიდან ქართული კონფლიქტის მოგვარების სურვილი თუ მცდელობაც და ამას საერთაშორისო საზოგადოება ძალიან კარგად ხვდება...

მოფერება კი არა, შეჭმა უნდა. სწორედ ასეთივე ზღაპარია რუსეთის მხრიდან ქართული კონფლიქტის მოგვარების სურვილი თუ მცდელობაც და ამას საერთაშორისო საზოგადოება ძალიან კარგად ხვდება... ის კი არა, დარწმუნებული ვარ, თავის მასკარადზე უკვე ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებსაც ეცინებათ ხოლმე...

**— ასეთ სიტუაციაში თუ შეიძლება არსებობდეს რაიმე საკითხი, შეთავაზება ან უხეშად რომ ვთქვათ, ვაჭრობის საგანი, რაზეც აფხაზი სეპარატისტები ამერიკელებს დანარჩენ საქართველოსთან შერიგების სანაცვლოდ შეიძლება დათანხმდნენ?**

— რუსეთი იმის რუსეთია, რომ თავის სადავო ტერიტორიაზე არავინ არ დაუშვას, თუნდაც ეს ამერიკის შეერთებული შტატები იყოს. თავად განსაჯეთ – წლების მანძილზე რუსეთმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო საზოგადოება არ ყოფილიყო წარმოდგენილი. გაერო, რომელიც დღეს კონფლიქტის რეგიონშია, „დაკოდილი“ ორგანიზაცია გახლავთ და მას რეალურად არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლია. ალბათ, ძალიან უხეში გამონათქვამი გამოვიყენე... თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეგნებულად არ სურს კონფლიქტის მოგვარება ან ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებია. უბრალოდ, ფაქტს ვერსად გავექცევით – რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს სრულუფლებიანი წევრია და ამ ორგანიზაციაშიც ძალზე დიდი გავლენა აქვს. შესაბამისად, რუსეთის ნების გარეშე, ყოველ შემთხვევაში, აფხაზეთს რაც შეეხება, გაერო ვერაფერს გააკეთებს. ასე რომ, ეს ორგანიზაცია სოხუმში, უბრალოდ, შირმად არის წარმოდგენილი, რათა საჭიროების შემთხვევაში რუსეთს სათქმელად ჰქონდეს – როგორ არა, აგერ, ბატონო, აფხ-

> ის ფაქტი, რომ სამიტის წინ პუტინი სააკაშვილს ხვდება, თავისთავად ბევრს ნიშნავს. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სააკაშვილის ვიზიტს შეერთებულ შტატებშიც – როდესაც 5 ივლისს, დამოუკიდებლობის სახელმწიფო დღესასწაულის მეორე დღეს და დიდი რვიანის სამიტის წინ, ამხელა სახელმწიფოს პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში შეხვედრას გთავაზობს, რაღაც სერიოზული და მნიშვნელოვანი ხდება...

აზეთში ამხელა საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებსო. სინამდვილეში კრემლს აფხაზეთში მშვიდობის დამყარების მონოპოლია აქვს აღებული და არავითარ შემთხვევაში ამ ბერკეტის ხელიდან გაშვება არ სურს, რადგან ძალზე ბევრი რუსული პოლიტიკური ძალის მიერ ეს ფაქტი დასავლეთის წინაშე რუსეთის კაპიტულაციად მიიჩნევა. მათთვის, უზარმაზარი და ძლევამოსილი სახელმწიფოსთვის ისეთი „პატარა და უმნიშვნელო“ ქვეყნის წინაშე დათმობა, როგორიც საქართველოა, თვითმკვლელობის ტოლფასია. რუსეთის ხელისუფლებამ რომც მოინდომოს რაციონალიზმის გამოჩენა და ამა თუ იმ ობიექტური ფაქტორის გავლენით კონფლიქტის მოგვარებისთვის ხელშეწყობა გადაწყვიტოს, ამ კომპლექსის დაძლევა მისთვის ძალზე ძნელი იქნება... თუმცა, არა შეუძლებელი – როდესაც მედია შენს ხელთ არის, ბევრი რამის მოგვარება და ისე წარმოჩენა შეგიძლია, როგორც გჭირდება. ამიტომაც, დიდი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტის რეგიონებში საქართველოს მეგობარი ქვეყნების (ჭეშმარიტ მეგობრებს ვგულისხმობ) წარმომადგენელთა ვიზიტს. ამის გარდა, დასავლელმა დიპლომატებმა უნდა სცადონ, აფხაზები უფრო რეალური პოზიციის გამონახვაში დაარწმუნონ.

**— საკმაოდ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ცხინვალის რეგიონშიც. როგორც ცნობილია, ევროპელები, ამერიკისგან განსხვავებით, რუსეთსა და საქართველოში არსებული კონფლიქტური რეგიონების მიმართ გაცილებით უფრო დიპლომატიურები იყვნენ. როდესაც ცხინვალში შესულ ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრს თავისი ორგანიზაციის ადგილობრივ ოფისთან ოსი მოქალაქეების მანიფესტაცია დახვდა, ევროპელებმა საკმაოდ მკაცრი კომენტარი გააკეთეს – შანტაჟის ენაზე დიალოგს არ დავუშვებთო...**

— ერთი მხრივ, თავადაც მოგეხსენებათ, ეუთოს ორგანიზაციაში სხვადასხვა სახელმწიფოა წარმოდგენილი. ამ სახელმწიფოებს რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობები აქვთ და ბუნებრივია, მათი ლოიალური განწყობა თავად ეუთოს მუშაობაზეც აისახებოდა. მაგრამ მეორე მხრივ, რაც დრო გადის, ეს პატარა კონფლიქტი მით უფრო გამაღიზიანებელია. ის, რაც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ხდება, საერთაშორისო თვალსაზრისით ხომ ძალიან პატარა და ზოგჯერ, კომედიური შინაარსის კონფლიქტსაც წარმოადგენს. ბუნებრივია, ეუთოს თავმოყვარეობაც ილახება – ამხელა სახელმწიფოთა მაღალრანგიანი დიპლომატები და წარმომადგენლები ლამის თავზე ევლებიან, ცხინვალში აკითხავენ, ათასგვარ (მათ შორის ფულად) დახმარებებს სთავაზობენ, იქ კიდევ კოკოითი ხვდებათ, თავისი, შეიძლება ითქვას, არასერიოზული ახირებებითა და პრეტენზიებით. და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კონფლიქტის მოწესრიგება გაჯანჯლდეს... ახლა, როგორც არ უნდა უნდოდეს, დედამიწის დაპროექტება კოკოითის შეხედულებების მიხედვით რომ არ მოხდება, მგონი ყველამ უნდა იცოდეს... თან, აქ უკვე მხოლოდ გალიზიანების ფაქტორი არ არის – სეპარატიზმის საფრთხე და რისკი ყველა ქვეყანაში არსებობს. როდესაც ხედავენ, რომ პატარა კუთხეში, საკმაოდ მცირერიცხოვანმა პოლიტიკურმა ჯგუფმა შეიძლება თავის ხალხს თავგზა აურიოს და მერე მთელი მსოფლიო და საერთაშორისო ორგანიზაციები თავის ჭკუაზე ატაროს, ბუნებრივია, აღარავის აღარ მოსწონს, რადგან პრეცედენტის შექმნა არავის არაფერში სჭირდება. მეორე მხრივ, სამხრეთ ოსეთი რუსეთისთვისაც ნამდვილად არ წარმოადგენს იმხელა ინტერესის საგანს, რომ საერთაშორისო საზოგადოების განწყობის გაფუჭებად ულირდეს... ასეთ სიტუაციაში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სახელმწიფოს პოზიციას. შესაძლოა, მოგვბეზრდა კიდეც ამდენ სამშვიდობო ინიციატივაზე ლაპარაკი, ამდენი გეგმის წარდგენა და პრეზენტაცია, მაგრამ როდესაც საერთაშორისო საზოგადოების განწყობა ამგვარად არის შეცვლილი და რუსეთის ფსონიც უკვე დაბალია, საქართველოს პოზიციას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. რაც მთავარია, თავად ადგილობრივი მოსახლეობაც არ უნდა დავივიწყოთ – სულაც არ არის საჭირო ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსი მოსახლეობის დემონიზაცია. ამ ხალხს ომი არაფერში სჭირდება. პირიქით, მშვიდობიანი თანაცხოვრება ენატრებათ, რათა მათ შვილებს უკეთეს სახელმწიფოში, უკეთესი განვითარების პერსპექტივა ჰქონდეთ...

**— დიდი რვიანის შეხვედრის წინ პრეზიდენტი სააკაშვილი ამერიკაში მიემგზავრება. ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებს მომავალ სამიტზე. იმედის მომცემ განცხადებებს აკეთებს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებაც. თუმცა ამავე დროს, რუსეთის ოფიციალური წრეების განცხადებით, „წვრილმანი“ კონფლიქტების განხილვა დიდი რვიანის სამიტზე დროის ფუჭ კარგვად მიაჩნიათ...**

— რუსეთს მართლაც უჭირავს ასეთი პოზა – ამხელა გიგანტი სახელმწიფოები ვიკრიბებით და მაღალ მატერიებზე უნდა ვიმსჯელოთ, რა დროს აფხაზეთი და ოსეთიაო. თუმცა ის ფაქტი, რომ სამიტის წინ პუტინი სააკაშვილს ხვდება, თავისთავად, საპირისპიროს ამტკიცებს. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სააკაშვილის ვიზიტს შეერთებულ შტატებშიც – როდესაც 5 ივლისს, დამოუკიდებლობის სახელმწიფო დღესასწაულის მეორე დღეს და დიდი რვიანის სამიტის წინ, ამხელა სახელმწიფოს პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში შეხვედრას გთავაზობს, რაღაც სერიოზული და მნიშვნელოვანი ხდება. შესაბამისად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება თავად სამიტიც. ნუ დაგვავიწყდება, რომ სამიტი სანქტ-პეტერბურგში იმართება და მისი თავმჯდომარე რუსეთი იქნება. მას თავმოყვარეობა არ მისცემს უფლებას, პატარა საქართველოს გულისთვის დატუქსონ და საყვედურები უთხრან...

***დაჩი გრძელიშვილი***

www.interpressnews.com უახლესი ინფორმაცია ონლაინ რეჟიმში ნახე ეს საიტი!

# „დასავლეთს შეჰპირდნენ, რომ უმრავლესობიდანაც გააგდებდნენ დეპუტატს"

უმრავლესობის წევრის ბადრი ნანეტაშვილის პარლამენტიდან დათხოვნამ საპარლამენტო ურთიერთობების საგულისხმო დეტალები ამოატივტივა. როგორც „კვირის პალიტრამ" გაარკვია, „კუდიანებზე ნადირობას" მწვანე შუქი უმრავლესობაში ვალერი გელაშვილის პარლამენტიდან გაშვების შემდეგ აუნთეს; კერძოდ კი მაშინ, როდესაც ოპოზიციამ სახელისუფლებო გუნდი უცხოურ ორგანიზაციებთან დააბეზღა. სხვა გზა არ იყო, სამართლიანობის დემონსტრირებისთვის უმრავლესობას თავისიანი უნდა გაეწირა, ოღონდ თავიდან ეს ოპოზიციის ხელით სცადეს, ვინმეს უმრავლესობის რღვევაზე რომ არ დაეწყო ლაპარაკი და თან გაწირული თანაგუნდელისთვის სათქმელი ჰქონოდათ — ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ოპოზიციამ ამოგიღო მიზანშიო.

ამ მხრივ დიდი მუშაობა იურიდიულ კომიტეტშიც დაწყებულა. მოუძებნიათ კიდეც დასასჯელი ხალხი — „დამოუკიდებელი მაჟორიტარების", ფაქტობრივად კი უმრავლესობის წევრი ცეზარ ჩოჩელი და „ახალი მემარჯვენე" ირაკლი იაშვილი. იაშვილის განირვა იმითაც იყო სახარბიელო, რომ ამ სვლით „ახლების" ათკაციანი ფრაქცია დაიშლებოდა. კულუარული ინფორმაციით, გელაშვილის გაძევებით განაწყენებულ მის თანაფრაქციელებს შესთავაზეს კიდეც, ჯერ ჩოჩელი და იაშვილი და შეუტიეთო, მაგრამ მათ უმრავლესობის წინადადება არ მიიღეს და ნადირაძისა და ჯუღელის თავები მოითხოვეს. ოპოზიციის მოთხოვნა კი უკვე უმრავლესობას აღარ მოეწონა. ამით მოეღო ბოლო დეპუტატების გაძევების საკითხზე ოპოზიციასთან თანამშრომლობის მცდელობას და უმრავლესობამ ეს თავად იტვირთა პარლამენტის ბიზნესინტერესებისაგან გაწმენდის მოტივით.

ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებებს გვიზიარებენ ოპოზიციისა და უმრავლესობის წარმომადგენლები.

**კახა კუკავა:** — უმრავლესობა რომ აცხადებს, ბიზნესინტერესები ჩვენთან არავის აქვსო, ცოტა სასაცილოა. ტელევიზიით ხშირად აჩვენებენ კადრებს, პრეზიდენტი სააკაშვილი ლუდსახარშ „ნატახტარში" მიდის და აცხადებს (ფაქტობრივად კი ჩვენებას აძლევს): ჩოჩელი გამორჩეულად კარგი მეწარმეაო და შემდეგ აკონკრეტებს, მის საწარმოს არ აწვდიდნენ წყალს და ბუნებრივ აირს, სანამ საქმეში პრემიერ-მინისტრი არ ჩაერიაო; ანუ ის, რაც გელაშვილისა და ნანეტაშვილის შემთხვევაში ეჭვის საგანი იყო, ამჯერად დადასტურებულია და არა მგონია, ჩოჩელმა პრეზიდენტის სიტყვები უარყოს.

**— მაშ რა ნიშნით შეარჩიეს ბადრი ნანეტაშვილი?**

— გელაშვილის პარლამენტიდან დათხოვნის ფაქტს საერთაშორისო წრეებმა მწვავე შეფასება მისცეს. იმ პერიოდში ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, ექსპერტი ბრიუს ჯორჯი ჩამოვიდა (ჩვენც შეგვხვდა) და განაცხადა: არ შეიძლება პოლიტიკური ბრძოლის გამო დეპუტატების პარლამენტიდან გაგდება, თუკი ასე მოხდება, მკვეთრ იურიდიულ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეულიო. მაშინ რატომღაც ნინო ბურჯანაძეს მოხვდა, რომელიც არაფერ შუაში იყო (ვიცი, რომ ის გელაშვილის გაგდების წინააღმდეგი იყო). აპრილში უმრავლესობაში მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება და დასავლეთსაც შეჰპირდნენ, რომ საპარლამენტო უმრავლესობიდანაც გააგდებდნენ ერთ დეპუტატს. სხვათა შორის, თავიდან ნანეტაშვილზე კი არა, ჩოჩელზე იყო ლაპარაკი და კიდევ ერთ ოპოზიციონერ დეპუტატზე. ამით უნდოდათ ვითარების დაბალანსება — მხოლოდ ოპოზიციას არ ვერჩითო, მაგრამ ცეზარ ჩოჩელს პატრონები გამოუჩნდნენ(!). ამასთან, თავადაც საკმაოდ გავლენიანი (ფულიანი) ბიზნესმენია. უმრავლესობას გასაგდებად ისეთი დეპუტატი სჭირდებოდა, რომელიც არც პოლიტიკურად ანგაჟირებული, არც გავლენიანი, არც რომელიმე შიდაჯგუფის წევრი და არც პრეზიდენტთან დაახლოებული იქნებოდა. მოკლედ, ეძებდნენ უფულო და უპატრონო დეპუტატს, რომელსაც გელაშვილს დააკლავდნენ. ძიებაში იყვნენ და ამ დროს სახალხო დამცველმა ახსენა ბადრი ნანეტაშვილი(!) ამის შემდეგ გაჩნდა ნანეტაშვილის გაგდების იდეა. როგორც კი შეირჩა ნანეტაშვილის კანდიდატურა, მაშინვე დაევალა ხათუნა გოგორიშვილს მისი გაძევების ოფიციალურად გაფორმება.

ლუდსახარშ „ნატახტრის" მფლობელი ცეზარ ჩოჩელი, რომელსაც უმრავლესობა პარლამენტიდან უპირებდა დათხოვნას, ბესო ჯუღელის ფრაქციის წევრია. როგორც ამბობენ, სწორედ ჯუღელი გადაეფარა ჩოჩელს და უმრავლესობას თანაფრაქციელის დაჩაგვრა არ დაანება. კულუარებში ისიც ითქვა, ჩოჩელის დაცვით ბესო ჯუღელმა თავიც დაიცვა, ბუდიდან ერთი ბარტყი რომ გადაეგდო, შესაძლოა, სხვების განირვაც მოეთხოვათ და ბოლოს კი მისი ბიზნესსაქმიანობაც გაახსენდებოდა ვინმესო. როდესაც ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების" თავმჯდომარე **ბესო ჯუღელს**, მან საინტერესო არგუმენტები მოიყვანა.

— ჩოჩელს ლუდის ბიზნესი ჰქონდა, რომელიც 2003 წელს თავის ძმას გადააბარა.

## ჩოჩელს პატრონები გამოუჩნდნენ და იმიტომ გადატყდა ჯოხი ნანეტაშვილზე



## „რა უნდა გიპასუხოთ, არ მოვკლავთ-მეთქი?"

**— მაგრამ ამის შემდეგ თქვა პრეზიდენტმა, ჩოჩელი კარგი ბიზნესმენია და საწარმოს პრობლემების გამო პრემიერ-მინისტრი შეაწუხაო.**

— თავს დავდებ, რომ ჩოჩელი მხოლოდ თვეში ერთხელ დადის ლუდსახარშში(!) და მის მართვაში არ მონაწილეობს. ოპოზიცია პრეზიდენტის ნათქვამს იხვევს ხელზე. სიმართლე თუ გინდათ, ამ საწარმოს საქმიანობაში ერთი-ორჯერ ჩაერია ჩოჩელი, როდესაც ძმამ უთხრა, პრობლემები მაქვსო.

**— ანუ ჩოჩელი ერეოდა „ნატახტრის" საქმიანობაში?**

— დიახ, მაგრამ ეს ხომ საწარმოს მართვას არ ნიშნავს. „ნატახტარს" ჩეხური კომპანია „კუბიჩეკი და კომპანია" მართავს. ჩოჩელს ბიზნესთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, ის გვერდზე დგას. თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი, არ აინტერესებს, რა ხდება ლუდსახარშში-მეთქი.

**— ნანეტაშვილიც აცხადებდა, „თრიალეთს" ჩემი ძმა ხელმძღვანელობსო, მაგრამ ვინ დაუჯერა?**

— ასე არ იყო. არაერთხელ გამოვსულვარ ამ ტელევიზიით და ვიცი, რაც იქ ხდება. თავის დროზე ნანეტაშვილმა წამიყვანა იქ, თავის კაბინეტშიც დამსვა და დავალებებსაც იძლეოდა. ამის მომსწრე პირადად ვარ. ნანეტაშვილმა ფორმალურად კი გადასცა ძმას „თრიალეთი", მაგრამ მართვაში ერეოდა.

**— აქედან ერთი რამ ჩანს, პატრონიანებსა და გავლენიანებს უმრავლესობა არ ერჩის. სხვათა შორის, თქვენს ბიზნესზეც ლაპარაკობენ ხშირად...**

— ბიზნესი ჩემს შვილს 1995 წელს გადავეცი. 11 წელი გავიდა მას შემდეგ და დღეს ამ საკითხზე რომ მედავება კახა კუკავა, რა იცის, მაშინ 15 წლის ბიჭი იქნებოდა.

რომ გაიძახიან, ჩოჩელს ბესო ჯუღელმა უპატრონაო, ვისი პატრონი მე ვარ, ან რა შემიძლია. ქვეყანაში კანონი უმრავლესობისა და ოპოზიციისთვისაც ერთნაირად უნდა კანონობდეს.

— ბადრი ნანეტაშვილი თანაფრაქციელთაგან ყველაზე მეტად **გიგა ბოკერიას** ემდურის და მიაჩნია, რომ სწორედ მისი მონდომების გამო დაატოვებინეს საკანონმდებლო ორგანო.

**— ბატონო გიგა, მას შემდეგ რაც პარლამენტმა ბადრი ნანეტაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტა, ოპოზიცია მწვავე განცხადებებს აკეთებს. ნანეტაშვილზე გაცილებით მსხვილი ბიზნესმენები ხელშეუხებელნი არიანო.**

— ძალიან უცნაური მოსაზრებები აქვთ ჩვენს ოპონენტებს, მათი საქციელი უკვე საგანგაშოდაც მიმაჩნია. ყველა შემთხვევაში — შეეხება ეს მათი ფრაქციის წევრს თუ ჩვენსას, ცდილობენ, მხარი დაუჭირონ პირებს, რომლებიც უმრავლესობასთან ამა თუ იმ მიზეზის გამო დაპირისპირებული არიან. ხელს უშლიან პარლამენტში სტანდარტის დამკვიდრებას, რომ თუკი დეპუტატს დაუდასტურდება ბიზნესინტერესები, მან უნდა დატოვოს საკანონმდებლო ორგანო. ჩვენი ოპონენტებისთვის მნიშვნელობა არ აქვს, როგორი რეპუტაცია აქვთ და რა ჩაიდინეს ამ პირებმა. მთავარია, ვილაც უმრავლესობასთან არის დაპირისპირებული. ოპოზიციისთვის ესეც საკმარისია საიმისოდ, რომ მის მოკავშირედ იქცნენ. ეს არის პოლიტიკური უპრინციპობისა და იმ სტანდარტების უგულებელყოფის მკაფიო მაგალითი, რასაც ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები ხშირად გვიყიჟინებენ. განცხადებები, რომ უმრავლესობაში სხვებიც არიან ბიზნესით დაკავებული, ძალზე არასერიოზულია. თუ მართლაც არის ვინმე ასეთი და ამის დამადასტურებელი დოკუმენტებიც აქვთ, ბუნებრივი და ლოგიკური იქნება, მათი საქმიანობის შესწავლის საკითხიც დასვან, მაგრამ ოპოზიცია ამას არ აკეთებს...

**— კონკრეტულ გვარებს ოპოზიციაც ასახელებს, თავიდან ნანეტაშვილმაც მიუთითა ბეჟუაშვილსა და ჯემალ ინაიშვილზე.**

— მხოლოდ დასახელება არაფერს ნიშნავს. ჩვენი ოპონენტების ნება-სურვილზე ხომ არ არის ვინმეს დამნაშავედ გამოცხადება? ყოველი ასეთი კონკრეტული ფაქტი გამოძიების საგანი უნდა გახდეს და გაირკვეს, სჩადის თუ არა დეპუტატი დანაშაულს. თუ ოპოზიციას ამა თუ იმ პირზე აქვს ეჭვი, წამოიწყოს საქმე, ერთად განვიხილოთ და გადაწყვეტილებაც მივიღოთ. რა, „თრიალეთი" უკეთ მოიქცევა მას შემდეგ, რაც მისი დამფუძნებელი (და როგორც გაირკვა, ფაქტობრივი მმართველი) უმრავლესობას დაუპირისპირდა? ალბათ, პირიქით იქნება...

ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებს ალბათ ჰგონიათ, რომ „თრიალეთი" მათი მხარდამჭერი იქნება და ამიტომ დაიცვეს ნანეტაშვილი, მაგრამ ჩვენთვის ამასაც არ აქვს მნიშვნელობა.

**— ნანეტაშვილი აცხადებს, შესაძლოა, მომკლან კიდეცო.**

— ვწუხვარ, რომ ამას ჩემთან ამბობთ.

**— ის სერიოზულად არის შეშფოთებული.**

— ამაზე რა უნდა გიპასუხოთ, არა, არ მოვკლავთ-მეთქი? ამ აბსურდზე სერიოზული ლაპარაკი შეუფერებლად მეჩვენება.

**იზო რუკაძე**

# „კომპრომატებით ომი" და „დიდი გადანაწილება" პრეზიდენტის გარემოცვაში

## „კლანური" ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის

### ამ ომში ოქრუაშვილი ჯერჯერობით ღიად არ ერევა

*როგორც სანდო წყარო იუწყება, ნანეტაშვილის საქმე პრეზიდენტის გარემოცვაში, შესაძლოა, ახალი დაპირისპირების საბაბი გახდეს.*

უთანხმოების ფონი თავად ექსდეპუტატმა შექმნა, როცა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, „თავისუფლების ინსტიტუტის" ხელმძღვანელმა, ლევან რამიშვილმა წელიწად-ნახევრის წინ მთხოვა, „თრიალეთში" ირაკლი ოქრუაშვილის საწინააღმდეგო სიუჟეტები გამეშვაო. ნანეტაშვილის „თვითაღიარების" მიხედვით, თავდაცვის მინისტრმა ექსდეპუტატს რამდენიმე მილიონი შესთავაზა და სანაცვლოდ „თრიალეთი" მოსთხოვა. გამორიცხული არ არის, რომ ნანეტაშვილსა და ოქრუაშვილს შორის ზემოხსენებულ ბიზნესგარიგებაზე კონსულტაციები მართლა გაიმართა, მაგრამ საკითხავია, რატომ გადაწყვიტა თავდაცვის მინისტრმა რეგიონული ტელევიზიის შეძენა? რატომ ფიგურირებს „ნანეტაშვილის სკანდალში" მაინცდამაინც გიგა ბოკერია და რატომ აიძულებდა ლევან რამიშვილი ნანეტაშვილს ოქრუაშვილის კომპრომატების გამოქვეყნებას?

პარლამენტის საპროცედურო კომიტეტს ეს კითხვები ყასიდადაც არ დაუსვამს, ალბათ, იმიტომ, რომ ამ თემებზე ყურადღების გამახვილებით უმრავლესობაში პანიკა დაიწყებოდა. ყოველ შემთხვევაში, ნათელი გახდებოდა, რომ ბადრი ნანეტაშვილი „კლანური ომის" მსხვერპლი გახდა...

და მაინც, რა მოხდა სინამდვილეში და ებრძვის თუ არა „ნაცმოძრაობის" „თავისუფლების ინსტიტუტის" ფრთა ირაკლი ოქრუაშვილს?

იმის მტკიცება, რომ ბადრი ნანეტაშვილს კანონი არ დაურღვევია, ცხადია, აბსურდია, მაგრამ არსებობს ერთი „მაგრამ": არავისთვის ახალი არ არის, რომ ბიზნესინტერესებისგან თავისუფალი არც სხვა დეპუტატები არიან. რამდენიმე თვის წინ ანალოგიური ბრალდებით პარლამენტიდან ვალერი გელაშვილი გარიცხეს, თუმცა პირად საუბრებში, ოპოზიციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უმრავლესობის წევრებიც აღიარებენ, რომ გელაშვილი პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა. ამ ფაქტმა დასავლეთის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია — ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდესო. სწორედ ამიტომ უმრავლესობის „ტვინებმა", როგორც ჩანს, სიტუაციის განმუხტვა გადაწყვიტეს. უმრავლესობაში ნანეტაშვილზე უკეთესი განტევების ვაცის პოვნა, ცხადია, არ გაჭირდებოდა, მაგრამ ნანეტაშვილთან, ეტყობა, „ძველი ანგარიშებიც" ჰქონდათ. მოკლედ, ამიერიდან „პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე" ლაპარაკი აღარ შეიძლება და, თუკი ვინმე ამ თემით აპელირებას მაინც დაიწყებს, უმრავლესობა რკინისებურ არგუმენტს მოიშველიებს: — აი, ბატონო, მხოლოდ გელაშვილი კი არა, ჩვენი თანაგუნდელიც არ დავინდეთ და ეს როგორი ანგარიშსწორებააო...

ამ საქმეში არსებობს კიდევ ერთი „მაგრამ": ზეწოლის გამო „თრიალეთის" ჟურნალისტებმა თავდაპირველად დასახმარებლად ომბუდსმენ სოზარ სუბარს მიმართეს, სწორედ იმ ომბუდსმენს, რომელიც „თავისუფლების ინსტიტუტიდან" მოდის და მისი, ბოკერიასა და რამიშვილის მეგობრობაც არახალია. დავუშვათ, ბადრი ნანეტაშვილი „თრიალეთის" საქმიანობაში მართლა უხეშად ერეოდა და ჟურნალისტებზე გავლენას ახდენდა, მაგრამ „ვარდების რევოლუციის" მერე არაერთი ჟურნალისტის უფლება დაირღვა. იმერეთის ყოფილი გუბერნატორი აკაკი ბობოხიძე ტელეჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს ფიზიკურად გაუსწორდა (აღარაფერს ვამბობთ სხვა ფაქტებზე), მაგრამ სოზარ სუბარს კრინტიც არ დაუძრავს. მაშასადამე, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ „თრიალეთის" ჟურნალისტების დაცვა ომბუდსმენს ვიღაცამ შეუკვეთა. ეს „ვიღაც" კი, შესაძლოა, გიგა ბოკერია ან სულაც ლევან რამიშვილი იყოს... ლოგიკურად ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: რისთვის დასჭირდათ ეს?

„თრიალეთი" შიდა ქართლის რეგიონული ტელეკომპანია რომ არ იყოს, ბადრი ნანეტაშვილი, დღესაც, ალბათ, დეპუტატი იქნებოდა, პრეზიდენტის გარემოცვამ, როგორც ჩანს, იცის, რომ ეს რეგიონი „მსუყე ლუკმაა", შიდა ქართლში ყველაზე გავლენიანი ფიგურა კი ირაკლი ოქრუაშვილია. გარდა ამისა, ოქრუაშვილმა პირობა დადო, 2007 წლის პირველ იანვარს ცხინვალის თავზე ქართული დროშა აფრიალდებაო (შესაბამისად, კოკოითის მთავრობას ყველაზე მეტად ჩვენი თავდაცვის მინისტრის ეშინია).

მართალია, ერთხანობას ამბობდნენ, თავდაცვის მინისტრს პრეზიდენტთან ურთიერთობა გაურთულდაო (ითქვა ისიც, რომ რამდენიმე საათს, პროტესტის ნიშნად, კაბინეტში არ შედიოდა), მაგრამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ნათელყოფს, რომ მიხეილ სააკაშვილი ოქრუაშვილს ენდობა.

მოკლედ, ირაკლი ოქრუაშვილს შანსი აქვს, რომ ქვეყანაში რეალური (ფორმალურად — პრემიერის პოსტით ან არაფორმალურად) „მეორე კაცი" გახდეს. ეს კი „ნაციონალების" ბირთვს არ აძლევს ხელს. ასეთ დროს საუკეთესოა გამოსავალი კომპრომატებით ომია.

ზემოთქმულის ფონზე ბადრი ნანეტაშვილის განცხადება, ლევან რამიშვილი ოქრუაშვილის საწინააღმდეგო სიუჟეტების მომზადებას მთხოვდაო, ლოგიკურია.

ასე რომ, „ნანეტაშვილის სკანდალი" შესაძლოა, „დიდი შეთქმულების" ერთი ეტაპი იყოს, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ნანეტაშვილი?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „თრიალეთი" შიდა ქართლში ერთადერთი რეიტინგული ტელევიზიაა. გავყვეთ ნანეტაშვილის ვერსიას: თუკი „თრიალეთს" ოქრუაშვილი მართლა იყიდდა, რეგიონში მისი რეიტინგი კიდევ უფრო გაიზრდებოდა. შიდა ქართლში რეიტინგულობა კი, შეიძლება ითქვას, სახალხო აღიარების ტოლფასია, მით უმეტეს, ადგილობრივი არჩევნების წინ... ოქრუაშვილის სურვილის შესახებ, როგორც ჩანს, მოწინააღმდეგე მხარემ შეიტყო და „თრიალეთზე" იერიში ამიტომაც მიიტანა.

სხვათა შორის, პარლამენტარის უფლება-მოვალეობისგან გათავისუფლებულმა ნანეტაშვილმა ტელეკომპანიის მართვა, შესაძლოა, დაუფარავად დაიწყოს და თუ მოისურვა, ოქრუაშვილის პიარზეც დაუფარავად იმუშავებს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მას მხოლოდ პარლამენტიდან გაგდებას არ აკმარებენ, ანუ თუკი ნანეტაშვილი საკუთარი სიმართლის დამტკიცებას შეეცდება (აპირებს, რომ პრეზიდენტს შეხვდეს), უფრო სერიოზული პრობლემები შეექმნება და, შესაძლოა, თავისუფლებაც დაკარგოს...

ასე და ამგვარად, „კლანური ომი" კულმინაციას აღწევს. მართალია, ამ ომში თავდაცვის მინისტრი ჯერჯერობით ღიად არ ერევა, მაგრამ ვნახოთ, რა იქნება მომავალში...

**დიმა ჯაფარიძე**

# „საქართველოს ჯერ არ დაუმსახურებია, რომ პატივი ვცეთ მის სუვერენიტეტს“

22-24 ივნისს სოჭში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 63-ე სემინარი გაიმართა, სადაც ექსპერტებმა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაზე, საქართველოს ნატოში შესაძლო გაწევრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობების აქტიური მონაწილეობით ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებზე იმსჯელეს.

სემინარში მონაწილეობდნენ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი პიერ ლულუში, ასამბლეის ხელმძღვანელობა, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 15 წევრი ქვეყნის წარმომადგენლები, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები და რუსი ექსპერტები.



## „ოქრუაშვილმა მთელ რუსეთს შეურაცხყოფა მიაყენა“

საქართველოდან სემინარში მონაწილეობდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე და პარლამენტარი ნიკა გვარამია, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენელი რუსეთში დიმიტრი მედოევი.

სემინარზე განხილულ თემებზე მოსაზრებებს „კვირის პალიტრას“ რუსეთის პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტოლოგი **სერგეი მარკოვი** უზიარებს:

**— ნატოს ეგიდით ჩატარებულ სემინარზე აქტიურად განიხილეს სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების საკითხები. რა პოზიციები დაფიქსირდა და როგორია რუსული მხარის ხედვა სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით?**

— ეს იყო რუსეთსა და ნატოს წევრ ქვეყნებს შორის დიალოგის გამართვის ერთ-ერთი პირველი მცდელობა.

დიალოგის შედეგიანად წარმართვას მხარეებს შორის უნდობლობა უშლის ხელს. ბევრ საკითხს, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციას, განსხვავებულად აფასებენ, მაგრამ ორივე მხარე აღნიშნავდა, რომ დაუშვებელია რეგიონში საომარი მოქმედებების განახლება.

რუს დეპუტატებს არ დაუმალავთ გაღიზიანება ნატოს გაფართოების გამო. მათი მტკიცებით, საქართველოსთვის იარაღის მიწოდება რეგიონში ძალთა ბალანსს არღვევს. მოსკოვში ნატოს ამგვარ ქმედებას დესტაბილიზაციისაკენ მიმართულ ნაბიჯად აღიქვამენ.

როგორც ნატოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ ყველა მოლაპარაკება კონფლიქტების მშვიდობიანად მოწესრიგების პირობით მიმდინარეობს. ნატო თბილისთან მოლაპარაკებებს იმ შემთხვევაში შეაჩერებს, თუ სამხედრო დაპირისპირების განახლებაზე საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ პასუხისმგებლობაში დარწმუნდება.

ამავდროულად, ნატოს წარმომადგენლებმა რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებაში, სეპარატიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულეს და აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდაზე პასუხისმგებლობა რუსულ მხარეს დააკისრეს.

ჩვენმა მხარემ მათ განუმარტა, რომ სეპარატისტები სწორედ ქართველები არიან, რომლებიც საბჭოთა კავშირს ისე გამოეყვნენ, რომ აფხაზებისა და ოსებისათვის არაფერი უკითხავთ. ნატოს აზრით, რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია, მაგრამ იგი მასზე დაკისრებულ ვალდებულებას არ ასრულებს. ერთი სიტყვით, ურთიერთბრალდებები სემინარზე მრავლად იყო.

ნატოს არ სურს პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედებების დაწყებაზე. ვიდრე კონფლიქტები მშვიდობიანად არ მოგვარდება, ნატოში საქართველოს გაწევრების საკითხს დღის წესრიგში არ დააყენებენ.

ჩემი აზრით, ეს საკითხი უახლოეს მომავალში იმიტომაც არ განიხილება, რომ საქართველოს სამხედრო სფეროში არსებითი რეფორმები არ გაუტარებია. ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს სამხედრო ძალები სამოქალაქო საზოგადოების კონტროლს ექვემდებარება. გარდა ამისა, ნატოს ასამბლეის ბევრ წარმომადგენელს აშინებს პრეზიდენტ სააკაშვილის აგრესიული რიტორიკა. მას მხარს უჭერენ, მაგრამ არაფორმალურ საუბრებში აღიარებენ, სააკაშვილის არაპროგნოზირებადობა რეგიონში სტაბილურობას საფრთხეს უქმნისო.

ჩემი აზრით, ნატო გააგრძელებს საქართველოსთან სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას, მაგრამ მის ნატოში გაწევრების საკითხს, არა მგონია, სერიოზულად განიხილავდეს. ნატოს ბიუროკრატიის მიერ საქართველოსათვის შემუშავებული სხვადასხვა პროგრამა საქართველოს ხელისუფლებას იმის მტკიცების საშუალებას მისცემს, რომ იგი ნატოში შესასვლელად თითქოს მზად არის.

**— როგორ შეაფასებდით სააკაშვილსა და პუტინს შორის სანქტ-პეტერბურგში ამას წინათ გამართულ შეხვედრას. თბილისში დაბრუნებულმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა პეტერბურგში გამართული შეხვედრის შესახებ წამყვანი ტელეკომპანიებისათვის მიცემულ ინტერვიუებში საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების თაობაზე. კერძოდ, „მზად ვარ პუტინთან კონსტრუქციული და სერიოზული დიალოგისათვის“; „იმდენჯერ შევხვდები პრეზიდენტ პუტინს, რამდენიც საჭიროა“; „საქართველო მზად არის, რუსეთთან ერთად მოაგვაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები. თუ ასე არ მოხდა, საქართველო კონფლიქტების მოგვარებას ურუსეთოდ შეეცდება“.**

— პეტერბურგის შეხვედრამ დაადასტურა, რომ სააკაშვილი მზად კი არის შეხვდეს პუტინს, მაგრამ არც ერთ პუნქტში არაფერს დაუთმობს. ეს კი სიფრთხილისაკენ მიბიძგებს. თვით შეხვედრის წინაც კი არ გაუთავისუფლებია თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი თანამდებობიდან იმის გამო, რომ მან მთელ რუსეთს შეურაცხყოფა მიაყენა. ამგვარი განცხადების შემდეგ პოლიტიკოსს თანამდებობაზე ყოფნის უფლება არა აქვს.

**— თქვენს მოსაზრებას სავსებით სამართლიანად მაშინ მივიჩნევდი, პუტინისგანაც რომ მოგვეთხოვათ საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვისა და თავდაცვის მინისტრ სერგეი ივანოვის გათავისუფლება. პირველმა არ გამორიცხა რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის აღიარება, თავდაცვის მინისტრმა კი განაცხადა, რუსი სამშვიდობო ძალები სამხრეთ ოსეთში საქართველოს დაუკითხავად კვლავაც როკის გვირაბით შევლენო.**

— ერთი საქმეა მკაცრი განცხადებები, ხოლო მეორე — შეურაცხყოფა. ასეთი განცხადებების შემდეგ ნებისმიერ პოლიტიკოსს ქუჩის ბიჭის იმიჯი ექმნება.

პეტერბურგის ვიზიტი ჩემთვის იმის სიმბოლოა, რომ „დიდი რვიანის“ ქვეყნების შეხვედრის წინ სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებები არ დაიწყება. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**— იცით, თბილისში ვარ და ომის სამზადისს სულ ვერ ვგრძნობ, ბატონო სერგეი, თუ არ ვცდები, სწორედ ვაშინგტონიდან მოსკოვში თქვენი დაბრუნების შემდეგ იწინასწარმეტყველეთ „დიდი რვიანის“ სამიტამდე ცხინვალის რეგიონში ომის დაწყება.**

— ამის ყველა წინა პირობა სახეზე იყო. თუნდაც სამშვიდობო ძალებისთვის მოწყობილი პროვოკაციები გავიხსენოთ. სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უვიზოდ მყოფ სამშვიდობო ძალებს დავაკავებთო. ჩვენთან ეს ომისათვის მზადებად აღიქმება.

**— საქართველოს პარლამენტში ინტენსიურად განიხილავენ რუსი სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხს. ალბათ, დამეთანხმებით, ეს საქართველოს სუვერენული უფლებაა და რატომ იწვევს იგი რუსეთში აზრთა სხვადასხვაობასა და ოფიციალური თბილისისადმი, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას?**

— საქართველოს ჯერ არ დაუმსახურებია, რომ პატივი ვცეთ მის სუვერენიტეტს, რადგან მან ვერ შეძლო აფხაზურ და ოსურ ეთნიკურ უმცირესობებთან შეთანხმების მიღწევა.

**— სამშვიდობო ძალების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში ყოფნის ისტორიამ დაადასტურა, რომ რუსეთი შუამავალი კი არა, კონფლიქტის მონაწილე მხარეა. ასე რომ, მოსკოვში არ უნდა უკვირდეთ რუსი ცისფერჩაფხუტიანებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება.**

— ნაწილობრივ გეთანხმებით. შუამავალი რუსეთი მხარს უფრო მეტად აფხაზებსა და ოსებს უჭერს, მაგრამ რუსეთს არ გამოუყენებია შესაძლებლობა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ უღიარებია. რუსეთი 15 წელია ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ეს არ დაუშვას.

რუსეთი ამ კონფლიქტების გაყინულ მდგომარეობაში დატოვებას ცდილობს, რითაც საქართველოს კონფლიქტების ცივილიზებული გზით მოგვარების საშუალებას აძლევს.

**კობა ბენდელიანი**


ჯეოვიტი

# იერიში ართროზზე

ოსტეოართროზის თანამედროვე თერაპიაში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ პრეპარატს წარმოადგენს „მუვ ფრი ედვენსდი“. ამ ფორმულის შემადგენლობაში შედის სახსრის შემადგენელი შემაერთებელი ქსოვილის ყველა კომპონენტი. „მუვ ფრი“-ს ახალი ფორმულა სახსარს დაკარგულ „დაზეთვის“ უნარს დაუბრუნებს, გაუიოლებს მოძრაობას და დაიცავს ხრტილს დატვირთვებისგან. შედეგად, მცირდება ტკივილი და იზრდება სახსარში მოძრაობის სიფართე.




პრეპარატი კაფსულების სახითაა. მკურნალობის კურსი, ჩვეულებრივ, 2-3 თვეს შეადგენს. ეფექტი ფიქსირდება რამდენიმე თვის მანძილზე, ზოგჯერ წელიწადიც. ყველაფერი „დაავადების ასაკზეა“ დამოკიდებული. საუკეთესო შედეგები ართროზის საწყის სტადიებში მიიღწევა. მკურნალობის ერთი კურსი სახსარში ტკივილის დავიწყების შესაძლებლობას რამდენიმე წლით იძლევა.




შორს წასული შემთხვევებისას კურსის ჩატარება ეფექტურია არანაკლებ წელიწადში 2-ჯერ. პრეპარატს არ გააჩნია უკუჩვენებები. იწარმოება ოკეანის მოლუსკებისგან.

ათიდან ცხრა გამოკითხული ამერიკელი ექიმი უპირატესობას ანიჭებს „მუვ ფრი ედვენსდის“ დანიშვნას.

2004წ. ქ. მაიამიში ჩატარებულმა პრეპარატის კლინიკურმა გამოკვლევამ რანდომიზირებული, ორმაგი ბრმა პლაცებო-კონტროლირებადი მეთოდით, მოგვცა შედეგი:

- სახსრებში კომფორტულობის მატება 83%;
- დღიური აქტივობის მატება 78%;
- ფიზიკური დატვირთვის მატება 72%.

„მუვ ფრი ედვენსდი“ - მიღებული და რეკომენდებულია ამერიკის ართრიტის ფონდის მიერ.

„მუვ ფრი ედვენსდი“-ს ოფიციალური დისტრიბუტორია „ჯეოვიტი“

*„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრია*

„ჯეოვიტი“ - მის: ილია ჭავჭავაძის გამზ. №41. ტელ: 29-20-91; 899 10-99-20.
ყოველდღიური უფასო კონსულტაცია
ასევე აფთიაქებში: თამარაშვილის 1,
თამარ მეფის გამზ.19, თამარ მეფის გამზ.32.



# ამერიკული ფარმაცევტული კორპორაცია "საგმელი ინკ."-ის

## წარმომადგენლობით ოფისს საქართველოში ესაჭიროება

სამედიცინო განათლების მქონე წარმომადგენლები საქართველოს რეგიონებში:

- რუსთავი
- გორი
- ქუთაისი
- ბათუმი
- ზუგდიდი

გთხოვთ, თქვენი რეზიუმე გამოაგზავნოთ ელ.-ფოსტის მისამართზე: aketi@posta.ge ან წარმოადგინოთ წარმომადგენლობით ოფისში:
ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზირი №154
ტელ./ფაქსი: (+995 32) 55 99 04



ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

შ.პ.ს. ფენიქსი
www.phoenix.ge

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge

გერი და მამინაცვალი, შვილსა და მამას რომ უწოდებდნენ ერთმანეთს, 1924 წლის იანვრის იმ სუსხიან დღეს საბჭოების სახლში პროლეტარიატის ბელადის, ლენინის კუბოსთან იდგნენ და გულამოსკვნილი ქვითინებდნენ. მამა-შვილი არაფრით ჰგავდა ერთმანეთს. ბიჭი: შვიდი წლის ქერა, ცხვირაპრეხილი, ცისფერთვალება. მამა — კითხვა რაღად უნდოდა, აშკარად კავკასიელი გახლდათ. ამ კაცს ისკანდერ ალიევს ეძახდნენ. თბილისელი იყო, სერგო ორჯონიკიძის მეგობარი და თანამოსაქმე. ამიტომაც დაჩქარებული ტემპით აირბინა სამსახურებრივი იერარქიის კიბეზე. ჯერ რაიკომის მდივანი იყო, მერე წითელი პროფესორი და სულ მალე იოსებ სტალინის პირადი რეფერენტი. მოსკოვში გადასვლამდე იქორწინა ტოლიკის დედაზე და ახლა თავს ბედნიერად გრძნობდა. ბიჭს ნამდვილი მამობრივი სიყვარულით ზრდიდა და თბილისში ჰპირდებოდა, რომ მოსკოვში ცოცხალ ბელადს ანახვებდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო და ამიტომაც იყო, რომ ასე დანანებით გლოვობდა მამა-შვილი პლანეტის უდიდეს ადამიანს.

ტოლიკა, როგორც დედა ეძახდა, მშობელ მამას არ იცნობდა. სამაგიეროდ, კარგად ახსოვდა პოლონელი ბაბუა, რომელიც ოჯახით თბილისში ცხოვრობდა.

არბატზე, პრესტიჟულ სახლში მცხოვრები, ახლა უკვე მოსკოველი ბიჭი ტოლიკი, ახალი ნაცნობების გარემოცვაში ხვდება. მათ შორის პირველები, ტყუპი ძმები ოლეგ და კოსტია ბალინები არიან, რომელთა მშობლებს ბინის მეტი არაფერი აბადიათ. ყველაფერი რევოლუციამ შეიწირა რამდენიმე წლის წინ და ახლა ტყუპი ქურდბაცაცობით არჩენს ოჯახს.

ანგელოზისსახიანი, უზადოდ ჩაცმული და დავარცხნილი ტოლიკი კი მათი შირმაა. იგი თავისი არტისტული ნიჭით ართობს გამყიდველებს, ძმები კი ამ დროს დახლებს ასუფთავებენ. სულ მალე ისკანდერ ალიევმა შეიტყო შვილობილის საქმიანობის შესახებ. ერთ საღამოს კი დარცხვენილი მილიციელი მიადგა სახლში და ენის ბორძიკით აუწყა, რომ ბიჭები ცოტა ხნის წინ დააკავეს... სანთებელების ქურდობისთვის. იმ საღამოს სერგო ორჯონიკიძე ეწვია ალიევებს. ჩაი მიართვეს. თბილისი და საქართველო გაიხსენეს, ერთმანეთის ოჯახები მოიკითხეს. დილით კი მამის მანქანა საავტომობილო ქარხნის მიმართულებით მიაქროლებდა ტოლიკს. იმხანად სწორედ ამ ქარხნის ბაზაზე გაიხსნა ელიტური სასწავლებელი, სადაც უნდა მოემზადებინათ სამამულო ავტომშენებლობის მომავალი კონსტრუქტორები და გამომცდელები. ტოლიკს ჯიბეში მრეწველობის სახალხო კომისრის, სერგო ორჯონიკიძის ხელით შედგენილი წერილი ედო: „ამხანაგო ლიხაჩოვ, ჩარიცხე თქვენს სკოლაში ამ წერილის წარმომდგენი, ჩვენი ძვირფასი მეგობრის, ალიევის შვილი! სერგო". ქარხნის დირექტორმა მაშინვე დაურეკა ვიღაცას, ტოლიკს მხარზე ხელი მოუთათუნა და ღიმილით აუწყა, რომ სახალხო კომისრის დავალება შესრულებულია. მისალებში შენიშნა ტოლიკმა დირექტორის ლაბადიდან ამოჩრილი ლაიკის ხელთათმანები და სულმა წასძლია, დირექტორის შეუმჩნევლად აწაპნა და ჯიბეში გავარდა. ლიხაჩოვმა საღამოს მაინც შეამჩნია, რომ ხელთათმანები სახალხო კომისრის პროტეჟეს მოეპარა. შერცხვენა რომ თავიდან აეცილებინა, ალიევმა თბილისში, ნათესავთან გადამალა ბიჭი და ის იყო ხელი უნდა ჩაექნია მასზე, მაგრამ ტოლიკმა ისეთი ნიჭიერება გამოამჟღავნა სკოლაში, ისეთი რჩეული მეგობრები გაიჩინა, რომ გახარებულმა ალიევმა ერთიორად გაუზარდა ყოველთვიური გზავნილები და ტოლიკიც უშურველად ხარჯავდა ფულს თანაკლასელ გოგო-ბიჭებთან, რომელთა შორის გამორჩეულად მეგობრობდა საქართველოში ირანის კონსულის შვილთან აჰმედ ფენდერენსკისთან. ორივე მოხერხებითაც და ხელგაშლილობითაც ჰგავდა ერთმანეთს. კარგადაც სწავლობდნენ, ქურდობაც კარგად გამოსდიოდათ და ასაკის მატებასთან ერთად უფრო სერიოზულ „საქმეებზე" დადიოდნენ. ირანელები თვეში ერთხელ აივნებზე გასამზეურებლად გადაჰკიდებდნენ ხოლმე ძვირფას ხელით ნაქსოვ ხალიჩებს, გამთენიისას კი მათ ტოლიკი აკრეფდა. მერე კი ძმაკაცები გადაიცვამდნენ, სახეს შეიცვლიდნენ და ბაზარში ყიდდნენ ნაქურდალს. ხალიჩებზე ტაციობა იყო.

გაკვეთილების შემდეგ აჰმედკა და ტოლიკა ფაეტონით ასეირნებდნენ და შოკოლადიანი ნაყინით უმასპინძლდებოდნენ თანაკლასელებს. ერთხელ ორივეს იმ დროს ჩაავლეს, როცა სამართებლით საფულე გაუჭრეს ფრანგ დიპლომატს, მაგრამ თვალით ნანახის მიუხედავად, მილიციელებმა ვერაფრით დაიჯერეს, რომ ასე სანიმუშოდ ჩაცმული და ზრდილი ბიჭები ქურდები იქნებოდნენ და გაუშვეს. ერთმა მათგანმა სკოლაში მათ პიონერხელმძღვანელს მაინც აცნობა მომხდარის შესახებ. პიონერხელმძღვანელს რატომღაც ისედაც არ მოსწონდა ტოლიკი და ორი თვით წითელი ყელსახვევის ტარება აუკრძალა.

სულ მალე ნიჭიერმა მოსწავლემ, რომელსაც ქიმიის არც ერთი გაკვეთილი არ გაუცდენია, გამოთვალა, რომ თუ მოპარულ ვერცხლეულს აზოტმჟავაში გადაადნობდა, და 84-ე სინჯამდე ასწევდა მის ხარისხს, მერე უფრო სარფიანად გაასაღებდა. ექსპერიმენტმა გაამართლა, პირველი შენადნობი გაიყიდა, მაგრამ იმხანად აჰმედკა ირანში წაიყვანეს და მარტოდ დარჩენილმა ვეღარ გააგრძელა საქმიანობა.

აჰმედკას ის ზუსტად ოცდახუთი წლის შემდეგ მოჰკრავს თვალს მოსკოვის დიდი თეატრის საპატიო სტუმრების ლოჟაში და როცა კარისკაცს ჰკითხავს, ეს კაცი ვინ არისო, უპასუხებენ: „ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი — აჰმედ ფენდერენსკი!"



# ჯიბგირობიდან სახელმწიფო პრემიამდე

— აი, კარიერა! — თავისთვის ჩაუსტვენს ტოლიკი.

1937 წელს ტოლიკი თბილისის სარკინიგზო ტრანსპორტის ინსტიტუტის მეორე კურსს ამთავრებდა. მისი ფაკულტეტის დეკანი შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორის, გიორგი ტოვსტონოგოვის მამა ალექსანდრე ტოვსტონოგოვი გახლდათ. თვითონ გიორგი კი შეთავსებით ტოლიკის კურსზეც სწავლობდა და ამავე დროს თეატრალურ სტუდიასაც ხელმძღვანელობდა, სადაც „კრიმინალურმა ტალანტმა" იმდენად გამოიჩინა თავი, რომ ტოვსტონოგოვი აღფრთოვანებული იყო მისი სამსახიობო მონაცემებით. რომ არა ის ავადსახსენებელი ოცდაჩვიდმეტი წელი, არავინ იცის, რა გზით წავიდოდა ანატოლი ალიევის ცხოვრება...

უფროსი ალიევი დააპატიმრეს და რამდენიმე დღის შემდეგ დახვრიტეს. დედას გული გაუსკდა, ცოტა ხანში კი მას მიადგნენ — როგორც ხალხის მტრის ოჯახის წევრს, რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და გულაგში უკრეს თავი. ავტომატიანი ჯარისკაცებითა და ძაღლებით გარშემორტყმულ ნაცრისფერ კოლონაში ტოლიკმა თავისი დეკანი, ალექსანდრე ტოვსტონოგოვი დაინახა.

...შედგა თუ არა ბანაკში ფეხი, პირველივე დღეს დაკითხვაზე გამოიძახეს:

— პატიმარო ალიევ, არც წინასწარი, არც სასამართლო ძიების დროს თქვენ პასუხი არ გაგიციათ კითხვაზე, რაზე საუბრობდნენ სერგო ორჯონიკიძე და მამათქვენი.

— პასუხისთვის თავი არ ამირიდებია, მე ისინი ერთად მხოლოდ ერთხელ ვნახე. მაშინ რვა წლის ვიქნებოდი და სულაც არ მაინტერესებდა, რაზე ლაპარაკობდა ორი სახელმწიფო მოღვაწე. ეგეც არ იყოს, ჩვენს ოჯახში მიღებული არ იყო უფროსების საუბრის მოსმენა.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, ვიღაცამ ფერდში რომ ჩაარტყა ავტომატის კონდახი. მერე ოთხი თუ ხუთი კაცი წიხლით შედგა და გონს რომ მოვიდა, ბანაკის ეზოში ეგდო. იყინებოდა. ქარიშხალი ისე უბერავდა, რომ ყინვაგამძლე ძაღლებიც კი შენობებს ეფარებოდნენ. რის ვაი-ვაგლახით გამოხოხდა, უახლოეს ბარაკამდე მიაღწია, კარს ხელი ჰკრა და გული შეუღონდა. თვალი რომ გაახილა, ნარზე იწვა და თავს ვიღაც ჩონჩხადქცეული პატიმარი ადგა. მოეჩვენა, რომ ადრე სადღაც ენახა ეს სახე, მაგრამ ახლა გახსენება უჭირდა.

— ნულარაფრის გეშინია. შენ მთავარ გამოცდას გაუძელი. სასიკვდილოდ გაგიმეტეს და არ მოკვდი. ეს იმას ნიშნავს, რომ ვეღარ გაგალწევ.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს თქვენ ხართ, პაპულია ბიძია, — სუფთა ქართულით, მაგრამ მისუსტებული ხმით ჰკითხა მომვლელს.

— მე ვარ, ბიჭიკო, არ შეგეშინდეს, აქ თუ გატყდი, ერთბაშად გადაგთელავენ. ექვსი თვეა გარედან არაფერი ისმის, ამდენი ხნის შემდეგ პირველები თქვენ მოგიყვანეს გუშინ. გული ცუდს მიგრძნობს. შენს გახარებას, ეგებ მითხრა, სერგოს ხომ არაფერი უჭირს?

— მგონი, არაფერი. ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი გამიგია, — აშკარად იცრუა, მაგრამ მიხვდა, ახლა რომ ამ გაძვალტყავებული კაცისთვის ეთქვა, შენმა ძმამ, სახალხო კომისარმა სერგო ორჯონიკიძემ თავი მოიკლაო, იქით გაუხდებოდა მოსავლელი. მას კი ამის თავი ჯერ არ ჰქონდა. პაპულია ამ შეხვედრიდან ერთი კვირის თავზე დახვრიტეს. არადა რას ერჩოდნენ — ტყვია რა საჭირო იყო, ისედაც მოკვდებოდა უბედური.

ჯოჯოხეთური ორი წელი გაატარა ტოლიკმა გულაგში. ერთ დღესაც ძველებური გაიხსენა, ჩაუჯდა და ბანაკიდან გასასვლელი ისეთი საშვი გააკეთა, რომ დაუბრკოლებლად ჩააღწია პეჩორამდე, პირველივე კატარღაზე ავიდა და დუმილით სხვების ყურადღება რომ არ მიექცია, ვიღაც წარმოსადეგ მამაკაცს გამოელაპარაკა.

— ბაუმანის სახელობის ინსტიტუტის ყოფილი ასპირანტი გახლავართ. ახლა საკანდიდატო ნაშრომზე ვმუშაობ. დრო ვიხელთე და პატიმარი მამის სანახავად ჩამოვედი. აქ არც ისეთი ცუდი პირობები ყოფილა, როგორ ხმებსაც ავრცელებენ. ალბათ, დამეთანხმებით არა?

— რა თქმა უნდა. მით უმეტეს, რომ თვითონაც ერთ-ერთი ბანაკის უფროსი გახლავართ. პატიმრებს ოჯახის წევრებივით ვუფრთხილდებით.

ამ კაცთან შეხვედრით დაფეთებულმა ტოლიკმა ენა გადაყლაპა, გულში კი გაიფიქრა, მაგ სიმართლით იცხოვრეო. კიდევ კარგი, ისევ კაცმა დაარღვია სიჩუმე.

— აი, შვილი გავუზარდე ქვეყანას. ახლა დედაქალაქში მიმყავს, ეგებ ინსტიტუტში მოვაწყო მათემატიკურზე, — კაცმა გვერდით მდგარ 17-18 წლის ახალგაზრდაზე მიანიშნა ტოლიკს...

— თუ მენდობით, მათემატიკაში მე მოვამზადებ ყმაწვილს. ასეა თუ ისე, ხვალზეგ საკანდიდატო დისერტაცია უნდა დავიცვა ამ საგანში, — ტოლიკმა მხოლოდ ახლა შეხედა თვალებში მოსაუბრეს.

პირველი გაკვეთილი იქვე ჩაუტარა აბიტურიენტს. კოლონიის უფროსი სიხარულით აღარ იყო. სულ შოკოლადით კვებავდა შვილსა და მის მასწავლებელს. ამ კაცის წყალობით ტოლიკმა ყველა კორიდორი გაიარა და მშვიდობიანად ჩააღწია მოსკოვს. მერე იქიდან თავის თბილისელ მეგობრებს დაუკავშირდა და მათაც ისეთი საბუთები მიაწოდეს, რომ სულ მალე პოლიგრაფიული ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. არც კოლონიის უფროსი გაუწბილებია. მისი ბედოვლათი ბიჭი იმდენი ამეცადინა, რომ მანაც ჩააბარა მათემატიკურ ფაკულტეტზე.

ომის დაწყებამდე თითქმის ორი წელი რჩებოდა. მოსკოველი ახალგაზრდობა ერთობოდა. რამდენი ლამაზი გოგო ირეოდა ირგვლივ, მაგრამ ფული არ ჰქონდა ტოლიკს.

საბედნიეროდ, უფულოსა და უბინაოს მეორე დღესვე გამოუჩნდა საქმე.

— დიდ თეატრში „ბორის გოდუნოვი" გადის. არ გინდა ნახო?

— მერე ბილეთი?

— შენ გააკეთებ.

— მე? მე მართლაც გავაკეთებ, თანაც არა მარტო ჩვენთვის, — გაიხარა ტოლიკმა და მეგობრის ეს აღმოჩენა იმავე საღამოს გავიდა ბაზარზე. რამდენიმე თვე ამ საქმით ირჩენდნენ თავს. ბილეთებს პირდაპირ ხელიდან სტაცებდნენ მაყურებლები, თანაც იმაზე მეტს იხდიდნენ, ვიდრე თეატრის სალაროში. მეგობრის სიხარბემ დაღუპა საქმე. ჯიბეში მთელი შეკვრა ბილეთები აღმოუჩინეს და მანაც ტოლიკი ჩაუშვა. ამასობაში ომიც დაიწყო და...

რიბინსკის ზონაში, სადაც იმჯერად მოხვდა, კალინინის დრამატული თეატრის მთელი დასი იხდიდა სასჯელს, უცნაური ბრალდებით — გერმანელებისათვის რატომ ითამაშეთ სპექტაკლიო, არადა ოკუპაციის დროს ფაშისტებმა ძალით ათამაშეს. მერე კი, როცა მშობლიურმა წითელმა არმიამ ქალაქი დაიბრუნა, ეს საბრალოები ციხეში შეყარეს. თეატრის მეხანძრეც კი დააპატიმრეს.

ერთ დღეს კოლონიის სიახლოვეს ბადრაგის კატარღა დადგა. პატიმრების საკვები გათავებულიყო და ახლა ბადრაგი რამდენიმე დღის ნაშიმშილევი პატიმრების ბუნტს ელოდებოდა. ყველამ იცოდა, რომ ამბოხებულებს დახოცავდნენ და მდინარეში გადაყრიდნენ. ყოველ წუთს ტრაგედია იყო მოსალოდნელი. ტოლიკი ვეფხვივით დაბზრიალდა. აქეთ ეცა, იქით ეცა, ერთი ყუთი კონსერვი იშოვა და ზონის გარეთ მყოფთა დახმარებით კატარღაზე გაგზავნა. ამით სამოცი კაცის სიცოცხლე იხსნა იმ დღეს ტოლიკ ალიევმა.

საპატიმრო ადგილებში არაფერი იმალება და ხმა მისი გმირობის შესახებ არა მარტო გულაგს, მთელი საბჭოეთის კრიმინალურ სამყაროს მოედო. ამას დაამატეთ ისიც, რომ ტოლიკს ბევრჯერ თავის თავზე აუღია სხვისი დანაშაული. ცემა-ნამების მიუხედავად, არავინ ჩაუშვია და სულ მალე ისედაც დიდი ავტორიტეტის მქონე კრიმინალი ლეგენდად იქცა. „კანონიერი ქურდის" ტიტულიც შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა...

...მოსკოვმა გადაწყვიტა ერთ წელიწადში გაეყვანათ სარკინიგზო ხაზი ვორკუტამდე. სასწრაფოდ უნდა შეემუშავებინათ მშენებლობის გეგმა და ვიდრე პროფესიონალები პროექტზე მუშაობას დაასრულებდნენ, ტოლიკ ალიევმა მარტოდმარტომ გააკეთა ამ ურთულესი მარშრუტის სრული რელიეფური გეგმა. ბანაკის უფროსი მოროზოვი გაოგნებული იყო. ორმაგი ულუფა დაუნიშნა ნიჭიერ პატიმარს, მაგრამ ტოლიკს სხვა მიზანი ჰქონდა. ნახაზებთან ერთად თავისივე გათავისუფლების ცნობა „დახატა" და კოლონიიდან გაიქცა. აბა, რა ექნა! მანამდე იხვეწებოდა, ქვეყანას უჭირს. ფრონტის წინა ხაზზე საჯარიმო ბატალიონში გამიშვით, მეც მინდა წვლილი შევიტანო ფაშიზმზე გამარჯვებაშიო, მაგრამ არ ენდვნენ — სულ გაქცევაზე უჭირავს თვალი, ახლაც ალბათ ეს აქვს ჩაფიქრებულიო. ის კი ადგა და რვაათასკაციანი ბანაკი კარტის სათამაშოდ გაიწვია, სათითაოდ მოუგო იმხანად შემოტანილი ჯერ ფეხჩაუდგმელი რეზინის ჩექმები, მერე მონაგები ბანაკს გარეთ მყოფი ნაცნობების დახმარებით ფულად აქცია და ბანაკის უფროსს მაგიდაზე დაუგდო ფულით სავსე ტომარა წარწერით: „პატიმარ ალიევისაგან ტანკ-ტ-34-ის შესაძენად. დასცხეთ ფაშისტებს!".

ბანაკიდან გამოქცეულმა რკინიგზის სატვირთო შემადგენლობის გამცილებლად დაიწყო მუშაობა. შენიშნა, ვაგონები ცალ მხარეს ცარიელები დაგორავდნენ. ადგა, ხილითა და ბოსტნეულით დატვირთა და ისე, რომ არავისთვის არაფერი წაურთმევია, ფული გააკეთა, მაგრამ დაასმინეს და კვლავ დაიჭირეს. რუსთავში იჯდა. სწორედ მაშინ იყო, რამდენიმე კაცთან ერთად სამოცდაათი მეტრი სიგრძის გვირაბი რომ გათხარა. მეხივით გადაუარა ამ ამბავმა მთელი ქვეყნის ციხე-კოლონიებს.

მერე ისევ „დახატული" დოკუმენტებით ოდესაში ჩავიდა, რკინიგზის სახელოსნოში ოსტატად მოეწყო და სულ მალე იმ დონის გამოგონებები დანერგა გზების რემონტის სფეროში, რომ ყოველთვიურად მილიონებს ზოგავდა სახელმწიფო. დაუფასეს. მოსკოვიდან მოვიდა განკარგულება, მოემზადებინათ საბუთები ალიევისთვის სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ და მოძმე ქვეყნისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით დაეჭირათ ჩინეთში მისი გამგზავრების თადარიგი, ხოლო მისი ფოტო მოწინავეთა დაფაზე გამოეკრათ. ამან დალუპა — მილიციის განყოფილებებს ჩამორიგებული ჰქონდათ მისი ფოტოები წარწერით: „განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი. კრიმინალური ავტორიტეტი. ქვეყნის მტრების ოჯახის წევრი".

ისე გამოვიდა, რომ პეკინის მაგივრად ვორკუტაში ამოყო თავი... მის მიერვე დაპროექტებული რკინიგზით. ამნისტიას ბლაგოვეშჩენსკის დახურულ ციხეში შეხვდა, მაგრამ იცოდა, რომ მას, გამოუსწორებელ რეციდივისტს, ამნისტია არ შეეხებოდა და კარბიდის ნატეხი გადაყლაპა. კუჭი დაიწვა. შედეგად მის პირად საქმეში გაჩნდა ჩანაწერი: „ქრონიკული დაავადება", ეს კი თავისუფლებას ნიშნავდა.

თბილისში ჩამოვიდა. ბავშვობის დროინდელი შეყვარებული ლუსია მოძებნა, ცოლად შეირთო და საბოლოოდ, მოსკოვში დასახლდა. ამ ქორწინების წინააღმდეგი ერთადერთი ადამიანი, ლუსიას დედა იყო. სწორედ ის პიონერხელმძღვანელი, რომელმაც წითელი ყელსახვევი შეხსნა ოდესღაც ტოლიკს.

ბევრი უკირკიტა მოსკოვის მაღაზიებს და შოკოლადის დეფიციტი აღმოაჩინა: რამდენიმე კვირა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში ჩაჯდა და შოკოლადის დამზადების ტექნოლოგია შეისწავლა, შეიძინა ფოლგა და კაკაოს ესენცია. წნეხად სატვირთო მანქანის დომკრატი გამოიყენა და შოკოლადის „მედლების" ჩამოსხმა დაიწყო, თუმცა იმ მასშტაბის მოაზროვნე-მეწარმისათვის, როგორიც ტოლიკ ალიევი იყო, ეს საქმე წვრილმანი გახლდათ და მანაც ასფალტის ქარხნების კონსტრუირება დაიწყო. ეს იყო საბჭოთა კავშირში პირველი კოოპერატივი, რომელიც ჯერ კიდევ სამოციან წლებში მუშაობდა და დიდი წარმატებითაც. საქმე დაიძრა. ალიევის ხელმძღვანელობით უკვე მუშაობდა ათობით ასფალტის ქარხანა და უამრავი ბრიგადა რუსეთის ათობით ოლქში, მაგრამ გამდიდრებული ანატოლი ალიევი ვერანაირად ვერ ჩაჯდა სოციალიზმის ჩარჩოებში, სადაც სიმდიდრე სირცხვილად ითვლებოდა. მართალია, მაშინდელმა „ობეხესმა" დოკუმენტებში ვერაფერი უპოვა, მაგრამ დაემუქრნენ, „ვოლგა" გყავს შეძენილი მაღაზიის გვერდის ავლით და თუ ასფალტს არ შეეშვები, ამისთვის დაგიჭერთო. რა უნდა ექნა, ასფალტს შეეშვა და იატაკქვეშეთში გადავიდა.

ეს იყო სსრ კავშირში პირველი კერძო საამქროები, რომლის ბაზაზეც მოგვიანებით „მეწარმეთა მოძრაობა" დაიწყო. ოთხმოციანი წლების მიწურულს უკვე ხანდაზმულმა ალიევმა ბოლოს და ბოლოს, აიხდინა ოცნება და პირველი ფაბრიკა გახსნა, სადაც ტანსაცმელს კერავდა... ამჯერად უკვე პირადი დამღით.

ამ უდავოდ ნიჭიერი კაცის ცხოვრების ტრაგედია ის არის, რომ ის ჩაკეტილ ქვეყანაში დაიბადა და ათეული წლების განმავლობაში გულუბრყვილოდ ცდილობდა კაპიტალისტური აზროვნება საბჭოთა სისტემაზე დაემყნო.

— დასანანია, — უთქვამს ერთხელ, — ცხოვრება ორ არწივს შორის გაფრინდა და ჩაიფერფლა. პირველი მეფის ორთავიანი არწივი კოტლასში ვნახე, სადაც ეტაპით ჩაგვიყვანეს პატიმრები, მეორე ახლახან გამოჩნდა ახალ ლოზუნგებსა და დოკუმენტებზე. ძნელი დასაჯერებელია, მათ ექვსი ათეული წელი აშორებთ ერთმანეთს. მთელი ცხოვრება... ამაო ცხოვრება... რაზე გაიფლანგა ეს წლები? თავს ისე ვგრძნობ, როგორც ტყიბულის შახტის ცხენები, წელიწადში ერთხელ რომ ამოჰყავდათ მზის სინათლეზე. უბედურები მაშინვე ბრმავდებოდნენ, მაგრამ მაინც უხაროდათ, ნეტავ გენახათ, როგორ ცეკვავდნენ, ხტოდნენ, ჭიხვინებდნენ, ვერ ხედავდნენ, მაგრამ მზეს შეხაროდნენ და თითქოს მადლობას უხდიდნენ თავიანთ მწვალებლებს ამ ერთდღიანი გართობისათვის, რომელმაც მათი თვალისჩინიც კი შეიწირა. აი, ასეთი ვარ ახლა მე. შტოლნიდან ამოყვანილი ცხენი — მოტყუებული, ბრმა, უკბილო, უსარგებლო...

**ვაჟა გავაშელი**



# კრემლი ტერაქტების თავიდან აცილების სანაცვლოდ კრიმინალებს ხელშეუხებლობას ჰპირდება

## „რუსეთში შეხიზნული ონიანის გარშემო საკმაოდ სერიოზული დაჯგუფებები მოიყრიან თავს"



რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ბოლო დროს გაჩენილი ისტერიული ფონი ნაწილობრივ ჩაცხრა. ამ გარემოებას პუტინისა და სააკაშვილის ბოლო შეხვედრას უკავშირებენ და არცთუ უსაფუძვლოდ. ფაქტია, რომ საქართველოს პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ კრემლის ყველაზე ანტიქართული ძალებიც კი თავს იკავებენ საქართველოს მისამართით ჩვეული განცხადებების გაკეთებისგან. თუმცა, კომპეტენტური წრეები თვლიან, რომ ეს გარემოება სულაც არ მოასწავებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის საბოლოო დათბობას. იმავე წრეებში ფიქრობენ, რომ „კარტის გახსნა" სააკაშვილის ვაშინგტონიდან დაბრუნების შემდეგ მოხდება. შესაბამისად, ცხადი გახდება, რა სახეს მიიღებს სამომავლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. მანამდე კი, როგორც ჩანს, რუსეთში დროს არ კარგავენ და ქართველი არალეგალური ემიგრანტების წინააღმდეგ ახალ კამპანიას იწყებენ. ჩვენი წყაროების მიერ რუსეთიდან მოწოდებული ინფორმაციით, ბოლო დღეების განმავლობაში რუსეთში რამდენიმე ასეული უკანონო ქართველი ემიგრანტი დააკავეს, რომელთაც, სავარაუდოდ, სამშობლოში დეპორტაცია ელოდებათ. არალეგალების წინააღმდეგ მსგავსი ზომების მიღება რუსეთისათვის უცხო ხილი არ არის, მაგრამ საინტერესოა, რომ დაკავებულთა სიაში, როგორც წესი, ის ადამიანები ხვდებიან ხოლმე, რომლებიც მცირე ბიზნესით ან სამშენებლო საქმიანობით არიან დაკავებული. ქართულ კრიმინალურ წრეებს კი, რომლებიც რუსეთის მთელ სივრცეზე არიან მოდებული, რატომღაც ასეთი საშიშროება არ ემუქრებათ.

### „ეს არ არის მხოლოდ ქართველების წინააღმდეგ მიმართული აქცია"

„კვირის პალიტრას" ესაუბრება კონფლიქტოლოგი **დავით ბელაშვილი**:

— ის ფაქტი, რომ ქართული კრიმინალური წრეები რუსეთში საკმაოდ კარგად გრძნობენ თავს, ორი გარემოებით არის გამოწვეული. ჯერ ერთი, წლების მანძილზე ქართველმა კრიმინალებმა მოახერხეს სახელისუფლებო წრეებთან კარგი ურთიერთობის დამყარება, რისი წყალობითაც რუს ჩინოვნიკთა ჯიბეებში სოლიდური თანხები ილექება. სამაგიეროდ, ისინი კრიმინალებს ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევენ. სრულიად სხვა კუთხით დგას საკითხი, როცა საქმე იმ არალეგალებს ეხება, რომლებიც რუსეთში პატიოსნად შრომობენ. ეს ადამიანები საქართველოში, თავიანთ ოჯახებში, სოლიდურ თანხებს აგზავნიან. ეს კი არაფრით არ შედის ანტიქართული წრეების ინტერესებში. ასე რომ, მსგავსი კამპანიები სამომავლოდაც ხშირი იქნება.

— **რამდენად სერიოზულია ჩეჩნური ტერორის ხელახლა აღორძინების საკითხი, მაშინ, როცა ჩეჩნეთის საქმე რუსეთმა თითქმის უკვე „დახურა"?**

— ბოლო მოვლენებით იკვეთება, რომ ეს ასე არ არის. ერაყმა, რომელიც ამერიკისთვის „თავის ტკივილად" იქცა, რუსეთსაც შეუქმნა პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ყოველთვის ეხმარებოდა ერაყს, დღეს აღმოჩნდა, რომ ერაყში გააქტიურებული „ალ-ქაიდა" — ამერიკელთა №1 მტერი, რუსეთსაც მტრულად უყურებს. გამოდის, „ალ-ქაიდამ" უღალატა ცნობილ მოსაზრებას — „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია". ერაყში გატაცებული რუსი დიპლომატების საქმე ამის კარგი მაგალითია. როცა რუსი დიპლომატები გაიტაცეს, კრემლში ფიქრობდნენ, რომ აქ რაღაც გაუგებრობა იყო და გამტაცებლები მძევლებს მალე დააბრუნებდნენ. შემდეგ გაირკვა, რომ საქმე ასე მარტივად არ იყო: მძევლების დაბრუნების სანაცვლოდ გამტაცებლებმა არც მეტი, არც ნაკლები, ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანა და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოითხოვეს. ეს მოთხოვნა მოულოდნელი აღმოჩნდა რუსეთისთვის, რომელიც ფიქრობდა, რომ ეს საკითხი დაკონსერვებული ჰქონდა. ამიტომაც, არცთუ უსაფუძვლოდ ელიან, რომ „ალ-ქაიდა" მხოლოდ მძევლებზე ნადირობით არ შემოიფარგლება, ანუ მორიგი დივერსიული აქტების საშიშროება რუსეთის ტერიტორიაზე ისევ არსებობს. ასე რომ, არალეგალთა წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა ერთგვარი საშიშროებიდანაც გამომდინარეობს. მართალია, ქართველ არალეგალთა გარევა ამ საქმეში ზედმეტია, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ქართველების წინააღმდეგ მიმართული აქცია. სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, რუსეთი თავის ტერიტორიაზე მყოფი კრიმინალების გამოყენებასაც გეგმავს.

— **როგორ?**

— ტარიელ ონიანის საკითხი, რომელმაც რუსეთის მოქალაქეობის მიღების სურვილი გამოთქვა, განხილვის სტადიაშია. კონფიდენციალური ინფორმაციით, ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტს მოქალაქეობას მისცემენ. ამ ნაბიჯით რუსეთი მთელ ტერიტორიაზე დაქსაქსული კრიმინალური ელემენტების კოორდინირებას შეძლებს, რადგან ონიანის გარშემო საკმაოდ სერიოზული დაჯგუფებები მოიყრიან თავს. რუსები ამას სათავისოდ გამოიყენებენ, რადგან კრიმინალებს წაუყენებენ ულტიმატუმს — მიიღებთ ხელშეუხებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შეძლებთ ტერორისტული აქტების თავიდან აცილებას, რასაც კრიმინალური წრეები აუცილებლად დასთანხმდებიან. სხვათა შორის, ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ამერიკაში პუვერის „ცე-რე-უს" ბიჭებმა ვერაფერი გააწყვეს გერმანელი დივერსანტებისა და შპიონაჟის წინააღმდეგ, დასახმარებლად სიცილიურ მაფიოზურ სინდიკატებს მიმართეს, რომელთაც ბრწყინვალედ გაართვეს თავი ამ ამოცანას. დღეს იგივე განმეორდება რუსეთშიც. მთლიანობაში კი, რუსეთის შიში ჩეჩნეთის საკითხის გააქტიურების მიმართ, ჩვენთვის მომგებიანი უნდა იყოს.

— **რატომ?**

— ჯერ კიდევ სააკაშვილთან შეხვედრამდე პუტინმა ხმამაღლა თქვა, რომ რუსეთისთვის პრიორიტეტულია საკუთარ საზღვრებს შიგნით სტაბილურობის მიღწევა და არა — საზღვრებს გარეთ ხელების ფათური. ეს არ იყო უბრალოდ წამოსროლილი სიტყვები. პუტინმა კარგად იცის, რომ ჩეჩნეთის საკითხის კიდევ ერთხელ „აფეთქება" ამჯერად შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მთელი რუსეთისთვის, რომელმაც ისედაც დიდი ეკონომიკური ზარალი ნახა ჩეჩნეთის ომით. მეორე მხრივ, თუკი რუსეთი აფხაზურ-ოსური ექსტრემიზმის ბოლომდე და აშკარად მხარდაჭერას შეეცდება, ამით იმის პრეცედენტს შექმნის, რომ ჩეჩნეთსაც აქვს დამოუკიდებლობის უფლება. ამიტომ ურჩევნია ასე არ მოხდეს და აფხაზეთ-ოსეთის მიერთების ნაცვლად ჩეჩნეთის შენარჩუნებაზე იზრუნოს.

— **ფიქრობენ, რომ ეს საკითხი სააკაშვილის ამერიკაში ვიზიტის შემდეგ გახდება ცხადი.**

— წინასწარ ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ფაქტი ერთია — რუსეთი ვერასოდეს მოახერხებს ხმამაღლა აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მეტსაც გეტყვით. საკმაოდ ხშირად ისმის აფხაზეთის გაყოფის საკითხიც — ნახევარი რუსეთს, ნახევარი — საქართველოს. ესეც წარმოუდგენლად მიმაჩნია. რადგან ისევ ვიმეორებ, რუსეთს ჯერ თავისი პრობლემები აქვს თავსაყრელად, თანაც დანარჩენი მსოფლიოს ის ნაწილი, რომელიც საქართველოს თავის პარტნიორად მიიჩნევს, ამას არ დაუშვებს, თუნდაც იმიტომ, რომ სტაბილური საქართველოს არსებობის საკითხი ისევ აქტუალურია და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმე უახლოეს მომავალში სწრაფი ტემპებით დაიწყება.

**დავით დევდარიანი**


სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული
საქართველო-ისრაელის
სტომატოლოგიის ინსტიტუტის
მრავალპროფილიანი
სამედიცინო კოლეჯი
აცხადებს მიღებას

თბილისი,
ჩარგლის 34
მეტრო „ღრმაღელე"

☎ 61-54-23 (დღისით)
34-16-37 (საღამოს)
78-97-97 (საღამოს)
893-90-63-09
893-71-55-11

www.interbusiness-medical.edu.ge
E-mail: institutemedicaledu.ge@yahoo.com
infomedicaledu.ge@yahoo.com



SCHNEEKOPPE

ჯანმრთელობა სულაც არ ნიშნავს
გემრიელ საკვებზე უარის თქმას

სანდო და ცნობილი
გერმანული ფირმა
„SCHNEEKOPPE პროდიეტა"



დიაბეტური კვების პროდუქტების მწარმოებელი წამყვანი მარკა გერმანიაში, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული ხარისხით და ფართო ასორტიმენტით გაჩუქებთ განუმეორებელ გემოს და ნამდვილ დღესასწაულს.
ზემოთ აღნიშნული კვება და ამერიკული ფირმა ლაიფსკანის ბოლო თაობის ყველაზე სანდო გლუკომეტრი One Tourch ULTRA
შეგიძლიათ შეიძინოთ:



გამსახურდიას №6-ში მდებარე მაღაზია „დიეტაში". გაბაშვილის №5-ში (მ. გოცირიძესთან). და მუხიანის II მ/რ IV კორპ-ში მდებარე აფთიაქში.
ტელ: 31-20-30
გლუკომეტრებზე მოქმედებს სპეციალური ფასდაკლება (ფასი შეადგენს 99 ლარს)


# პარლამენტის მუშაობა უფრო ეფექტიანი გახდება

ჩვენს აჩქარებულ და დაძაბულ ცხოვრებაში, როცა მსოფლიოში ყოველ წუთს ათეულობით უმნიშვნელოვანესი მოვლენა ხდება, მთავარ პრობლემად დროის ფაქტორი რჩება. საქმიანი ადამიანები, სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურები ხშირად დგებიან ფაქტის წინაშე: დოკუმენტაციის გამრავლების, ბუკლეტების გამოცემისა და აკინძვის, პარტნიორებისთვის თუ ოპონენტებისათვის გადაგზავნა-გაცნობის დროის განმავლობაში დღესაც კი ჩაუვლია, დღეს, რომელსაც შეეძლო გაცილებით მეტი სიკეთისა და წარმატების მოტანა როგორც მისთვის, ასევე ქვეყნისთვის. საქმიანი ადამიანისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი დროა, რომელიც მართლაც ყველაზე ძვირად ფასობს. ამიტომაც საქართველოს პარლამენტში დამონტაჟებული ამერიკული კომპანია XEROX-ის ციფრული საწარმოო-საბეჭდი სისტემა „ნუვერა" არა მარტო პარლამენტისათვის, ქვეყნისთვის გაკეთებულ საჩუქრად შეიძლება ჩაითვალოს.



ეს პირველი პრეცედენტია, როცა XEROX-ის აღნიშნული დიზაინისა და შესაძლებლობების მქონე დანადგარი დამონტაჟდა ევრაზიის ტერიტორიაზე, მათ შორის რუსეთის ფედერაციის, რუმინეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ბულგარეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების, ბალკანეთის ნახევარკუნძულის, აზიისა და კავკასიის ქვეყნებში. „XEROX ნუვერა" პარლამენტს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტმა „საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება" გადასცა. კანონპროექტებისა და უკვე მიღებული კანონების სწრაფი და შეუფერხებელი ბეჭდვისა და გავრცელების, საქმის წარმოებისა და დოკუმენტმოძრაობის პროცესების რაციონალიზაციისათვის, აგრეთვე, პარლამენტის სხვა შიდა ბიზნესპროცესების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით „XEROX ნუვერა" ჩართულია პარლამენტის ახალ ლოკალურ კომპიუტერულ ქსელში. ეს საშუალებას იძლევა პარლამენტის წევრებმა თავიანთი სამუშაო ადგილებიდან აწარმოონ კანონპროექტების, სხვა დოკუმენტაციის ბეჭდვა, გამრავლება და აკინძვა.

„XEROX ნუვერას" შეუძლია ასლების გადაღება, სკანირება, ბეჭდვა, ბეჭდვისშემდგომი დამუშავება, აკინძვა, ყდაში ჩასმა, პერფორაცია, დაწყობა, გადაკერება და თერმოაკინძვა. შეუძლია გამოუშვას მზა პროდუქცია ბუკლეტების ან ბროშურების სახით, თანაც „XEROX ნუვერას" ახასიათებს განსაკუთრებული მაღალი ხარისხი და ეტალონური საიმედოობა. მის მაღალ მწარმოებლურობას განსაზღვრავს პროგრამული უზრუნველყოფა DOCUSP, რომელიც მართავს აღნიშულ სისტემას, ასევე XEROX-ის სხვა მოწყობილობების მთელი პარკი, რომლითაც ის აღჭურვილია. სისტემა ადვილი სამართავია და ერთი ოპერატორი ემსახურება. სისტემის სრულყოფილად ასათვისებლად პარლამენტის ოთხ თანამშრომელს სპეციალური ტრენინგები ჩაუტარეს XEROX-ის თანამშრომლებმა.

ნებისმიერ ტექნოლოგიური მიღწევა აზრს მოკლებული იქნება, თუ ის ზიანს მიაყენებს გარემოს. „XEROX ნუვერა" ამ მხრივაც პირველობს — ლიდერია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაში. კომპანია XEROX თავისი მრავალწლიანი არსებობის მანძილზე დარწმუნდა, რომ ყველაფერი, რაც სასარგებლოა გარემოს დაცვისათვის, ხელსაყრელია ბიზნესისთვის...

„XEROX ნუვერას" მინიმალური დანაკარგით შეუძლია ურთულესი ოპერაციების შესრულება, ქაღალდის ეკონომიასაც კი უზრუნველყოფს ბეჭდვითი რეჟიმების ცვალებადობით.

20 ივნისს ახალდამონტაჟებული სისტემა საზეიმოდ გაიხსნა პარლამენტში. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ და ბატონმა ვლადიმერ პაულენკომ — XEROX-ის კომპანიის ევრაზიის ქვეყნებში საერთაშორისო ჯგუფის მენეჯერმა კიდევ ერთხელ მიულოცეს ამ ტექნოლოგიის დანერგვა ქართველ პარლამენტარებს და მწვანე შუქი აუნთეს მომავალი წარმატებული საქმიანობისთვის.

R

# ასლანმა მაშინ ლოთის პისტოლეტი აჩუქა

ის ხალხი, რომელიც ზვიადის გვერდით იყო, ხშირად გადაწყვეტილებებს აცვლევინებდა





ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს წლების შემდეგ სხვადასხვა შეფასება ეძლევა. ამა თუ იმ ეპოქის გმირებიც განსხვავებულად უყურებენ ცალკეული პიროვნების ღვაწლს. საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თავის მემუარების წიგნში ავთანდილ მარგიანსა და შავი ზღვის ფლოტის სარდალ ბალტინის საქართველოში შემოსვლის ეპიზოდს იხსენებს. ბალტინის შემოსვლაზე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა — ნაწილისთვის ბალტინი დღემდე ოკუპანტია, შევარდნაძე და მარგიანი კი მას ქართველების გადამრჩენს უწოდებენ. ექსპრეზიდენტი და ყოფილი ვიცე-პრემიერი თავიანთ დამსახურებებსაც სხვადასხვაგვარად აფასებენ.

**ავთანდილ მარგიანი**: — ჩემი და ბატონი ედუარდის ურთიერთობა დღეს ძალზე მძიმეა... ერთად ვიბრძოდით, ვმუშაობდით, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაიყარა. არასოდეს არაფერი მიჭირდა, რამდენიც მჭირდებოდა, იმდენი ყოველთვის მქონდა. ნეტავ მთელი საქართველო ისე იყოს მატერიალურად, როგორც მე ვარ, გული მტკივა, როდესაც ჩემ გარშემო ამდენი გაჭირვებულია. ამ საშინელ გაჭირვებას უპირველესად, ედუარდ შევარდნაძეს ვაბრალებ, მერე ჩემს თავსაც, რომ თავის დროზე მეუყაითობა და წინდახედულობა ვერ გამოვიჩინე. მგონი, შევარდნაძე ბავშვობიდან სხვა, არასწორი მიმართულებით გაზარდა რაღაც ძალამ და იქამდე მიიყვანა, რომ იმაზე დიდ მტრობას საქართველოს ვერავინ გაუწევდა, რაც მან და ხელისუფლებაში მისმა მოყვანილმა ძალამ — „მოქალაქეთა კავშირმა" გაუწიეს.

ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს იცოდნენ დიდგვაროვნებმა, რომ თუ მათ შვილებს გლეხის გოგო-ბიჭებთან არ ექნებოდათ ურთიერთობა, გულისხმიერები ვერ გაიზრდებოდნენ. მხოლოდ ფული არაფერია. აბა, თუ დამისახელებთ ვინმე მილიარდერის შვილს, რომელიც გამოჩენილი მეცნიერი, დიდი პოეტი, ხელოვანი ან თუნდაც სახელგანთქმული სპორტსმენი გამოსულიყო.

ფულს გული უნდა სჯობდეს. შევარდნაძე უჭკვიანესი კაცია, მაგრამ გული არ აქვს, სიყვარული აკლია...

ზოგი მეუბნება, შევარდნაძესთან გაუგებრობა გაქვსო. გაუგებრობა კი არ მაქვს, ვმდური — რომ ქვეყანა ამ დღეში ჩააგდო! რა გუნდი დატოვა ქვეყნის სათავეში?! ამ გუნდიდან მიხეილ სააკაშვილსაც გაუჭირდება თავის დაღწევა.

ვერ ხედავთ, დღისით-მზისით ადამიანების მოკვლის ბრძანებებს იძლევიან. ქვეყნიდან 64 ათასი ქალია საშოვარზე გასული. ღირსეული ქართველი კაცი სირცხვილით თავს ვერ უნდა ყოფდეს გარეთ.

90-იანი წლების დასაწყისი იყო. პოლიტბიუროს წევრები მოსკოვის მახლობლად, აგარაკზე შეიკრიბნენ. მეგობარი მახლდა მეუღლესა და ცოლისდასთან ერთად. სუფრასთან ვისხედით... საბჭოთა კავშირში რანგით მესამე კაცმა ჩემი მეგობრის ცოლისდასთან მოინდომა ცეკვა. არაფრით არ ეცეკვა ქალი. სამჯერ მოვიდა ის კაცი და სამჯერვე უარი მიიღო, მერე ლამის ატირდა — ქართველი ქალი არ მეცეკვაო. ახლა კი... ლევან მამალაძის დროს ქვემო ქართლში სხვა რაიონებიდან იყვნენ ქალები ჩამოსული სამუშაოდ (800-მდე იქნებოდა). დღის ბოლოს დამქირავებელი აზერბაიჯანელი 5 ლარს უხდიდა, მერე უკეთესებს ამოარჩევდა და... აღარ მინდა თქმა...

აი, ეს არის სწორედ შევარდნაძის ბრალი. ეკონომიკურ გაჭირვებას მოვერეოდით, მეცნიერება, განათლება და კულტურა რომ ინგრევა, ესეც არაფერია იმასთან შედარებით, რაც დაგვემართა — ზნეობრიობა შეგვერყვნა. კიდევ დიდი დრო დასჭირდება ქართველი ერის ზნეობრივ გაჯანსაღებას.

ილია ჭავჭავაძე უაზრო ლექსებს წერდაო, აი, ეს დაგვაქცევს. ამ დაქცევის ნიშანი იყო, 50-მა ქართველმა ჯარისკაცმა რომ დაიჩოქა სამაჩაბლოში. შესაძლოა, ხელი მეც ავწიო, იარაღიც ჩავაბარო და ტყვედაც ჩავბარდე, მაგრამ დაჩოქება? ამასაც შევარდნაძეს ვაბრალებ. თუ მისი ხელისუფლებაში მოსვლისა და წასვლის პერიოდი არ გავაანალიზეთ, სათანადო დასკვნები არ გამოვიტანეთ, პოლიტიკურ ბურუსში ვიქნებით. მედიცინაშიც ხომ ასეა? — თუ დაავადების ისტორია არ შეისწავლე, ისე დიაგნოზს ვერ დასვამ და ვერც მკურნალობას დანიშნავ. ასევეა საჭირო ჩვენი საზოგადოების, ქართველი ერის დაავადების შესწავლა.

მეგონა, ედუარდ შევარდნაძე ხალხის სამსახურისთვის გაწირავს თავს-მეთქი. მოსკოვში პირველად რომ ვნახე, წინა დღის გადამდგარი იყო საგარეო საქმეთა მინისტრობიდან, ვერ წარმოიდგენთ, რა გაცრეცილი პიჯაკი ეცვა.

**— მაშინ რატომ აღმოჩნდით შევარდნაძესთან?**

— საქმეებზე გამაგზავნა ზვიადმა მოსკოვში და რაკი იმ პერიოდში სამხრეთ ოსეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ამის გამო შევხვდი შევარდნაძეს. მითხრა, რაც შემეძლო, იმას ვაკეთებ-

## „შევარდნაძე უჭკვიანესი კაცია, მაგრამ გული არ აქვს"

დი ჩემი ქვეყნისთვის და თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება დამავალებს, ბარს და ნიჩაბსაც კი მოვკიდებ ხელს ჩემი ქვეყნის საკეთილდღეოდო. გახარებული წამოვედი და მოვახსენე ბატონ ზვიადს. მასაც გაუხარდა. შუადღისას პარლამენტის შენობის წინ აქცია გაიმართა, გაიძახოდნენ, შევარდნაძე უმუშევარი დარჩა და მამათის სკოლაში გავუშვათ მასწავლებლადო.

**— აქცია გამსახურდიას ნებართვით ჩატარდა?**

— არა, რას ამბობთ! მის დაუკითხავად და ალბათ, მიხვდებით, ვინც მოაწყობდა. ბატონ ზვიადს დავურეკე, იმ კაცმა ასეთი კარგი რამ შემოგითვალათ, სამშობლოს სამსახური უნდა და ეს აქცია რას ნიშნავს-მეთქი. არაფერია, ბატონო ავთანდილ, მაგათ იყიყინონ, ჩვენ საქმე გავაკეთოთო, მაგრამ, სამწუხაროდ ის ხალხი, რომელიც ზვიადის გვერდით იყო, დიდ გავლენას ახდენდა მასზე, გადაწყვეტილებებს აცვლევინებდა.

ედუარდ შევარდნაძეზე ვერ ვიტყვი, ვინმესთან თანამშრომლობას ერიდებოდა-მეთქი. ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ზვიადთანაც უნდოდა თანამშრომლობა. თანახმა იყო, ვადამდელი არჩევნებიც ჩატარებულიყო, თუკი ამით გამსახურდიას მომხრეებს შემოვირიგებდით.

**— სხვები საწინააღმდეგოს ამბობენ: სანამ ზვიად გამსახურდია ცოცხალი იყო, შევარდნაძეს სიმშვიდე ჰქონდა დაკარგული, სულ ელოდა, რომ ექსპრეზიდენტი ხელისუფლებაში დაბრუნებას მოინდომებდაო.**

— არა, არა. შევარდნაძე აქ რომ ჩამოვიდა, ძალიან მაღალი რეიტინგი ჰქონდა, ენდობოდა ხალხი. ერთი ეგ არის, სამეგრელოში შეხვდნენ ცუდად. იცით, რა მოხდა? ბოდიში თქვენთან და, ქალებმა უკანალები აჩვენეს. მე კი იმდენი მოვახერხე, ასლან აბაშიძე და ლოთი ქობალია 1993 წლის ზაფხულში ანაკლიაში შევახვედრე ერთმანეთს. მაშინ ასლანმა პისტოლეტი აჩუქა ქობალიას.

**— რატომ შედგა ეს შეხვედრა?**

— ერთად რომ გვებრძოლა აფხაზეთისთვის. შევარდნაძე ისეთი კაცია, მთელი მსოფლიოს კრიმინალისტები რომ დასვა და გამოაძიებინო მისი ბიოგრაფია, ანგარების ერთ ფაქტსაც ვერ აღმოუჩენენ. ვერავინ იტყვის, ერთი ავტოკალამი მისცა ვიღაცას ან ვინმესგან საჩუქრად აიღოო. ვერც ისეთ ფაქტს ნახავთ, ვინმესთვის დანაშაულის ჩადენა დაევალებინოს. ერთი ეგ არის, შორიდან უყურებდა მოვლენებს. მოკლედ, დიდი ნებისყოფისა და ჭკუის კაცია, მაგრამ განათლება აკლია, გულიც ვერ აქვს ნათელი. საკმარისი მოქნილობა არ აღმოაჩნდა, რომ თავისი ჭკუა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ წარემართა. ეს ნაკლი რომ არ ჰქონოდა, ბევრ სასიკეთოს გააკეთებდა ქვეყნისთვის.

შევარდნაძეს ერთი ღირსება აქვს — თუ რამეზე შეგითანხმდა და სიტყვა მოგცა, გამორიცხულია, გადაუხვიოს. თუ რამის გაკეთება არ უნდა, გეტყვის: კარგია, მაგრამ ვიფიქროთო და შესაძლოა, 10 წელიწადს იფიქროს. კიდევ ერთი თვისება აქვს — სიგლახესა და მტრობას არავის შეარჩენს (მაგრამ სამაგიეროს აშკარად არ გადაუხდის), თუმცა არც სიკეთეს დაუკარგავს ვინმეს.

ერთხელ ჯონ შალიკაშვილი რომ იყო სტუმრად, სუფრაზე ამიერკავკასიის ჯარების სარდალიც დავპატიჟეთ. ქალბატონი ნანულის გვერდით ვიჯექი. ვხედავ, ჯარების სარდალს ფიოდორ რეუტს გარშემო ყველა შემოეცალა, მარტო იჯდა, ხმას არავინ სცემდა. ბოდიში მოვუხადე შევარდნაძის მეუღლეს და რეუტთან გადავჯექი, მოვეფერე — ჩვენი ერთგული კაცი იყო, ბევრ რამეში (კერძოდ კი კოდორის ხეობის შენარჩუნებაში) გვეხმარებოდა... ჩემი საქციელი შევარდნაძეს არ მოეწონა — უტაქტობად ჩამითვალა, პრეზიდენტის მეუღლე რომ მივატოვე. ქალბატონ ნანულისაც ვატყობდი ამის შემდეგ სიცივეს, მანამდე ის და მედიკო მეზვრიშვილი ძალიან მეფერებოდნენ, ამ ფაქტის შემდეგ კი განმერიდნენ. ეტყობა, იმ პერიოდში ჩემს წინააღმდეგ რაღაც წყალქვეშა დინებებიც იყო. საუბრებში ყოველთვის თამამი და გულღია ვარ, ეტყობა, რაღაც ისეთიც ვთქვი, რაც არ მოეწონა, თორემ არ მომისევდა ხალხს.

**— ვინ მოგისიათ?**

— ზურაბ ჟვანია... კომისიები სწავლობდნენ ჩემს საქმიანობას ორი წლის განმავლობაში. რაღაც ინტრიგებს ხლართავდნენ. მედავებოდნენ, უხარისხო ხორბალი შემოიტანეო. არადა რა შუაში ვიყავი, ის ხორბალი ანზორ ბურჯანაძემ შემოიტანა და არც ისე უხარისხო იყო. მერე თურქმენეთიდან შემოტანილი ბუნებრივი აირის საფასურის გამო გამომედავნენ, მოკლედ, არაერთი დაჯგუფება მებრძოდა. 1993-94-95 წლებში ქვეყანაში ხორბლის მწვავე დეფიციტი იყო. ვიფიქრე, ამ საქმეს უნარიან კაცს ჩავაბარებ-მეთქი და პურპროდუქტების კორპორაციის პრეზიდენტად ანზორ ბურჯანაძე შევთავაზე შევარდნაძეს. დაახლოებით ექვს თვეს ვერაფრით დავიყოლიე. ბოლოს მითხრა, კარგი კანდიდატურაა, მაგრამ რუსული არ იცისო. პურის ცხობას რუსული რად უნდა-მეთქი და როგორც იქნა, დავითანხმე. სხვათა შორის, ერთხელ ირაკლი ანდრიაძის ძმაზე, ნოდარ ანდრიაძეზეც მითხრა იგივე (რომელიც აგროკომპლექსის თავმჯდომარედ მყავდა), რუსული არ იცისო. ნოდარს ინსტიტუტი ვოროშილოვგრადში ჰქონდა დამთავრებული, შევარდნაძე ამ მიზეზს ტყუილად იშველიებდა. აი, ასეთი უცნაური რამეების თქმა იცოდა. ერთხელ ვუთხარი კიდეც: ჭკვიან ხალხს ერთი ნაკლი აქვს ბუნებისგან. შორს კარგად ხედავენ, ლამის საუკუნეები აქვთ გათვლილი, მაგრამ ახლოს ვერაფერს ამჩნევენ-მეთქი.

ბუზებივით დაიხვია უუნარო ხალხი და თანამდებობებზეც ისეთები დანიშნა, ერთი დღე რომ არ ჰქონდათ ხელმძღვანელ პოსტებზე ნამუშევარი. იცით, ეს რატომ გააკეთა? — ეროვნული მოძრაობა რომ გაეპარტახებინა. ვუთხარი კიდეც, — ბატონო ედუარდ, ეს რა კადრებს ნიშნავთ თანამდებობებზე-მეთქი. უნდა გავზარდოთ ხალხიო. ადამიანი რომ გაიზარდოს, ის ჯერ შეგირდი უნდა იყოს-მეთქი.

ზოგჯერ ტყუილებიც სჩვეოდა. რომ ჩამოვიდა, თქვა — სამ წელიწადში საქართველოს ფეხზე დავაყენებო და გაედევნა ხალხი, მაგრამ ყველაზე დიდი ტყუილი ბოლოს თქვა — „ვარდების რევოლუციით" ისე გაგვაცურა, ამ ხელისუფლებას ჰგონია, მართლა ჩვენ მოვაწყვეთ რევოლუციაო.

**— ბატონო ავთანდილ, ედუარდ შევარდნაძე მემუარებში წერს, რომ ბალტინის ჯარებს თქვენ შემოუძღვით საქართველოში. იქნებ ეს ეპიზოდი გაგვიხსენებინათ?**

— 1993 წლის აგვისტოში ძალიან გაგვიჭირდა — აფხაზეთიდან მოსახლეობის ევაკუაციას ვერ ვახდენდით. შევარდნაძეს ამ დროს რუსებთან ურთიერთობა ძალიან ჰქონდა დაძაბული. საქართველოში წამოსვლის წინ ელცინს შეხვდა, რომელმაც უთხრა, — საქართველომ და რუსეთმა მეგობრობა უნდა გააგრძელონ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რამდენი იარაღიც გვკუთვნით, იმდენს მოგცემთ, მაგრამ არ უნდა მოხვდეს იქ, სადაც რუსის ჯარი დგას. იმ შემთხვევაში კი, თუ საქართველოდან რუსეთის ჯარის გასვლას მოითხოვთ, მის ნაცვლად სხვა ქვეყნის ჯარი არ უნდა შემოვიდესო. ამ შეთანხმების შედეგად იყო, რომ ცხინვალში ჩაქრა დაპირისპირება, მაგრამ მოულოდნელად ჩვენი ჯარები აფხაზეთში შევიდნენ. რკინიგზის დაცვას ტანკები რად სჭირდებოდა? არ ვიცი, ვინ შეაცდინა მაშინ კიტოვანი და ამიტომ ვამბობ, ყველაფერი უნდა გაირკვეს-მეთქი. სხვათა შორის, ამის შემდეგ მე შევხვდი ელცინს და ვუთხარი, აფხაზეთში კონფედერანტები გვავიწროებენ-მეთქი. მიპასუხა, ორჯერ დავურეკე შევარდნაძეს, რომ სოხუმში ჯარები არ შეეყვანა, მაგრამ არ მომისმინა. სადაც რუსის ჯარი დგას, იქ ომს რომ დაიწყებ და რუსის ჯარს ეომები, როგორ დავეხმარებიო. ბოლოს ისე მოვახერხე, რომ შევარდნაძე მოსკოვში დაპატიჟა (არადა მანამდე ტელეფონითაც კი არ ელაპარაკებოდა) და მეც იქ დავხვდი... მაგრამ შევარდნაძემ მოგვიანებით ისევ დაარღვია რუსეთისთვის მიცემული პირობები და გამოგვყარეს კიდეც აფხაზეთიდან.

ლტოლვილთა განსახლების საკითხები დარგობრივად მე მეხებოდა. აგვისტოში, როცა მოსახლეობის ევაკუაცია ძალიან გაჭირდა, ისევ რუსებს მივმართე. მათი დახმარებით ბალტინზე გავედი, რომელიც მაშინ გენშტაბის აკადემიის უფროსი და იგორ როდიონოვის მოადგილე იყო. ბალტინმა გემები გვათხოვა და ლტოლვილები ბაბუშერიდან ფოთსა და ბათუმში გადმოგვყავდა. დღეს შევარდნაძე ამბობს, ავთო მარგიანი ტრაბახობსო. არ ვტრაბახობ, მასთან ყველაფერს ვათანხმებდი და მერე ვასრულებდი. ბალტინი შევარდნაძის გულისთვის აქ არ ჩამოვიდოდა, ეს ჩვენი (ჩემი და მისი) პირადი ურთიერთობის გამო გააკეთა. მოსკოვიდან დავურეკე პოლიციის გენერალ კუკური როგავას და გენერალური პროკურორის მოადგილეს ვახტანგ გვარამიას, ზუგდიდში ჩადით ლოთი ქობალიასთან და უთხარით, გემები რომ შემოვლენ, არ იფიქრონ, რომ მათ წინააღმდეგ დაიწყებენ მოქმედებას-მეთქი. ერთი ტყვია არ გასროლილა მაშინ. მემორანდუმიც გაფორმდა, რომ შავი ზღვის ფლოტი ფსოუდან სარფამდე საქართველოს საზღვაო სანაპიროს, პორტებსა და რკინიგზას დაიცავდა; რომ ის განაიარაღებდა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს. ჩვენ კი ვივალდებულეთ, რომ შავი ზღვის ფლოტს ბაზად ფოთს დავუბრუნებდით. ფოთში ოქტომბრის ბოლოს შემოვიდნენ ბალტინის კრეისერები, უკვე რომ დამარცხებულები ვიყავით ომში.

**— მაგრამ შავი ზღვის სანაპიროს ნაცვლად ბალტინის ტანკები ქუთაისამდე ჩავიდნენ.**

— ცხრა კრეისერი შემოიყვანა ბალტინმა. სხვათა შორის, ბათუმში რომ კრეისერები გაჩერდა, ასლან აბაშიძე აყვირდა, მაგრამ დავურეკე, ჩვენები არიან-მეთქი და გაჩერდა. ბალტინი სევასტოპოლიდან გადმოფრინდა და ერთ-ერთ გემზე დაჯდა ვერტმფრენით. მთელი ფოთი სიხარულით დახვდა, ხალხს სიმშვიდის იმედი ჰქონდა, რადგან „მხედრიონმა", არაფორმალურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა და ექსპრეზიდენტის მომხრეებმა რამდენჯერმე დაარბიეს...

მოგვიანებით მალთაყვაში შეხვდნენ ერთმანეთს ბალტინი და შევარდნაძე. შევარდნაძე შუბლშეკრული იყო, სიხარულით არ დახვდრია შავი ზღვის ფლოტის სარდალს. სუფრაზე ბალტინმა უთხრა, ჩემს აქ ჩამოსვლას სამი მიზეზი აქვს: ეს გავაკეთე ჩემი სინდისის კარნახით, საქართველოს სიყვარულითა და ავთანდილ მარგიანთან კარგი ურთიერთობის გამოო.

**— საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ბალტინი ზვიად გამსახურდიას მომხრეების გასანადგურებლად შემოიყვანეს საქართველოში.**

— სამი ჯავშანტრანსპორტიორითა და ორი ტანკით წავედი ზუგდიდისკენ. კაკო ელიავასა და ვახტანგ ქობალიასთვის ნათქვამი მქონდა, ბალტინი აფხაზეთისკენ მოდის-მეთქი, მაგრამ არ დაიჯერეს... ისინი ამ დროს თავიანთი ძალებით კოპიტნარამდე იყვნენ მისული. მათ არავინ ილებდა როგორც მხოლოდ ექსპრეზიდენტის მომხრეებს. დასავლეთ საქართველო პანიკაში იყო — კონფედერანტები, მეგრელები და სვანები მოდიანო. ისინი რომ ქუთაისში შესულიყვნენ, საშინელება დატრიალდებოდა — მთელ იმერეთს აოხრებდნენ. კუთხე კუთხეს წაეკიდებოდა და ვინ იქნებოდა მათი შემრიგებელი?! მაშინ ვერტმფრენის პილოტებს, ოთარ მუშკუდიანსა და გაბიანს ვუთხარი — არეულობაა მოსალოდნელი, იმერეთი უნდა გადავარჩინოთ-მეთქი. იმ ვერტმფრენით 90 კაცი ჩამოიყვანეს ქუბერიდან გია ვაშაკიძის ხელმძღვანელობით. რუსების ჯარების კორპუსის ხელმძღვანელ პავლ ლაბეტანს ვთხოვე, იქნებ ჯავშანტრანსპორტიორებმა რუსული დროშით იარონ გზაზე, რათა დაძაბულობა განიმუხტოს-მეთქი. ამან გაამართლა. იცოდეთ, ბალტინს ერთი ტყვიაც არ გაუსვრია საქართველოში...

ედუარდ შევარდნაძე მემუარებში ყველაფერს არ ამბობს, სჯობია, გულწრფელად თქვას, სად შეცდა, ვინ მოატყუა, ვინ არ გამოადგა და ვინ უღალატა. თუ ამ ყველაფერს იტყვის, მართალი კაცის სახელს მაინც დაიმკვიდრებს.

*იზო რიკაძე*

დაიწყო ჩაწერა „ორ-ავნერის" ქართულ-ებრაულ საგანმანათლებლო სკოლაში ახალი სასწავლო წლისთვის.
☎ 37-28-50; 899-48-58-70
ОР-АВНЕР
დაიწყო ჩაწერა „ორ-ავნერის" ქართულ-ებრაულ ბაღში ახალი სასწავლო წლისთვის.
☎ 37-28-50; 899-72-96-19

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 14 ივნისის №609 ბრძანებით საქართველოს კოოპერაციულ ინსტიტუტს მიეცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია.
ინსტიტუტში ფუნქციონირებს:
- ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი,
- სამართლის ფაკულტეტი,
- ჯანდაცვის (სტომატოლოგიური) ფაკულტეტი,
- ჰუმანიტარული (უცხო ენების) ფაკულტეტი.
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №44
☎ 39-18-03; 39-18-74; 39-68-30

# დიდი ვაჭრობა სამხრეთ ოსეთისთვის

**Коммерсантъ**



თუ ასე გაგრძელდა, პატარა აუღიარებელი რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთი შეიძლება თვალის დახამხამებაში არ აყვავდეს, მაგრამ ეკონომიკურად კი გაძლიერდეს. ბრიუსელში, დონორი ქვეყნების კონფერენციაზე, ცხინვალის რეგიონის სარეაბილიტაციოდ 7,5 მლნ ევროს გამოყოფა გადაწყდა და მაშინვე სამხრეთ ოსეთი კვლავ რუსეთისა და საქართველოს შეჯახების მიზეზად იქცა. თავიდან რფ-ის წარმომადგენელმა განაცხადა, — მოსკოვი მზადაა, 3 მლნ ევრო გადასცეს უშუალოდ სამხრეთ ოსეთის მთავრობასო. ასე არ უნდაო და საქართველომაც გამოიღო ხელი. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების მერე ხმამაღალი განცხადება გააკეთა: თბილისი თავისი მეამბოხე ტერიტორიის ფეხზე დასაყენებლად რუსეთზე ბევრად მეტი ფულის გაღებას აპირებს — 8 მლნ ევროსი. აი, ასეთი უნებლიე აუქციონი გაჩაღდა ბრიუსელში.

სამხრეთ ოსეთი პოსტსაბჭოური სივრცის აუღიარებელ რესპუბლიკებს შორის ყველაზე ღარიბია. ასეთივე სტატუსის მქონე აფხაზეთს შავი ზღვისპირა კურორტებით უდგას სული, დნესტრისპირეთში საუცხოოდაა განვითარებული სამრეწველო კომპლექსი, მხოლოდ სამხრეთ ოსეთს არ გააჩნია არც ზღვა, არც ქარხნები, ბაღ-ბოსტანიც კი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ხალხი კი არ ცხოვრობს, არსებობს.

ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რამაც ევროპას და აშშ-ს გადააწყვეტინა, სამხრეთ ოსეთისთვის ჰუმანიტარული დახმარება გაეწიათ. მეორე მიზეზი ის არის, რომ ევროპა და აშშ დაინტერესებულია, ქართულ-ოსური კონფლიქტის სასწრაფოდ გადაწყვეტაში გათვალისწინებული იქნას თბილისის მიერ წაყენებული პირობები. ეს პირობები რომ ცხინვალმა მიიღოს, საჭიროა ცენტრისგან განდგომილი რეგიონის დახმარება — ენერგეტიკის აღდგენა, ნასახლარებზე ახალი შენობების აგება, გზების მოწესრიგება და, ბოლოს და ბოლოს, სავარგულების დამუშავება-დათესვა. საქართველოს ხელისუფლებას საამისოდ ფული არასოდეს ემეტებოდა, ახლა გამოუჩნდა. ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ბრიუსელში წამოწყებულ ჰუმანიტარულ პროცესს თბილისი მხარს უბამს და ისეთსავე თანხას გამოყოფს სამხრეთ ოსეთისთვის, როგორსაც დონორი ქვეყნებიო. მისი სიტყვები ზუსტად ეხმიანებოდა სანქტ-პეტერბურგში პრეზიდენტ სააკაშვილის ნათქვამს — საქართველო პატარა ქვეყანაა და თავისი მიწის გოჯსაც არავის დაუთმობსო. ქართველებმა რომ გაიგეს, მოსკოვი ცხინვალს ნაღდ ფულს აძლევსო, აბობოქრდნენ. საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიმართ ისეთი აშკარა უპატივცემულობა, როგორიც რუსეთის წარმომადგენლებმა გამოიჩინეს კონფერენციაზე, ჯერ არ გვინახავსო, — განაცხადა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ.

სანამ პოლიტიკოსები დაობდნენ, სამხრეთ ოსეთის ფსონი იზრდებოდა. ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ დე გუჩტმა განაცხადა, ფულის შეგროვება არ დამთავრებულაო და მოუწოდა დონორებს, „ნებისმიერ დროს შეიტანონ ახალი წინადადებები“.

# კილერი და ყოჩაღი მეზობლები

**REGNUM**

ქართულმა კონტრდაზვერვამ გახსნა დანაშაული, რომელიც, როგორც თბილისში ამბობენ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სადისკრედიტაციოდ იყო ჩანაფიქრი. საქმე ის არის, რომ საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური მოწინააღმდეგე, კონსერვატორთა ლიდერი კობა დავითაშვილი ბეწვზე გადაურჩა კილერის ტყვიას. მისი სიკვდილი კი ხელისუფლებას დაბრალდებოდა. იტყოდნენ, აი, როგორ უსწორდება პოლიტიკურ ოპოზიციას საქართველოს პრეზიდენტიო.

დაკვეთილი მკვლელობის მომზადების ფაქტზე თავად თავდასხმის ობიექტმა ილაპარაკა საგანგებო პრესკონფერენციაზე. დავითაშვილის თქმით, მის სახლთან მეზობლებმა საეჭვო უცნობი შენიშნეს. ჰკითხეს, ვის ელოდებითო. მან კი მაყუჩიანი პისტოლეტი დააძრო, ჰაერში ორჯერ გაისროლა და გაიქცა. დაეცა. ხელიდან გაუვარდა პაკეტი, რომელშიც დეპუტატ-კონსერვატორის გაზეთიდან ამოჭრილი ფოტოსურათიც იდო.

შემდეგ ყველაფერი ჩვეული გზით წავიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხელმოცარული დაქირავებული მკვლელის კვალმა ქართველი კონტრდაზვერვის მუშაკები რუსეთში წაიყვანა. როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურმა, გიორგი არველაძემ განაცხადა, ტერორისტი ვლადიკავკაზელი გიორგი კურაევი იყო. ის საქართველოში ცხინვალიდან შემოვიდა და მერე უკან, ვლადიკავკაზში დაბრუნდა. არველაძის ცნობით, ინციდენტის გამოძიებაში ჩართულია აშშ-ის ფედერალური საგამოძიებო ბიურო, მსგავსი პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად კი გაძლიერებულად იცავენ საზღვრებსა და სტრატეგიულ ობიექტებს. არველაძემ ოპოზიციონერ დეპუტატზე ჩაშლილ თავდასხმასა და გორის შარშანდელ ტერაქტს შორის მსგავსება აღმოაჩინა. „იმ ოპერაციის დაგეგმვაში უშუალოდ მონაწილეობდნენ რუსეთის ГРУ-ს მაშინდელი მაღალჩინოსნები“, — აღნიშნა მან.

მაგრამ თბილისში ზოგიერთი ეჭვის თვალით უყურებს ამ ამბავს.

საქართველოს სპეცსამსახურების ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა გვითხრა: „ხელმოცარული ტერორისტი აშკარად არაადეკვატურად იქცეოდა. მან ხალხის მოახლოებისთანავე ჰაერში სროლა ატეხა, გაიქცა და თანაც სამხილიც უხვად დატოვა — ასე მხოლოდ დილეტანტი ან სულიერად გაუწონასწორებელი ადამიანი თუ მოიქცეოდა. მე ეს უფრო ПЗРК Игла-ს ამბავს მაგონებს, რომელიც ზამთარში სადღაც მდინარეში თუ ხის კუნწეროზე აღმოაჩინეს, პირდაპირ საქართველოს ხელისუფალთა საჰაერო მარშრუტებს რომ უმიზნებდა“.




# სოხუმმა ვაშინგტონის რჩევა ყურად იღო



**НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА**

დასრულდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის, საქართველოში მოუგვარებელი კონფლიქტების კურატორის, მეთიუ ბრაიზას ვიზიტი ამ ქვეყანაში. „ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარების ქართული გეგმა მისაღებია, მაგრამ მისი რეალიზება აფხაზურ მხარეზეც არის დამოკიდებული. ეს კონფლიქტი მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს. ამიტომ აშშ მოლაპარაკებების პროცესს აძლევს უპირატესობას“, — განაცხადა ბრაიზამ თბილისში გამართულ ბრიფინგზე.

მანამდე კი ის და საქართველოში აშშ-ის ელჩი, ჯონ ტეფტი აფხაზეთს ეწვივნენ და აუღიარებელი რესპუბლიკის მეთაურს, სერგეი ბაღაფშს შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ აქამდე ამერიკის ადმინისტრაციის ასეთი მაღალი რანგის წარმომადგენლები აფხაზეთში არ ჩასულან. ბაღაფშთან საუბრისას ბრაიზა დაინტერესდა, მზად იყო თუ არა აფხაზური მხარე საქართველოსთან დიალოგის გასაგრძელებლად, შემდეგ კი კონფლიქტის მოწესრიგების ახალი გეგმის მომზადება შესთავაზა, რომელშიც გამოყენებული იქნებოდა აფხაზური და ქართული გეგმების ზოგიერთი დებულება. ბაღაფში აშკარად შეაცბუნა ამგვარმა მოთხოვნამ და უპასუხა, — მზად ვართ მოლაპარაკებების პროცესის გასაგრძელებლად და ყველა წინადადების განსახილველად. მთავარია, მათ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას შეუწყონ ხელი. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო განიხილავს ამერიკული მხარის ყველა წინადადებას და მოგვიანებით გიპასუხებთო. ბაღაფშის გამოსვლიდან კიდევ ერთი პასაჟია საგულისხმო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „აფხაზურ გეგმაში მთავარი პოლიტიკა კი არ არის, არამედ კონფლიქტის ეტაპობრივი დარეგულირება“. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რაზე ილაპარაკეს პირისპირ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა და თვითაღიარებული რესპუბლიკის ლიდერმა, მწირია, მაგრამ ის, რაც გამოქვეყნდა, სერიოზული დასკვნების საფუძველს იძლევა. კერძოდ, შეხვედრის შემდეგ ბრაიზამ ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენ ვილაპარაკეთ, რომ კარგი იქნებოდა, აფხაზეთს ევროპასთან ეკონომიკური თანამშრომლობა განემტკიცებინა“. ევროკავშირის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების განვითარების შეთავაზება ბევრს ნიშნავს. მსგავს პრეფერენციებზე უარი ეთქვა აუღიარებელ რესპუბლიკას — დნესტრისპირეთს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ აღნიშნა, რომ ბრაიზას სოხუმში ვიზიტი შეიძლება „სასიკეთო ნიშნად“ მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, რომ მეთიუ ბრაიზამ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერების ამასწინანდელ შეხვედრას და გაერთიანების იდეას დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა, მხოლოდ აღნიშნა, — მთავარია, მხარეთა მშვიდობიანი ინიციატივებიო. ამ საკითხისადმი ამერიკის წარმომადგენლის ნელთბილი დამოკიდებულება თბილისმა ასე ახსნა: საქართველოში კონფლიქტების მოწესრიგების მთავარი შუამავლობა აშშ-მა იკისრაო. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა კი აღნიშნავს, რომ მეთიუ ბრაიზასთან შეხვედრა მოქმედ სამშვიდობო ფორმატში მიმდინარეობს. ამ ფორმატით კი შუამავლის სტატუსი რუსეთს და გაეროს აკისრიათ.

სოხუმში ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ვიზიტის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს მოხდა მიხეილ სააკაშვილის ვაშინგტონში გამგზავრების წინ. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკელების გააქტიურება საქართველოს მიმართ განსაკუთრებით გამოიკვეთა სანქტ-პეტერბურგში „დიდი რვიანის“ ივლისის სამიტის წინ, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოში კონფლიქტების დარეგულირების პრობლემაც დადგება. ჯორჯ ბუშისა და მიხეილ სააკაშვილის ვაშინგტონური შეხვედრა G-8-ის ფორმატში საქართველოს პრობლემების განხილვის თავისებური პრელუდია იქნება. თეთრი სახლის პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრაზე განიხილავენ „საქართველოს შემადგენლობაში მყოფ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სეპარატისტული კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის საჭირო ღონისძიებებს“.

# „რუსეთი ზედმიწევნით ობიექტური ვერ იქნება“

**LENTA.RU**

5 ივლისს ვაშინგტონში ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტები. ქართულ-რუსული პრობლემების გადაწყვეტაში ამერიკის როლის შესახებ საუბრობს საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი **კონსტანტინე კემულარია**.

*— განიხილავენ თუ არა მიხეილ სააკაშვილი და ჯორჯ ბუში თბილისისა და მოსკოვის ურთიერთობას?*



— რუსულ-ქართული ურთიერთობა და საქართველოში კონფლიქტების დარეგულირების პრობლემა, ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში იქნება, მაგრამ სხვა საკითხებსაც შეეხებიან. მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ შეტყობინებაში ნათქვამია, რომ საქართველო არის ამ რეგიონში ენერგეტიკული უსაფრთხოების მთავარი პარტნიორი. ჩვენი რეგიონი ინტენსიურად იპყრობს მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოთამაშეების ყურადღებას. ცოტა ხნის წინ თბილისში ჩატარდა ენერგეტიკული უსაფრთხოებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. ალბათ სწორედ ეს იქნება აშშ-ში მოლაპარაკების ძირითადი თემა. ალტერნატიული ტრანსკასპიური მაგისტრალის მშენებლობის საკითხი, რომლითაც დაინტერესებულია ევროკავშირი, კარგა ხანია განიხილება, და შესაძლოა სწორედ ახლა გადაწყდეს. აშშ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მდგომარეობა საქართველოში სტაბილური ხდება, რაც მის ტერიტორიაზე ნავთობის გატარების და კომუნიკაციების განვითარების საშუალებას იძლევა.

საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტული კერების არსებობა მთელ რეგიონს აწუხებს. ვფიქრობ, რომ ვლადიმირ პუტინის და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრამ ახალი იმპულსი მისცა ამ ურთულესი სიტუაციის მოგვარებას. თუ კავკასიაში კვლავ იფეთქებს კონფლიქტები, ეს საშიში იქნება ყველა ეკონომიკური და ენერგეტიკული გეგმისათვის. ამგვარად, საქართველოსა და რუსეთს შორის აღდგენილი დიალოგი, აშშ-ის და ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა — ყველაფერი ეს, ხელს შეუწყობს კონფლიქტების დარეგულირების მშვიდობიან პროცესს. საქართველო მნიშვნელოვანი რეგიონის მნიშვნელოვანი სახელმწიფოა, ამიტომ ჩვენი პრობლემები მარტო ჩვენ არ გვეხება.

*— საქართველო დამოუკიდებლად რუსეთთან მოლაპარაკებას ვერ ახერხებს და შუამავლების დახმარებას ითხოვს?*

— რუსეთი მნიშვნელოვანი პარტნიორია, რომელსაც დიდი როლის შესრულება შეუძლია კონფლიქტების მოგვარებაში. მაგრამ 12-13 წლის წინანდელი მექანიზმები მოძველდა. ჩვენ საერთაშორისო ძალების ჩართვის საკითხს ვსვამთ, მაგრამ, რასაკვირველია, რუსეთს, როგორც აქტიურ მოთამაშეს, არ გამოვრიცხავთ. მზად ვართ, ჩვენი დიდი მეზობლის ინტერესები გავითვალისწინოთ, მაგრამ არა საქართველოს საზიანოდ. რუსეთი ერთ მთავარ გარემოებას არ ითვალისწინებს — როგორც მეზობელს, მას არ შეუძლია ზედმიწევნით ობიექტური იყოს მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე კონფლიქტების მოგვარებაში. რუსეთი რომ თანამშრომლობას დაგვთანხმდეს თუნდაც ტერაქტების გამოძიების დარგში, მისადმი ნდობა უსაზღვროდ გაიზრდებოდა.

*— მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთს გააქვს და გააქვს საქართველოდან თავისი შეიარაღება...*

— ბაზების გაყვანას მივესალმებით. ის, რომ რუსეთი ხელშეკრულებას ასრულებს, ჩვენი ურთიერთობის დათბობისათვის კარგ საფუძველს იძლევა, დიალოგის განსავითარებლად სხვა საკითხებიც არსებობს. მაგ. სასიცოცხლო მნიშვნელობის ანტიტერორისტული ცენტრი. ამ საკითხს პარლამენტში განიხილავენ. არსებობს ვარიანტები იმისა, თუ როგორც შეიძლება ამის გაკეთება საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვით საქართველოში ასეთი ცენტრის შექმნა — აი, რა უნდა გავაკეთოთ. ტერორიზმის პრობლემა ყველასთვის აქტუალურია.

**გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა**



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ყრიალობენ

4 წლის **ირაკლი** და 5 წლის **მამუკა** საპარიკმახეროში თმას იჭრიან:

პარიკმახერი ეკითხება მამუკას: — როგორ შეგჭრა თმა?

— პოლბოქსი, — პასუხობს მამუკა.

— ირაკლი, შენ როგორ შეგჭრა?

ირაკლი დაფიქრდა და ეუბნება:

— მე პოლკარატე.

***

პოლიტიკური გადაცემების ყურებით გაბეზრებული 4 წლის **მარიამ ხუჭუაშვილი** დას ეხვეწება:

— ნინი, მულტფილმებს ვუყუროთ რა, დავიღალე ამდენი დემოკრატიით.

**I** ქვემოთ მოცემული ფირფიტების თანამიმდევრობის მიხედვით გამოიცანი, რა სიტყვა იკითხება კანფეტებზე




**III** აბა, გამოიცანი

**1. იტალიის რომელ ქალაქშია ქუჩების ნაცვლად არხები?**

ა) რომში; ბ) ვენეციაში; გ) ნეაპოლში; დ) ფლორენციაში.

**2. დაასრულე აფორიზმი: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს ...“**

ა) მასწავლებელი; ბ) ცხოვრება; გ) ბედისწერა; დ) წუთისოფელი.

**3. რომელ ქვეყანაშია მკვდარი ზღვა, რომელიც ისეთი მარილიანია, რომ მასში თევზიც არ არის?**

ა) ისრაელში; ბ) იორდანიაში; გ) პალესტინაში; დ) სირიაში.

**4. რომელი კომპოზიტორი დაბრმავდა?**

ა) ბეთჰოვენი; ბ) მოცარტი; გ) ბახი; დ) ჩაიკოვსკი.

**5. რომელ ქალაქს ჰქვია ქალღმერთის სახელი?**

ა) ათენს; ბ) პეტერბურგს; გ) ამსტერდამს; დ) ჰააგას.

**6. რომელი ლექსი არ ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს?**



ა) „უსიყვარულოდ“; ბ) „ყვარლის მთებს“; გ) „ქებათა ქება ნიკორწმინდას“; დ) „მესაფლავე“.

**7. რომელ ინსტრუმენტზე უკრავს მუსიკოსი?**

ა) ვიოლინოზე; ბ) არფაზე; გ) ვიოლონჩელიზე; დ) კონტრაბასზე.

**IV** ნუმერაციის მიხედვით შეიტანე უჯრედებში ქვემოთ მოცემული ნახატების სახელწოდებათა პირველი ასოები და გრაფებში მიიღებ ერთ ბრძნულ ანდაზას:




**II** დაამატე თეფშებზე მოცხარის კუნწულები ისე, რომ თითოეულზე 20-20 მარცვალი გამოვიდეს





## გასართობ-შემეცნებითი საბავშვო ჟურნალი

- ანეკდოტები
- გასაფერადებლები
- კროსვორდები
- ტელეპროგრამა
- ინგლისურის გაკვეთილი
- ზღაპარი
- თამაშები
- ტესტები
- ცოდნის გვერდი




და კიდევ! სპაიდერმენის და ბარბის თვითწებვადი სტიკერები


მოთხრობები

## უსუნო ყვავილი

მინდორში გაშლილიყო მშვენიერი უსუნო ყვავილი. ყმაწვილს ძალიან მოეწონა, მოწყვიტა და თავის ვარდის კონაში ჩაარჭო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან ამოიღო, უსუნა და იგრძნო, რომ იმ უბრალო ყვავილს ვარდის საამური სუნი მისცემოდა.

ყმაწვილი დაფიქრდა და თქვა: — ჰო, ახლა კი კარგად მივხვდი, რად მირჩევს დედაჩემი კარგ ამხანაგებში ყოფნასო.

## ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს

ორი ბიჭი ყანიდან სოფლისკენ მოდიოდა. გზაზე დამპალი თოკი იპოვეს. ერთიც იჩემებდა და მეორეც. მოუვიდათ ჩხუბი, წაავლეს ხელები თოკსა და ერთი აქეთ ეწეოდა, მეორე — იქით. უცებ თოკი გაწყდა და ორივენი აქეთ-იქით გადაცვივდნენ.

საუბედუროდ, გზის მარჯვნივაც წუმპე იყო და გზის მარცხნივაც. ორივე მოჩხუბარს თავი წუმპეში ჩაუვარდათ და შეიქნენ თავლაფიანები.

*იაკობ გოგებაშვილი*

**იცით თუ არა, რომ...**

***

ნესტრით ერთი ჩხვლეტისას ფუტკარი 0,02-0,03 მილიგრამ შხამს გამოყოფს. ადამიანისთვის სასიკვდილო დოზა 0,2 გრამია.

***

გველს შხამი საჭმლის მონელებაში ეხმარება, ამიტომ შხამგამოცლილი გველი დიდხანს ვერ ცოცხლობს.

***

კურდღლის რძე (ცხიმიანობა — 23-24%) 6-ჯერ უფრო ცხიმიანია, ვიდრე ძროხისა.

**V** რომელია ზედმეტი?




პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*

# გზა... დაკარგული სამშობლოსკენ

## უწინ აქ ყველა ქართულად ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა...



*დურსუნის მეუღლემ სახელდახელოდ გამომცხვარი ნამცხვარი მოგვართვა*

*(დასაწყისი გვ. 15)*

თავდაპირველად ჩვენს მასპინძელს, **დურსუნ ტოზაკს** ვესაუბრეთ:

— **თქვენი ქართული გვარი თუ იცით?**

— ქოროღლიშვილები ვართ...

— **დიდი ხანია აქ ცხოვრობ?**

— აქ დავიბადე და მას შემდეგ აქ ვცხოვრობ.

— **აქ საკმაოდ მკაცრი პირობებია, არ გიჭირთ?**

— აქ დავიბადე, აქ ვცხოვრობ და მიყვარს აქაურობა... არ მიჭირს.

— **თბილისში თუ ყოფილხარ?**

— არა, ტფილისი არ მინახავს, მაგრამ მოსკოვში 4 წელი გავატარე, ვმუშაობდი.

— **საქართველოს შესახებ თქვენი წინაპრებისგან რამე თუ გსმენია...**

— გურჯისტანზე ბევრი არაფერი ვიცი. ვიცი, რომ აქ ადრე გურჯები ცხოვრობდნენ და თამარას (თამარ მეფეს გულისხმობს. — ავტ.) აქ ხალხისთვის წყლის რუ (წყლის არხი. — ავტ.) აუშენებია.

— **ქართული ენა ასე კარგად როგორ შეინახეთ?**

— ჩემი მამა-პაპა ქართულად ლაპარაკობდა და იმათგან დავისწავლე. უწინ აქ ყველა ქართულად ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა უკვე ყველა თურქულად ლაპარაკობს. ბავშვებმა ქართული უკვე აღარ იციან.

— **არ გინდა, რომ ასწავლო?**

— როგორ არ მინდა, ვასწავლი კიდეც ცოტ-ცოტას. კარგი იქნება, დედაენას თუ მოგვაწვდით.

— **იცი, რომ შენი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ?**

— არ ვიცი, ჩვენ მუსლიმანები ვართ და მეჩეთში ვლოცულობთ...

— **ცოლი ერთი გყავს?**



*დურსუნ ტოზაკი*

— ერთი ცოლი მყავს, მეტის მოყვანას არც ვაპირებ. ისე გამიგონია, რომ ზოგს მეტი ცოლი ჰყავს, მაგრამ ჩვენ სოფელში ასე არ არის.

— **ბევრი ფული რომ გქონდეს, წახვიდოდი აქედან?**

— არა... მიყვარს აქაურობა. ბევრი ფულიც მქონდა, მაგრამ სულ აქ დავხარჯე.

სოფლის ქანდარაზე (გადასახედზე) ჩამოვჯექით, დურსუნმა მეუღლის მიერ სახელდახელოდ ჩვენთვის გამომცხვარი ნამცხვარი მოგვართვა. დაახლოებით ქართული ნაზუქის გემო ჰქონდა, ოღონდ ფორმით პატარა ბურთებს ჰგავდა.

ჩემი მასპინძლები სოფლის იმამისკენ მიმიძღვებიან, ისიც გურჯია, უნდა გაგაცნოთო. უხერხულობის გრძნობა მიჩნდება, ვფიქრობ, იმამს რაზე უნდა ველაპარაკო-მეთქი, მაგრამ მასპინძლების კეთილგანწყობასა და სურვილს ვემორჩილები და სოფლის ოღროჩოღრო ბილიკებით იმამის სახლისკენ მივდივართ, იმამი იაშა სარმად გვეცნობა.

— **დიდი ხანია, აქ ცხოვრობ?**

— აქ დავიბადე, ცოლი და ორი შვილი მყავს. მე იმამი ვარ, მუსლიმი, თქვენ ქრისტიანები ხართ, მაგრამ ყველა გურჯები ვართ. ჩემი დედ-მამა გურჯები იყვნენ. ბათუმიდან და ტფილისიდან წამოსულან და აქ დარჩენილან.

— **საქართველოს ნახვა თუ გინდა?**

— ალბათ... ალბათ.

— **საქართველოზე რა იცი?**

— არაფერი ვიცი... არც წერა ვიცით, მარტო აბლი-აბლი (ცოტ-ცოტას) ვლაპარაკობთ...

— **შვილებს თუ ასწავლი ქართულად ლაპარაკს?**

— აბლ-აბლია ვაჩვევ, რომ არ დაივიწყონ.

— **თამარ მეფე გაგიგიათ?**

— თამარა ლამაზი ყოფილა, სათვალავი ბევრი ჰქონებია, აქ სარწყავი რუ უშენებია, მაგრამ მერე სათვალავი გათავებია და აქედან წასულა.

— **არ გინდათ ქართულად წერა რომ ასწავლოთ ბავშვებს?**

— გვინდა... ალბათ... კარგია, სკოლებში ქართულს თუ ისწავლიან.

— **საცხოვრებლად სხვაგან წახვიდოდით?**

— წავიდოდი...

— **რატომ?**

— აქ არ მინდა... ცუდია, საქმე არ არის, სკული (სკოლა) არ არის. სწავლა მხოლოდ 5 წელია, მერე ბავშვი სხვაგან უნდა წაიყვანო.

იაშამ ისიც გვითხრა, რომ მალე საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადადის, „კვირის პალიტრას“ და საქართველოს რუკას დაკვირვებით ათვალიერებს და მადლობას გვიხდის ყურადღებისთვის. ბალხის გურჯი იმამი კეთილგანწყობილი ღიმილით გვემშვიდობება. დურსუნი გვეუბნება, თუ დარჩებით, ცხვარსაც დაგიკლავთო. მერე შემოდგომაზე რთველში გვეპატიჟებიან და საოცრად ქართული ღიმილითა და სევდანარევი თვალებით გვაცილებენ.



*ოთხთა*

ესეც ძველი გურჯები. ახლა ოთხთა ეკლესიისკენ უნდა დავიძრათ.

### ოთხთა

ჩვენი შემდეგი გაჩერება ოთხთა ეკლესიაა. ოშკის, ხახულისა და იშხნის შემდეგ ოთხთა ამ მხარეში მეოთხე დიდი ტაძარი იყო. როგორც ამბობენ, ასეთი სახელი ამიტომ დაურქმევიათ. ოთხთაზე ლეგენდაც არსებობს: ეკლესია უცნობი მეფის ასულს, ვინმე თამარს აუშენებია, მამამისს ყველა შვილი ისლამზე მოუქცევია თამარის გარდა. თამარს ტაძრის შენებისას ფული შემოლევია, თმა შეუკვეცავს, გაუყიდია და ასე დაუმთავრებია მშენებლობა. დღესდღეობით ოთხთაც განადგურების პირასაა.



*„კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლში დაბეჭდილი ფერად-ფერადი ზღაპრებით გაიხარეს ბალხელმა ბავშვებმა*


# დამატებითი წუთები

**დამატებითი სიამოვნება...**



**მიიღეთ საჩუქარი მთელი ზაფხულის განმავლობაში. მონო-ბარათის ყოველი გააქტიურებისას**

გაააქტიურეთ მონო-ბარათი და საჩუქრად მიიღეთ წუთები მაგთის ქსელის შიდა ზარებისათვის, ანუ მაგთი - მაგთი და მაგთი - ბალი მიმართულებით.

| გააქტიურებული მონო-ბარათი | საჩუქარი |
| --- | --- |
| 10 - ლარიანი | 3 წუთი |
| 15 - ლარიანი | 5 წუთი |
| 30 - ლარიანი | 12 წუთი |
| 60 - ლარიანი | 30 წუთი |

- ნაჩუქარი წუთების გამოყენება შეგიძლიათ მონო-ბარათის გააქტიურებიდან 30 დღის განმავლობაში.
- აქცია ვრცელდება მაგთის წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტებზე.

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამსახურში


ბაზილიკაზე მცენარეები, ხეებიც კი ამოსულა. საკურთხეველთან მიწა გადათხრილია. თურქეთში არსებობს გადმოცემა, რომ ქართულ ტაძრებში დიდი სიმდიდრეა ჩაფლული, ამიტომ აქაურები დღესაც ცდილობენ განძის მიგნებას. ოთხთა X საუკუნეში დავით III კურაპალატის ბრძანებით ააგეს. საუკუნეების მანძილზე ოთხთა დიდ მონასტერს წარმოადგენდა, რომელსაც თავისი მამულები და მეურნეობა ჰქონდა.

### ტაოდან კლარჯეთში

მეოთხე დღეს ტაოდან კლარჯეთში გადავდივართ. ლიგანის ხეობაში აზიაში სიდიდით მესამე კაშხალი შენდება. ჩვენში მას ჭოროხის კაშხალს ეძახიან.

*ბონდო კუპატაძე:* — კაშხლის მშენებლობისას მნიშვნელოვანი ქართული ძეგლი — კავკასიძეების ციხე დაიტბორება. ითქვა ისიც, რომ კაშხლის გამო მიკროკლიმატის შეცვლა რეგიონში არსებული ქართული ისტორიული ძეგლების სერიოზულ დაზიანებას გამოიწვევს. იტბორება იოუსუფელი — ართვინის ვილაიეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი. თავის დროზე შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასამაგრებლად გადახდილი თანხა მიზერულია, რადგან ეს გაცილებით დიდ დანახარჯებს მოითხოვს. ვფიქრობ, ამ კაშხლისგან ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება არა მარტო საქართველოს, არამედ თურქეთსაც. არ ვიცი, თურქეთის ენერგოკრიზისს ეს კაშხალი რამდენად გადაწყვეტს, მაგრამ მგონი, ეკოლოგიური ზარალი გაცილებით დიდი იქნება. აბსოლუტურად შეიცვლება ბუნება. გაიზრდება მეწყრების საფრთხე, ტენიანობა, დაიწყება ეროზია.

— **ქართული ძეგლებიდან, კავკასიძეების ციხის გარდა, კიდევ რომელი ძეგლი იტბორება?**

— არც ერთი, თუმცა ამ ძეგლის დატბორვაც ჩვენთვის საკმაოდ მტკივნეულია.

***თამარ სუჯაშვილი***
***თბილისი–თურქეთი–თბილისი***

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

# ვინ დარჩება მოგებული?

## „აუცილებელი არ არის, ბიზნესმენი ჰალსტუხით დადიოდეს“



*საქართველოში „რეალითი შოუს“ ბუმია. „რუსთავი 2-ის“ „ჯეობარისა“ და „კანდიდატის“ პარალელურად, უკვე რამდენიმე კვირაა „იმედის“ ეთერით ახალი რეალური შოუ „ინდუსტრია“ გადის. ჯერჯერობით უცნობია გადაცემის რეიტინგი, მაგრამ პროექტის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მაყურებელს მრავალი სიურპრიზი ელის. შოუს ინტრიგა კი ის არის, რომ არავინ იცის, მონაწილეთაგან რამდენი გახდება კომპანია „კასტელის“ თანამშრომელი და რა თანამდებობებზე დაინიშნებიან. განსხვავებულია „ინდუსტრიის“ თამაშის წესებიც: შოუში ერთმანეთს „კასტელის“ ორი ბრენდის — „ალუდასა“ და „ჰერცოგის“ გუნდები ეჯიბრებიან. გამარჯვებულად ის გუნდი გამოცხადდება, რომელიც კვირის განმავლობაში მეტ ლუდს გაყიდის. სავარაუდოდ, „ინდუსტრია“ 26 აგვისტოს დამთავრდება და სამი გამარჯვებული ეყოლება. გამარჯვებული გუნდის ბოსი, გამარჯვებული გუნდის მაღალრეიტინგული მოთამაშე და დამარცხებული გუნდის მაღალრეიტინგული მოთამაშე. ყოველი გამარჯვებული ჯილდოდ 7.000 დოლარს მიიღებს, ხოლო ის, ვინც მაყურებლის სიმპათიის შესაბამისად SMS-ების ყველაზე მეტ რაოდენობას მოაგროვებს, — დამატებით 10.000 (სულ 17.000-ს) დოლარს.*

*რატომ გაჩნდა ამ ტიპის რეალური შოუს მომზადების იდეა, რაში მდგომარეობს „ინდუსტრიის“ ინტრიგა და რას უნდა ელოდოს მაყურებელი — ამ და სხვა კითხვებით რეალური შოუს ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მივმართეთ.*

**გიორგი გაფრინდაშვილი,** გადაცემის პროდიუსერი: — რეალური შოუს იდეა თავად „კასტელისგან“ წამოვიდა. შემდეგ დაიწერა სცენარი, რომელიც ათასჯერ გადაიწერა და ბოლოს და ბოლოს დაფორმატდა. პირველი შემთხვევაა, რომ რეალურ შოუს რეალური საწარმო აკეთებს. ასევე პირველი შემთხვევაა, რომ ერთმანეთს ერთი საწარმოს ორი ბრენდი ეჯიბრება.

— **შოუდან წასვლას ადვილად ეგუებიან მონაწილეები?**

— რა თქმა უნდა, არა. ცხადია, ყველას მიაჩნია, რომ ისინი უსამართლოდ დაასახელეს წასვლის კანდიდატებად. როგორც წესი, ისინი მიზეზებს საკუთარ თავში არ ეძებენ.

— **დღემდე საქართველოში ყველა რეალური შოუ რომელიმე დასავლური გადაცემის სტანდარტებზე იგებოდა. თქვენც ასე მოიქეცით?**

— როგორც გითხარით, ეს კონკრეტული საწარმოს დაკვეთაა და მთლიანად ქართულ რეალობაზეა გათვლილი. ჩვენი მონაწილეებისთვის აბსოლუტურად ხელმისაწვდომია ყველა საინფორმაციო სივრცე, მხოლოდ საკუთარი დღიურების (ღამის გადაცემების) ნახვა ეკრძალებათ.

— **როგორც ვიცი, ეს შოუ ზურაბ შარიას უნდა წაეყვანა, რატომღაც არ ჩანს, რა მოხდა?**

— ზურაბ შარია ავად გაგვიხდა (ხმა დაკარგა), ამიტომ მაყურებელსა და შოუს შორის პატარა ვაკუუმი წარმოიშვა. იმედია, ეს პრობლემაც მალე მოიხსნება, „ლაივშოუში“ ეს საქმე ნინო ზაუტაშვილმა იტვირთა და კარგადაც გაართვა თავი. თუ გავითვალისწინებთ, რომ პარალელურად ორი რეალური შოუ და ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, „ინდუსტრიის“ შედეგებით კმაყოფილი ვარ. SMS-ების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა.

**გიორგი ჭიჭია,** „კასტელის“ კომერციული დირექტორი:

— **ეთერში ყოველთვის იღიმით, სამისო მიზეზს პროექტის მონაწილეები გაძლევენ თუ უბრალოდ მოღიმარი ადამიანი ხართ?**

— რატომ უნდა ვიჩხუბო? ვფიქრობ, კომერციული სამსახური ყოველთვის ოპტიმისტურად უნდა იყოს განწყობილი. მონაწილეებიც უფრო მეტად თავისუფლად უნდა გრძნობდნენ თავს. ვფიქრობ, უფრო ბიზნესზე არიან ორიენტირებულნი და მთელ ენერგიას ამაში ხარჯავენ. არ ვამბობ, რომ წინა პლანზე პირადი კონფლიქტები უნდა წამოვწიოთ, მაგრამ ბიზნესინტრიგები შოუს გაცილებით საინტერესოს და დინამიკურს გახდის. ამაზე ვმუშაობთ და ამ კვირიდან ეთერში ბევრად უფრო საინტერესო გადაცემებს ნახავთ.

**სერგო გალტიანი,** „ალუდას“ ჯგუფის წევრი:

— **რით მიგიზიდა ამ პროექტმა?**

— პირველი მიზეზი ის არის, რომ თავგადასავლები მიყვარს. მეორე ის, რომ ეს სფერო კარგად ვიცი — 4 წელი „კოკა-კოლას“ რეალიზაციის განყოფილებაში ვიმუშავე. მესამე — საკუთარი თავის გაპიარება და მეოთხე — მოგება.

— **არ გაგიჭირდა ამდენი კამერის თვალთვალით ცხოვრება?**

— არა. კამერის კომპლექსი დიდი ხნის წინ, ტელევიზიაში მუშაობისას მოვიხსენი. ყველანაირ სიტუაციას ადვილად ვეგუები.

— **როგორც შოუს მონაწილეს, რა შენიშვნები გაქვს?**

— ერთადერთი ის, რომ გენდერულად-არათანაბრად ვართ განაწილებული. ერთ გუნდში 4 ბიჭია, მეორეში 4 გოგო, რაც ლავირებასა და სტრატეგიულ დაგეგმარებაში ხელს გვიშლის.

— **თავზე ასეთი უცნაური ნიშანი რატომ გადევს?**

— საპარიკმახეროში, თმის შეჭრისას გამიჩნდა იდეა, კეფაზე ჩვენი ლოგო დამეწერა.

— **ვარცხნილობა პანკური გაქვს, თუმცა ბიზნესმენობას აპირებ. როგორ ფიქრობ, ეს ორი რამ ურთიერთდისონანსური ხომ არ არის?**

— სტერეოტიპს ვარღვევ, აუცილებელი არ არის, ბიზნესმენი სერიოზული და ჰალსტუხიანი იყოს. შეიძლება ერთი შეხედვით არასერიოზული იერი მქვს, მაგრამ მთავარია წარმატებას მივაღწიო...

— **შოუში სასიყვარულო ამბები ხომ არ დაწყებულა?**

— არა, „ლავსთორი“ არ ყოფილა... ერთადერთი, გოგა და ლილი ჩაეხუტნენ ერთმანეთს შუა ოფისში, მაგრამ ყველაფერი აქ დამთავრდა...

— **ფულის მოგების სურვილს როგორ ამცლავნებთ?**

— იცი, რა მომენტია? ყველა არა, მაგრამ უმეტესობა თამაშობს. მაგრამ მსახიობი არც ერთი არ არის და ამიტომაც ეს თამაში ხელოვნური გამოდის.

— **ადვილად შეგიძლია ფულის გულისთვის მოთამაშე გაწირო?**

— ჩემთვის ამ თამაშში მოგება არ ყოფილა თვითმიზანი. მართალია, მოგებაზე უარს არ ვიტყვი, თანაც საკმაოდ აზარტული ვარ, მაგრამ რომც არ მოვიგო, თუნდაც ბოლო კვირაში გავვარდე, დაკარგულ ფულზე დიდად არ ვიდარდებ...

— **რომელიმე სხვა შოუს თუ უყურებთ?**

— რას ამბობ, სხვა შოუს კი არა, ჩვენი შოუს ნახვის უფლება არა გვაქვს...

— **რითი ერთობით ხოლმე?**

— კარტს ვთამაშობთ, ვცეკვავთ, ბალიშებსაც ვესვრით ერთმანეთს... ერთ ღამეს ძალიან დაღლილმა დავიძინე. სადღაც გამთენიისას მეღვიძება იმიტომ, რომ ცხვირში რაღაც მიღიტინებს... თვალი გავახილე და რას ვხედავ... ბალიში ჩემი საპარსი ქაფითაა გათეთრებული... ასე გამიჩალიჩეს გოგოებმა „გაპასტვა“. ჯერ სამაგიერო არ გადამიხდია, თუმცა კი არაფრით შევარჩენ... სულაც ექვსივე ბიჭი მივალთ ჩუმად და მძინარე გოგოებს ცივ წყალს გადავასხამთ. თუმცა შეიძლება ხვალ უკეთესი რამ მოვიფიქროთ.

**მარიამ ბოჭორიშვილი:** — ჩემი პროგრამა-მინიმუმი საკუთარი თავის რეკლამირება და საკუთარი შესაძლებლობების გამოცდაა. სხვებთან შედარებით, ეს შოუ იმით არის საინტერესო, რომ ერთი მხრივ, ჩვენ რეალურ ბიზნესში ვართ ჩაბმული და მეორე მხრივ, ვთამაშობთ. თავი უნდა გამოიჩინო როგორც ინდივიდმა, მაგრამ ამავე დროს გუნდური პრინციპითაც უნდა იხელმძღვანელო. ამიტომ ამ შოუში თამაში რამდენადაც რთულია, იმდენად საინტერესოა. რაც შეეხება პროგრამა-მაქსიმუმს — ეს გამარჯვებაა.

— **რას შეცვლიდი გადაცემაში, პროდიუსერი რომ იყო?**

— ალბათ წამყვანს მოვძებნიდი, გადაცემა უფრო სანახაობრივი რომ ყოფილიყო.

— **ჯგუფებს შორის კონფლიქტი არ მოგდით?**

— ბიზნესი რთული სფეროა, ყველა კონკურენტის ჩამოცილებაზე ზრუნავს. რა თქმა უნდა, ყველა გამარჯვებისთვის ვიბრძვით, მაგრამ ამას ისე ვახერხებთ, რომ სიტუაცია ზედმეტად არ დაგვეძაბოს, ბოლოს ხომ ყველა მეგობრებად დავრჩებით.

***თამარ ცერცვაძე***

# მოსკოვურ ბომონდში შემთხვევით ვერავინ ხვდება



## „ქეთა ზედმეტ სიტყვას არავის ათქმევინებს“

რუსეთში „A-სტუდიოს“ არა მხოლოდ წარმატებულ მუსიკალურ ჯგუფად, ლეგენდადაც კი აღიარებენ. ამ ბოლო დროს „A-სტუდიოს“ ქართველმა გულშემატკივრებმაც იმატეს. მიზეზი მარტივია — სოლისტი პალინა გრიფიტი ქეთი თოფურიამ შეცვალა და როგორც ამბობენ, ჯგუფი ამის შემდგომ კიდევ უფრო პოპულარული გახდა და არც ქართველ სოლისტს გასჭირვებია მოსკოვურ ბომონდში შეღწევა, რაც ადვილი ნამდვილად არ არის. იქ შემთხვევით არავინ ხვდება.

როგორ დაიწყო ქეთა თოფურიას მოსკოვური კარიერა და რა ხდება დღეს მის ცხოვრებაში, ამაზე პროდიუსერი **ნატო დუმბაძე** გვიამბობს:

— **რატომ გააკეთეთ არჩევანი ქეთაზე?**

— რუსებს კარგად ვიცნობ და აქედან გამომდინარე ჩავთვალე, რომ „რუსულ ფორმატში“ ქეთა უფრო ჩაჯდებოდა. თან იმ პერიოდში, ქეთას ბოლო ორმა ნამუშევარმა დამარწმუნა, რომ ამ გოგონას საინტერესო საშემსრულებლო პოტენციალი ჰქონდა. ქეთა ხასიათითაც გამორჩეულია, თავისუფალი, მეგობრული... „A-სტუდიოს“ მასალა რომ გავუგზავნე, დამირეკეს, ძალიან ლამაზი მომღერალიაო...

— **სილამაზით მოიხიბლნენ?**

— გარეგნობას დიდი ყურადღება ექცევა, რადგან კომერციულ მხარეს ვერსად გაექცევი, თუმცა მათთვის გადამწყვეტი მხოლოდ გარეგნობა არ ყოფილა. მათ მოისმინეს ქეთას რამდენიმე სიმღერა, მათ შორის პრესნიაკოვის „Улетаю“ და ძალიან მოეწონათ. არ დაგიმალავთ, მკითხეს, კომპიუტერული ვარიანტია თუ ნამდვილად ასე მღერისო. შევთავაზე ჩამოსულიყვნენ და ქეთას „ცოცხალი“ შესრულება მოესმინათ.

(გაგრძელება გვ.37)

ყოველი წამი სიამოვნებაა

ზოგჯერ სიამოვნება იზომება დროით
მაგთისთან დრო ყოველთვის წამებში იზომება



დაზოგეთ ყოველი წამი

საქართველოს მობილური ოპერატორებიდან
მხოლოდ მაგთი აღრიცხავს და ანგარიშობს
თქვენს ნალაპარაკებ დროს 1 წამის სიზუსტით.

არავითარი დამრგვალება!

ილაპარაკეთ მეტი!

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

# ძაღლებსაც მშობლიურ ენაზე უნდა ელაპარაკო



დიდი ბრიტანეთის პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების თანამშრომლები ამ ბოლო დროს დიდი მონდომებით სწავლობენ ჰოლანდიურ ენას... სამოსამსახურო ძაღლებთან სალაპარაკოდ. როგორც გაირკვა, მათ არ ესმით ინგლისური. ეივონის საგრაფოს პოლიცია საგონებელში იყო ჩავარდნილი — მთელ ინგლისში კარგად გაწვრთნილი ძაღლები ვერ იშოვეს. ამიტომ გადაწყვიტეს, დახმარება საზღვარგარეთელი კოლეგებისთვის ეთხოვათ. ამ მიზნით ჰოლანდიიდან სამი ნაგაზი ჩამოიყვანეს. ძაღლებმა კი ვერ გაიგეს ინგლისური ბრძანებები — მათ ხომ ჰოლანდიურად წვრთნიდნენ. კინოლოგიური განყოფილების სამართალდამცავები იძულებული გახდნენ, დაეწყოთ ოთხფეხა უცხოელების დედაენის შესწავლა.

*ოტდოხნი!*

# მე მონა ლიზა მქვია

ამ ფრაზას ინტერნეტში მოისმენთ და შეიტყობთ, თუ როგორ ლაპარაკობდა ლეონარდო და ვინჩის სახელგანთქმული ჯოკონდა. მონა ლიზას „გახმოვანება“ შეძლეს იაპონიის აკუსტიკური ლაბორატორიის მეცნიერებმა, რომლებმაც საამისოდ გამოიყენეს 100 ათასზე მეტი ადამიანის ხმა.

ამ პარამეტრების დამუშავების შემდეგ, რომელიც თითქმის ნახევარი წელი გრძელდებოდა, მეცნიერებმა დაადგინეს, ხმის როგორი ტემბრი უნდა ჰქონოდა ჯოკონდას. უცნაურია, მაგრამ ეს ხმა ბარიტონს წააგავს. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ თავისებური თავის ქალის გამო (ზემოთ ფართო, ქვემოთ კი მოგრძო) მონა ლიზას სხვანაირი ხმა ვერ ექნებოდა.

*დენგი*

# პირველად იყო კვერცხი... თუ ქათამი?



ეს კითხვა საუკუნეების მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა როგორც სწავლულებს, ისე უბრალო ადამიანებს. ჩანს, პასუხი მოიძებნა. გენეტიკოსებმა, ფილოსოფოსებმა და მეფრინველეებმა დაასკვნეს: ჯერ იყო კვერცხი. დამტკიცებულია, რომ გენეტიკური ქსოვილი სიცოცხლის მანძილზე არ იცვლება. აქედან გამომდინარე, პირველი ქათამი (ეს, ეტყობა, მოხდა წინარეისტორიულ დროში) უნდა მოვლენილიყო ემბრიონის სახით, კვერცხის შიგნით. ევოლუციური გენეტიკის ექსპერტი, ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ბრუკფილდი განმარტავს, რომ კვერცხის ნაჭუჭის შიგნით არსებულ ცოცხალ ორგანიზმს იგივე დნმ უნდა ჰქონოდა, როგორიც ქათამს, რომელიც ამ ორგანიზმიდან წარმოიქმნა. ამგვარად, პირველი ცოცხალი არსება, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ამ სახეობის წარმომადგენელი, იყო სწორედ ეს პირველი კვერცხი, — ამბობს მეცნიერი.

*იტოგი*

## იცით თუ არა, რომ...



* * *

*თურმე ანკარას ისეთი იშვიათი თვისებები აქვს, რომელიც ბევრისთვის ცნობილი არ არის. მაგალითად, საცდელმა ანკარამ 31 დღე იშიმშილა. გარდა ამისა, შეუძლია 1,5 საათი იცუროს წყალქვეშ, რადგან ძალიან კარგად განვითარებული ფილტვები აქვს — ამ ორგანოს უმეტესი ნაწილი თხელკედლიანი ტომარაა, რომელიც სავსეა ჰაერით.*

* * *

*კარიბის ზღვაში, კოლუმბიის სანაპიროზე, დაიჭირეს მსოფლიოში ყველაზე დიდი კრევეტი — სიგრძით 30 სმ, წონით — 1 კგ-ზე მეტი. მეთევზეები ამტკიცებენ, რომ 10 სმ-ზე გრძელი კრევეტი არასოდეს უნახავთ. საოცარი ამფიბია მოათავსეს საგანგებო აუზში, რათა ყველას შეეძლოს მისი ნახვა.*

* * *

*ბიოლოგების მონაცემებით, მძიმეწონიან მწერებს შორის ჩემპიონია ხოჭო-გოლიათი, რომელიც სიგრძეში 12 სმ-მდე იზრდება და 110 გ-ს იწონის. ხოჭო-ჩემპიონები ბინადრობენ გვინეაში.*

*ეხო პლანეტი*

# ...მაკრატელი დაავიწყდათ



ინდოეთში პაციენტს, რომელიც სასწრაფოდ მიიყვანეს ჰოსპიტალში, მუცლიდან ამოუღეს დაახლოებით 15 სმ-იანი მაკრატელი. 65 წლის აკოპოილა აჩუტხანს ოპერაცია შარშან, აპრილში გაუკეთეს — ქირურგებმა სიმსივნე ამოჰკვეთეს, მაგრამ მაკრატლის ამოღება დაავიწყდათ. 14 თვის მანძილზე აჩუტხანი მიდიოდა ჰოსპიტალში, უჩიოდა მუცლის ტკივილს, მაგრამ მიზეზი მხოლოდ საოპერაციო მაგიდაზე გაირკვა.

*ნიუს რუ*

# უილბლო მძარცველი

უჩვეულო შემთხვევა მოხდა იაპონიის ქალაქ კუძაგაიაში. ბანკში შევიდა ხნიერი მამაკაცი და ერთ-ერთ კლერკს ზრდილობიანად მიმართა, — მე თქვენს გასაძარცვად მოვედი, თუ შეიძლება დამეხმარეთ და მირჩიეთ, ეს როგორ გავაკეთოო. კლერკი იმდენად დაიბნა, რომ მძარცველი უფროს მენეჯერთან გაგზავნა. მენეჯერმა, როცა ეს უცნაური ამბავი მოისმინა, მამაკაცს მკაცრად უბრძანა ბანკის დატოვება და მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ გამოიძახა პოლიცია. პოლიციამ დაადგინა, რომ 58 წლის უმუშევარმა მამაკაცმა თურმე მართლაც გადაწყვიტა „საქმეზე“ წასვლა, მაგრამ საამისოდ არც თავხედობა ეყო და არც გამოცდილება. პოლიციელები საგონებელში ჩაცვივდნენ, არ იციან რა მოუხერხონ მძარცველს.

*თაიმი*

# პატიოსნებაც ასეთი უნდა!

ოკლაჰომელ ტერეზა სტილსს მშვიდად მიჰყავდა მანქანა. უცებ წინ მიმავალი საბარგო მანქანიდან საკმაოდ დიდი სეიფი გადმოვარდა. დანაკარგი არავის შეუნიშნავს — მანქანამ გზა გააგრძელა. როგორც კეთილსინდისიერმა მოქალაქემ, ქალბატონმა სტილსმა სეიფი მაშინვე აიღო. არც დაინტერესებულა, შიგ რა იდო და მახლობელი პოლიციის განყოფილებას ჩააბარა. „თავს უხერხულად ვგრძნობდი, თან მეშინოდა, ჩემთვის ქურდობა არ დაებრალებინათ“ — თქვა ტერეზა სტილსმა.

როგორც გაირკვა, სეიფი მახლობელი ბანკიდან გამოიტანეს და მასში 42 ათასი დოლარი იდო.

სამართალდამცავებმა ტერეზას მადლობა გადაუხადეს წესიერებისა და პატიოსნებისთვის და ჰკითხეს, ჯილდოდ რას ისურვებთო. მოკრძალებულმა ქალმა უპასუხა, — ეს აუცილებელი არ არის, დარწმუნებული ვარ, სხვაც ჩემნაირად მოიქცეოდაო.

*ოჯი*

## ო, ეს ფეხბურთი

# ფანატი ორანგუტანგები

გერმანიაში მიმდინარე ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე უჩვეულო თაყვანისმცემელი ჰყავს სამხრეთ კორეის ნაკრებს. სეულში საყვარელი გუნდის მხარდამჭერ შოუს აწყობენ... ცოცხალი ორანგუტანგები! მშობლიური გუნდის ფორმაში გამოწყობილი ფეხბურთის ფანებივით სახემოხატული გაწვრთნილი მაიმუნები დახტიან, ყვირიან და ბურთს ათამაშებენ.

# გულშემატკივარი კომპენსაციას ითხოვს



პოლონელი ზიგმუნდ იან პრუსინსკი მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 10 ათას ზლოტს ითხოვს. საყვარელი ნაკრების დამარცხების შემდეგ პრუსინსკი დეპრესიაში ჩავარდა.

გულშემატკივარი დარწმუნებულია, რომ გუნდის წაგება მწვრთნელის, პაველ იანას ბრალია. პრუსინსკი ასევე აცხადებს, რომ განიცადა მატერიალური ზარალიც: მატჩს ტელევიზიით მეგობრებთან ერთად, ახალგარემონტებულ ბინაში უყურებდა. პოლონეთის ნაკრების წაგებით აღშფოთებულმა გულშემატკივრებმა ახალშეღებილ კედელს ბოთლი ესროლეს.

# ქალებმა გააპროტესტეს

ესპანეთში შეიქმნა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქალები ესპანეთისთვის ფეხბურთის გარეშე“.

ორგანიზაციის მონაწილეებს უნდათ, რომ გააგრძელონ ტელევიზიით თავიანთი საყვარელი სერიალების ყურება, სალამო გაატარონ თავიანთ რჩეულებთან განმარტოებით, სურთ, ქმრები იყვნენ ყურადღებიანები, ფხიზლები. საამისოდ ყველაფრისთვის მზად არიან. ჩემპიონატის დროს „მამაკაცები გვიშლიან ჩვენი საყვარელი ტელეგადაცემების ყურებას, ისინი „სულიერად იცვლებიან“ და „რომანტიკულ ღამეებს ცვლიან უაზრო ყვირილზე 22 კაცის გამო, რომლებსაც მინდორზე სირბილისა და ბურთის თამაშზე უკეთესი საქმე ვერ უშოვიათ“, — ამბობენ ქალები.

„ჩვენ არ დავრჩებით თამაშგარე მდგომარეობაში, ჩვენი პრინციპების დასაცავად მზად ვართ ყველაფერი გავაკეთოთ. მოეწყობა საჯარო მანიფესტაციები, შეგროვდება ხელმოწერები და თუ დაგვჭირდა, რეფერენდუმსაც ჩავატარებთ“, — აცხადებენ აქტივისტები.

ფანატი ქმრების მიმართ საკმაოდ რადიკალური ზომები გატარდება. მაგალითად, „ყოველი მატჩის შემდეგ ცოლს საწოლში უნდა მიართვან საუზმე. ქმარი უნდა იყოს დაბანილი, გაპარსული და ფხიზელი.“ პულტით სარგებლობის მონოპოლიას ქალები თავისთვის იტოვებენ.

მაგრამ... ფემინისტების მსგავსი გამოხდომები ვერ შეამცირებს ესპანეთის ნაკრების თაყვანისმცემელთა რიცხვს.

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ბესარიონ ბელინსკის სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პ | რ | ე | ს | ა | ს | ლ | ი | დ | ე | რ | ო | ბ | ს | კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა |
| ო | ხ | ე | რ | ი | ე | ნ | | ი | ო | ე | მ | ი | ლ | ტ | ნ | ი | ი | ნ | ტ | ლ | ა | ი | ი | ი | ე | |

**პ.** მაქსიმ გორკის ნამდვილი გვარი; **რ.** XIX-XXსს.-ის რუსი ფერმწერი, არქეოლოგი და მოგზაური; **ე.** ძვ. ბერძენი მეიგავე; **ს.** პრივილეგირებული სამხედრო პირი ფეოდალურ იაპონიაში; **ა.** პალესტინის პრეზიდენტი; **ს.** მხარე საქართველოში; **ლ.** კურორტი საქართველოში; **ი.** აზრი, ჩანაფიქრი; **დ.** მტაცებელი ცხოველი; **ე.** ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; **რ.** ამობურცული გამოსახულება სიბრტყეზე; **ო.** გრძელტარიანი ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად; **ბ.** მაღალი ხარისხის მინა; **ს.** წინასწარმეტყველი ქალი ძვ. საბერძნეთსა და რომში; **კ.** გაუშლელი ყლორტი; **ვ.** ბადმინტონის ბურთი; **ი.** ესპანური ავიაკომპანია; **რ.** განყოფილების სათაური ჟურნალში ან გაზეთში; **ი.** XIX-XXს.ს.-ის ნორვეგიელი დრამატურგი; **ს.** შეჯიბრების დაწყების მომენტი; **პ.** დეკორატიული ძაღლის ჯიში; **ა.** მძარცველი, ყაჩაღი; **ლ.** მშვილდის ბაწარი; **ი.** აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ებრაელთა ენა; **ტ.** გემის ან თვითმფრინავის კიბე; **რ.** პაემანი; **ა.** რისამე დედააზრი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ბ.** ბახი; **ე.** ემალი; **ვ.** ვალსი; **რ.** რუხი; **ს.** სვიფტი; **ი.** იესო; **ა.** ასკერი; **ხ.** ხრეში; **ლ.** ლითონი; **ე.** ელისტა; **ს.** სალუტი. **გ.** გუდაური; **ა.** არლანი; **ი.** იდეალი; **გ.** გნოლი; **ე.** ემბარგო; **ბ.** ბლატერი; **თ.** თხუნელა; **კ.** კოზაკი; **ვ.** ვიეტი; **ი.** იანვარი; **რ.** რუანდა; **ი.** იმედი; **ს.** სოსისი; **პ.** პეიზაჟი; **ა.** აპკი; **ლ.** ლიანა; **ი.** იანძი; **ტ.** ტბორი; **რ.** რონალდო; **ი.** იმიჯი; **თ.** თეატრი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ხალხის კეთილდღეობა უზენაესი კანონია.**

# თქვენთვის, ბატონებო!

## განაჩენი ორის სიყვარულისთვის



— კაცი ხათრიანი რომ დაიბადება, წასულია მისი საქმე, — მითხრა შოთამ. იგი საკუთარ უბედობას და უსიამოვნებებს თავის ხასიათს აბრალებს, — ბავშვობიდან მიყვარდა ჩემი კლასელი მაკა, მაგრამ მერიდებოდა და ვერ ვუმხელდი. მერე გავიგე, ჩემს ძმაკაცსაც ჰყვარებია და გულდაწყვეტილმა საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი. ქალი, ხომ იცით, ეშმაკზე სამი დღით ადრეა გაჩენილი. ჰოდა, ერთხელ, უფლისციხეში ექსკურსიაზე რომ ვიყავით, მაკამ მე და გიგი გვიხმო და პიტალო კლდეზე უცნაური ყვავილი დაგვანახვა: რომელს უფრო გიყვარვართ, ახლა გავიგებ, — ვინც იმ ყვავილს პირველი ჩამომიტანს, იმას გავყვები ცოლადო. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. მაკას გამო ევერესტზეც ავიდოდი, მაგრამ გიგის მეხათრებოდა და დავალებაზე მაშინვე უარი ვთქვი: რას ლაპარაკობ, ვისაც შენი ცოლობა უნდა, იმან მოგიწყვიტოს ყვავილი-მეთქი. შევატყვე, ეწყინა, გამებუტა და სკოლის ბანკეტამდე ხმა არ გაუცია. გულზე ცეცხლად მედებოდა მაკას და გიგის ერთად დანახვა, მაგრამ საყვარელი გოგონასათვის ბრძოლა ვერ შევძელი, მეგობარს წინ ხომ ვერ გადავუდგებოდი?! ბანკეტზე ისევ გიგიმ შეგვარიგა. მაკამ ცეკვისას მითხრა, — მაგ ხათრიანობას გვიან ინანებო. მერე მაკა არც გიგის გაჰყვა ცოლად. მეორე კურსზე იყო, რომ გათხოვდა. გიგიმ დარდით სმა დაიწყო. ერთხელ, მთვრალი მიუჯდა მანქანას და ნატახტართან ავარია მოუხდა... მაკა ოთხი წლის შემდეგ ქმარს გაშორდა. ბავშვი არ ჰყავდა. რომ არ მეჩქარა და ოჯახს არ მოვკიდებოდი (ეს მაკას დასავიწყებლად გავაკეთე), მაკას აუცილებლად შევირთავდი ცოლად. მაგრამ რა მექნა ცოლ-შვილისთვის, რა დამიშავა თინამ? მას გულს ვერ ვატკენდი, მერჩია, გრძნობა გულში ჩამეკლა...

ერთხელაც, სკოლის დამთავრებიდან 10 წლისთავი აღვნიშნეთ. მაკაც იყო. ისევ ამეშალა ძველი ფიქრები. მივხვდი, კვლავინდებურად მიყვარდა. ღვინომ თავისი ქნა და რასაც წლების მანძილზე გულში ვინახავდი, ყველაფერი „გადმოვულაგე“. არ გაჰკვირვებია. ვიცოდი, მაგრამ ასე ძლიერ თუ გიყვარდი, არ მეგონაო. ერთი სიტყვით, ჩვენ შორის აღდგა ურთიერთობა. იმ პერიოდში ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა.

გავიდა დრო. ეს ამბავი ჩემმა ცოლმა გაიგო და ისე იდარდა, რომ ერთ თვეში თვალსა და ხელშუა დადნა. გადავწყვიტე, მაკას აღარ შევხვედროდი და ცოლს პატიება ვთხოვე. მერე მაკას გამოვუცხადე, უნდა დავშორდეთ-მეთქი. რაღაც სხვანაირად შემომხედა და გაეცინა — მშიშარა ყოფილხარო. გავიდა ხანი. მეგობრისგან გავიგე, რომ მაკამ ბავშვი გააჩინა. იგი არ იყო ისეთი ქალი, ჩემ შემდეგ სხვა კაცთან დაეჭირა საქმე, გამოდის, რომ ბიჭი ჩემი იყო. ვერ ვბედავდი მასთან მისვლას. ვიცოდი, აღარ მიმიღებდა. მეგობარი მივუგზავნე. მას კი მაშინვე ის უთქვამს: თავს ნუ დაიტანჯავს, ბავშვი მისი არ არისო. სხვაგვარ პასუხს არც ველოდი.

მოსვენება დავკარგე. ოჯახში ისევ ამერია საქმე, საკუთარ თავს აღარ ვგავდი, ვერაფერს ვაკეთებდი, დილიდან საღამომდე ვიღრინებოდი. იქამდე ვერ მოვისვენე, სანამ მაკა არ შემოვირიგე. მასაც ვუყვარდი და ჩემს ხვეწნა-მუდარას ველარ გაუძლო. შინიდან წასვლის შემდეგ ცოტა ხანს ბედნიერად ვგრძნობდი თავს, მერე და მერე გამიჭირდა, რადგან ნათესავებისგან ხმა მომდიოდა, რომ თინა ცუდად იყო. რა მექნა, აღარ ვიცოდი. ზოგჯერ გულიანად რომ გავიცინებდი, უცებ გამახსენდებოდა თინას ნაღვლიანი სახე, შვილები და მწუხარება მიპყრობდა. მაკამ ვერ გაუძლო ჩემს დარდს და ჩანთა თავისი ხელით ჩამილაგა, — ვხედავ, ჩემთან არ ხარ ბედნიერი და არ შემიძლია ასეთს გიყურო, დაუბრუნდი ოჯახსო. იმდენად მყავდა მონატრებული თინა და შვილები, რომ გახარებული წამოვედი მისგან. კარი უფროსმა გოგონამ გამიღო და სიხარულით გადამეხვია, მერე დედამისთან გავარდა, — მამა დაბრუნდაო. თინა იწვა. ისეთი გამხდარი და მოტეხილი მეჩვენა, გულში დავიფიცე, აქედან ფეხს აღარ მოვიცვლი-მეთქი, მაგრამ გავიდა თვეები და კვლავ მაკა და ბიჭი მომენატრა. ერთხანს მაკა არ მენახვებოდა, არც ბავშვს მაჩვენებდა და ამას იმით ხსნიდა, — ეგებ ერთხელ და სამუდამოდ დამივიწყოს და მშვიდად იცხოვროს თავის ოჯახთანო, მაგრამ განა შეიძლება შვილისა და საყვარელი ადამიანის დავიწყება? ისევ დავიწყე მაკასთან სიარული. ერთხელ, ბავშვიც კი მივიყვანე თინასთან. მას არაფერი უთქვამს, მიეფერა კიდეც პატარას, მაგრამ ვაი, ასეთ მოფერებას, სახეზე ფერი არ ედო, მოგვიანებით კვლავ ცუდად შეიქნა. ამის მერე საბოლოოდ მივხვდი, რომ ჩემი მოსვენება არ იქნებოდა. სამუდამოდ ვერც ერთთან, ვერც მეორესთან ვერ გავჩერდებოდი და აგერ შვიდ წელზე მეტია, ცალკე ვცხოვრობ, ასე გადავწყვიტე, ასეთი განაჩენი გამოვუტანე თავს.

— *ეს ხათრიანობის გამო გააკეთეთ?*

— ასე გამოდის. არ შემიძლია ძვირფას ადამიანებს გული დავწყვიტო, ამიტომ მირჩევნია, ისევ და ისევ მე ვიყო დაჩაგრული.

— *განა შეიძლება ერთდროულად ორი ქალი გიყვარდეთ?*

— თქვენ წარმოიდგინეთ, შეიძლება, თუმცა ამ ორიდან ერთი მეტად მიყვარს, მეორე კი უფრო მეცოდება.

— *ფიქრობთ, რომ სახელების შეცვლის მიუხედავად, ამ ამბავში თავის თავს ვერ ამოიცნობენ?*

— თუ ამოიცნობენ, არა უშავს, იმას მაინც მიხვდებიან, რა დღეშიც ვარ. ისე კი, იცოდეთ, ჩემს დღეში ძალიან ბევრი კაცია.

— *ანუ ბევრია თქვენსავით „ხათრიანი“?*

— დიახ, გინდათ ხათრიანი მიწოდეთ, ან სუსტი და უნებისყოფო...

— *45 წლის კაცს მეტი სიმტკიცე გმართებთ, თანაც ასე მარტო როდემდე უნდა იყოთ, შვილებს მაინც თუ ნახულობთ?*

— შვილები თვითონ მნახულობენ. უფროსი ქალიშვილი დედასავით მივლის.

— *თუმც ყველას თავისი ადგილი აქვს: შვილსაც, ცოლსაც და დედასაც...*

— გეთანხმებით, მაგრამ... აწი ჩემი გამოცვლა აღარ შეიძლება.

— *ცოლები არ გნახულობენ?*

— არა ... ძალიან მენატრება ორივე, მაგრამ ჯობს არც ერთი არ ვნახო...

— *იქნებ დრომ გაბედული ნაბიჯი გადაგადგმევინოთ?*

— მეეჭვება. თუკი შვიდი წლის მანძილზე ვერაფერი შევცვალე, ახლა გადავდგამ გაბედულ ნაბიჯს?

— *რაღაც ყოველთვის იწყება, მერე კი მთავრდება. ასე რომ, თქვენი მარტოხელობა და გაურკვევლობაც დასრულდება.*

— ღმერთმა გისმინოთ. ისე კი, თქვენთან გულახდილი საუბრით თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი ჩამოვიხსენი. იქნებ, ამ გაურკვევლობასაც დაადგეს საშველი და მივხვდე, რა მინდა...

**რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა**

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-25-61*

## რას ურჩევენ ქალბატონები მამაკაცებს

*ამ ბოლო ორი კვირის მანძილზე ერთგვარი გამოკითხვა ჩავატარე ჩემს რესპონდენტ ქალბატონებთან. მათ მხოლოდ ერთი კითხვა დავუსვი: რას ურჩევთ მამაკაცებს? ზოგმა რა თქვა, ზოგმა — რა. მათი სურვილები და რჩევები შევაჯერე, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ. იმედია, ჩვენი მკითხველი მამაკაცები გულდასმით გაეცნობიან და ყველას თუ არა, ნახევარს მაინც გაიზიარებენ:*



**1.** ძალიან ცუდი თვისებაა, როცა მამაკაცი თანმხლები ქალის გვერდით თვალებს აქეთ-იქით აცეცებს და ყურადღებას სხვა ქალის მიმართ იჩენს. ამით იგი შეურაცხყოფს მეგობარ ქალბატონს და საკუთარი თავის ღირსებასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

**2.** ცოლიან მამაკაცს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ქალს სიურპრიზები უყვარს. მან ქორწინების მერეც არ უნდა მოაკლოს მეუღლეს ყურადღება. სამწუხაროდ, ზოგს მიაჩნია, რომ ლამაზი დღეები მხოლოდ ქორწინებამდეა საჭირო. დაოჯახების შემდეგ კი, უყურადღებობას და ზედაპირულობას ოჯახის ტვირთით ან მოუცლელობით ხსნის. ნამდვილი მამაკაცი ყოველთვის ყურადღებიანია და არ ავიწყდება მნიშვნელოვანი დღეები. ვთქვათ: შეუღლების თარიღი, ცოლის დაბადების დღე, ქალთა ან სიყვარულის დღე და ა.შ. საერთოდ, თუ რიგგარეშეც მოიფიქრებს რაიმე ორიგინალურს, ეს მის ღირსებაზე იმეტყველებს.

**3.** ამქვეყნად არაფერია დაუშვებელი და ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ცოლიან კაცს სხვა ქალი შეუყვარდება, კაცმა იმ ქალის თანდასწრებით არ უნდა თქვას ცოლზე აუგი, რადგან იგი ამით ბევრს წააგებს (რა თქმა უნდა, თუკი ის ქალბატონი ღირსეული ადამიანია). როცა კაცი შეურაცხმყოფელ სიტყვებს ამბობს ცოლზე, თავისი შვილების დედაზე, ამით საკუთარ თავს ამცირებს. ასე რომ, მამაკაცებო, თქვენს ახალ რჩეულთან ოჯახურ უსიამოვნებას ნუ გაიხდით სასაუბრო თემად.

**4.** საშინელებაა, როცა თაყვანისმცემელ მამაკაცს სიმხდალეს შეამჩნევ. ქალმა შეიძლება საყვარელ კაცს უხეშობაც აპატიოს, უყურადღებობაც კი, მაგრამ ვერასოდეს აპატიებს სიმხდალეს. თუ კაცი თავის რჩეულს ყველაზე კულმინაციურ მომენტში გვერდიდან გამოეცლება, ვაჟკაცობაზე პრეტენზიაც აღარ უნდა ჰქონდეს.

**5.** მამაკაცებო, ქალთან კონფლიქტისას ნუ გაიბუტებით. ეს ძალიან იაფფასიანი ჟესტია და ქალსაც კი არ უხდება.

**6.** არ იფიქროთ, რომ ქალს ლიდერობა, პირველობა იტაცებდეს. მას ურჩევნია, თქვენზე იყოს მონდობილი. მთავარია, რომ თქვენ მოუგვაროთ ყველანაირი პრობლემა და გვერწმუნეთ, იგი ყოველთვის დაგემორჩილებათ.



1 იაპონური ალუბალი
2 პოლონელი ასტრონომი
3 ციყვების ოჯახის მოზრდილი მღრღნელი
4 ვალის წინდი
5 სახსლავი მაკრატელი
6 ოფიცრის წოდება
7 სირაქლემის სახეობა
8 ეკლიანი ცხოველი
9 კლავიშებიანი მუს. საკრავი
10 მდინარე საქართველოში
11 „მიმინოს" პერსონაჟი ... მიზანდარი
12 ... პუგაჩოვა
13 მწვავე ინფექციური დაავადება
14 აჩრდილი
15 თითი
16 ჩანთოსანი დათვი
17 ფრანგული ავტომობილი
18 ძვ. ბერძენი მოქანდაკე
19 ფშაველთა წარმართული ღვთაება
20 ცხენბურთი
21 რეჟისორი ... პარკერი
22 მონღოლეთის არმიის ჯარისკაცი
23 ბრაზილიელი ფეხბურთელი
24 ცხენოსანი ჯარი
25 უოლტერ სკოტის რომანი
26 პალესტინის პრეზიდენტი
27 ჰომეროსის პოემა
28 ქართველი პოეტი
29 ბედი, იღბალი
30 ძვირფასბეწვიანი მტაცებელი ცხოველი
31 რუმინული ავტომობილი
32 ბულგარეთის დედაქალაქი
33 ფეხბურთელი ... მეტრეველი
34 ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი
35 ინდაურის ნაშიერი
36 „ამირანდარეჯანიანის" ავტორი
37 კუბის ფულის ერთეული
38 კათოლიკეების მღვდელი
39 ნაცვალსახელი
40 მომღერალი ... ვაიკულე
41 ნაპოლეონის მარშალი
42 ძვირფასი ლითონი
43 დედალი ღორი
44 საჯარო გამოსვლა რაიმე თემაზე
45 სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში
46 პატარა მარხილი
47 ბოსტნეული
48 ახალგამოჩეკილი ქათამი
49 ტყის ქათამი
50 ჩრდ. კორეის დედაქალაქი
51 თავისი დროის მოთხოვნათა შესაფერისი
52 კვერნისებრთა ოჯახის მტაცებელი
53 დედამიწის თანამგზავრი
54 მოხდენილობა
55 მიწის გასაფხვიერებელი იარაღი
56 ირლანდიის ეროვნული არმია
57 იტალიის ფეხბურთის გუნდი
58 ამერიკის შტატი
59 ტოგოს დედაქალაქი
60 პერგამენტის გრაგნილი
61 პლანეტა სატურნის თანამგზავრი
62 მუსიკოსი ... მენსენი
63 ვაზის ბალი
64 რევოლუციონერი ... მახარაძე
65 მოძრავი ცირკი
66 სალამოს ტრაპეზი
67 ყურის გარეთა ნაწილი
68 ფრანგი ფილოსოფოსი
69 ლონე
70 ინგლისის ფეხბურთის გუნდი
71 რკინიგზის მთავარი ხაზი
72 მზის ამოსვლა
73 იგივეა, რაც არჩვი
74 მუს. ნოტი
75 ნარნარი ფრენა



1. სასკოლო ზარი ამ ძვ. ბერძენმა ისტორიკოსმა გამოიგონა



2. ეს ამერიკელი ილუზიონისტი ოდესელი ებრაელია





3. ამ ფრანგი დრამატურგის ნამდვილი სახელი და გვარია ჟან ბატისტ პოკლენი



4. ამ ყვავილის სამშობლო ინდონეზიაა



5. ამ აფრიკული სახელმწიფოს დედაქალაქია უინდჰუკი, ფულის ერთეული კი — რანდი

**მე-25 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:** 1. მელოდია; 2. დოვლათი; 3. ავი; 4. კარამელი; 5. თაგორი; 6. მაჰარაჯა; 7. ლაპარაკი; 8. ნეკა; 9. ბადაგი; 10. არარატი; 11. არიზონა; 12. ბაგა; 13. ბრიჯი; 14. არესი; 15. აჯიკა; 16. მალა; 17. მაროკო; 18. ბიზონი; 19. ბაიადერი; 20. დინამო; 21. ბაირამი; 22. ნავიგაცია; 23. ვილა; 24. გაბარიტი; 25. სვანეთი; 26. ბაგირი; 27. სინჯარა; 28. ჩივაძე; 29. ფანაბერია; 30. კანა; 31. აბორტი; 32. კამარა; 33. ქნარი; 34. ამანი; 35. ეთერი; 36. მარინა; 37. მონე; 38. დო; 39. სკივრი; 40. რიკი; 41. ლისაბონი; 42. იდეალიზმი; 43. სიდრი; 44. ბინგო; 45. ნაოჭი; 46. კრედიტი; 47. სიძე; 48. კავალერი; 49. ნივა; 50. ლუნატიკი; 51. ომარ; 52. კირხე; 53. პოლიფონია; 54. სტარტი; 55. ნაძვი; 56. ტენგე; 57. ფატა; 58. ტატრა; 59. აკმე; 60. დერმატინი; 61. მკვრივი; 62. კაფია; 63. კომპასი; 64. კაკაო; 65. ჯოჯოხეთი; 66. ჯაფარიძე; 67. გიგა; 68. მესა; 69. პუმი; 70. პაპა; 71. მაკე.

**სურათებზე.** ლერმონტოვი; 1. ჰიპოპოტამი; 2. კივი; 3. აკუნინი; 4. დანია; 5. ვერნი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჟაშვილმა

# გაზის მნიშვნელოვნად გაძვირება გარდაუვალია...

## ...თუ „გაზპრომის" დაკრულზე არ ვიცეკვებთ



რუსეთი საკუთარ ენერგორესურსებს დსთ-ის ქვეყნებსა და ევროპაზე გავლენის მოპოვებისთვის რომ იყენებს, სიახლე არავისთვის აღარ არის. რუსული ენერგოგიგანტის „გაზპრომის" მხრიდან ბუნებრივ აირზე ფასების მატებამ უკვე შანტაჟის ხასიათი მიიღო, რასაც ევროპის სახელმწიფოები ვერაფერს უპირისპირებენ. გაზის მონოპოლისტს საკუთარი მიზნების განხორციელებაში ენერგომატარებლებზე ფასების ზრდაც უწყობს ხელს, რაც მსოფლიო ბაზარზე ბოლო პერიოდში მუდმივად ფიქსირდება. უკვე გადაწყვეტილია, რომ „გაზპრომი" ბუნებრივ აირს იანვრიდან ყველა ქვეყანას გაუძვირებს, სადაც ექსპორტს ახორციელებს. მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოც იქნება. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ეს საკითხი მალე გააქტიურდება და რუსული კომპანია თავის ულტიმატუმს ალბათ, შემოდგომის დადგომისთანავე წამოაყენებს.

რუსულ ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება დიდი რვიანის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე, რომელიც ივლისში უნდა გაიმართოს.

რუსეთი აღარც მის მოკავშირე ბელორუსიას „ინდობს" და ტარიფს გაზზე ახალი წლიდან თითქმის ოთხჯერ გაუზრდის. ბელორუსიას, რომელიც დღეს გაზს ყველაზე დაბალ ფასად — 43,5 დოლარად იღებს, მომავალი წლიდან ათას კუბურ მეტრ აირში მინიმუმ 145 დოლარის გადახდა მოუწევს, თუ ლუკაშენკოს მთავრობა „გაზპრომს" გაზის გამანაწილებელი კომპანია „ბელტრანსგაზის" მიყიდვაზე არ დათანხმდება. თავის მხრივ ლუკაშენკო პარტნიორი რუსეთისგან ითხოვს, გაზს ბელორუსიას თუ გაუძვირებს, ნედლეულზე ფასი ყველა მეზობელ ქვეყანაშიც გაზარდოს.

„გაზპრომმა" გადაწყვეტილება უკვე მიიღო და 2007 წლიდან ბუნებრივ აირს უკრაინასაც გაუძვირებს, სადაც სავარაუდოდ, ათასი კუბური მეტრი აირის ფასი 95 დოლარიდან მინიმუმ 130 დოლარამდე აიწევს. ზრდა კიდევ უფრო დიდი იქნება, თუ „გაზპრომის" შვილობილ „გაზექსპორტს", რომელიც უკრაინის საზღვრამდე თურქმენული ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას ახდენს, თურქმენეთი ათას კუბურ მეტრ გაზს 65 დოლარიდან 95 დოლარამდე გაუძვირებს. ამ შემთხვევაში უკრაინისთვის გაზი 140-150 დოლარი გახდება. ექსპერტების პროგნოზით, რუსული გიგანტი იძულებული გახდება თურქმენბაშის შემოთავაზებულ ფასს დაეთანხმოს, რადგან მასთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში თურქმენი და ყაზახი მომწოდებლები ნედლეულს ჩინეთისკენ მიმართავენ. ჩინეთთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ „გაზპრომის" მიმართ თურქმენეთის ულტიმატუმმა უკვე კატეგორიული ტონი შეიძინა. კიევი შეშფოთებას გამოთქვამს მოსკოვის ამ გადაწყვეტილების გამო და დახმარებას კვლავ აშშ-სა და ევროკავშირს სთხოვს, ივლისში, პეტერბურგის სამიტის დროს, გავლენა მოახდინონ რუსეთზე. საეჭვოა, ევროპამ რუსეთზე ზეგავლენის მოხდენა შეძლოს და გადაწყვეტილება შეაცვლევინოს, რადგან „გაზპრომმა" ევროპაში იმდენად მყარად მოიკიდა ფეხი, ფასების ზრდით უკვე ევროპის წამყვან სახელმწიფოებსაც ემუქრება. რუსი მონოპოლისტის მხრიდან ევროპის მიმართ უკვე გაისმის გაფრთხილება, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ბუნებრივი აირის იმპორტის ფასი უახლოეს მომავალში 250 დოლარს მიაღწევს. როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, „გაზპრომს" იმდენად მყარი არგუმენტები უპყრია ხელთ, რომ ევროპა რუსულ შანტაჟთან ვერაფერს გააწყობს: რუსული კომპანია გაზით ევროპის 80 პროცენტს ამარაგებს და იმ ქვეყნებში, სადაც გაზის ექსპორტს ახორციელებს, მისი წილი ადგილობრივ გამანაწილებელ კომპანიებში 40-50 პროცენტამდე მერყეობს და ეს თანაფარდობა ყოველდღიურად „გაზპრომის" სასარგებლოდ მატულობს.



ამ პროცესებს თუ გავითვალისწინებთ, „გაზპრომმა" გაძვირების შესახებ მალე საქართველოსაც უნდა აცნობოს. 2005 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ერთწლიანი ხელშეკრულებით საქართველო „გაზპრომისგან" ათას კუბურ მეტრ აირს 110 დოლარად იღებს, რაც დსთ-ის სივრცეში ყველაზე მაღალი ფასია („გაზპრომი" ყოფილ საბჭოთა სივრცის ქვეყნებს გაზს საშუალოდ 80 დოლარად აწვდის) და ბალტიისპირეთისთვის დადგენილ ფასსაც აღემატება, სადაც რუსულ გაზში ჯერჯერობით 100 დოლარს იხდიან (სავარაუდოდ, ბალტიისპირეთის ქვეყნებში „გაზპრომი" ამ ფასს მალე 160 დოლარამდე აწევს). ცხადია, ჩვენთან რუსულ გაზს პოლიტიკური ფასი ადევს, რადგან საქართველოს წილი „გაზპრომის" იმპორტში იმდენად უმნიშვნელოა, რომ გაძვირების შემთხვევაში რუსული კომპანიის კომერციულ სარგებელზე ლაპარაკი არ შეიძლება იყოს. „გაზპრომმა" ხელშეკრულების დადების დროს ქართულ მხარეს განუცხადა, რომ ნედლეულს საქართველოსთან ერთად მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანსაც უძვირებდა, თუმცა, ეს მხოლოდ ოფიციალურად ითქვა. არაოფიციალური, მაგრამ სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, კავკასიის ეს სახელმწიფოები რუსულ გაზს დღემდე ჩვენზე გაცილებით იაფად იღებენ.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ რუსეთი გაზის თემაზე საუბარს დიდი რვიანის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო აქტიურად დაიწყებს. რუსეთ-საქართველოს შორის ვაჭრობის საგანი, როგორც ბოლოდროინდელი მოვლენებიც მოწმობს, კვლავაც ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი იქნება. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, „გაზპრომი" საქართველოს ხელისუფლებას ამჟამად არსებული ფასის დატოვებას მაგისტრალური გაზსადენის სანაცვლოდ შესთავაზებს. მილსადენის მიყიდვის შესახებ რუსული კომპანიის მიერ ჯერ კიდევ შარშანდელ შემოთავაზებაზე, ქართულ მხარეს მოსკოვისთვის ოფიციალური პასუხი არ გაუცია. ძველი შეთავაზების შესახებ საქართველოს მთავრობას რამდენიმე დღის წინ „გაზპრომის" გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრ მილერმაც შეახსენა და განაცხადა, გვითხრან, გვაძლევენ თუ არა გაზსადენს, თორემ მერე შეიძლება ინტერესი მის მიმართ საერთოდ გაგვიქრესო. „გაზპრომის" ხელმძღვანელის ეს განცხადება ქართული მხარის მიმართ შანტაჟის მცდელობას წააგავს, რაც, ექსპერტთა პროგნოზით, დიდი რვიანის დასრულების შემდეგ გამოაშკარავდება.

**გია ხუხაშვილი** (ექსპერტი): „რუსეთ-დასავლეთს შორის დაწყებულ ენერგეტიკულ ომსა და მიმდინარე პროცესებს თუ გავითვალისწინებთ, „გაზპრომი" გაზს აუცილებლად გაგვიძვირებს. ამ საკითხთან დაკავშირებული დაძაბულობა პიკს, სავარაუდოდ, შემოდგომის მიწურულს მიაღწევს. ახალ ტარიფს რუსეთი ალბათ ოქტომბერში გაამჟღავნებს. მოსალოდნელი გაძვირების შესახებ მთავრობის წევრები, ბუნებრივია, არაფერს ამბობენ. ისინი რეაგირებას, როგორც წესი, პოსტფაქტუმ დაეჩვივნენ. ფასზე ლაპარაკის დაწყებისთანავე გააქტიურდება მაგისტრალური მილსადენის თემაც. ხელისუფლება აცხადებს, რომ მაგისტრალურ მილსადენს არ გაყიდის, მაგრამ არ გამოვრიცხავ, ის რუსების გავლენის ქვეშ მაინც მოექცეს, მთავრობამ 49-წლიანი იჯარის ფორმით გადასცეს ან ერთობლივ საწარმოს მისცენ მართვაში. საქართველო „გაზპრომის" ამ შანტაჟს თუ წამოეგება, ყველაფრის დათმობა მოუწევს. რადგან რუსეთი მილსადენის მიყიდვას არ დასჯერდება და გაზის ფასს მაინც გაგვიზრდის".

**თემურ გოჩიტაშვილი** (ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში): „რუსეთთან ჩვენი დამოკიდებულების გათვალისწინებით, გაზის გაძვირება გარდაუვალი იქნება. მით უფრო, რომ პოლიტიკურ დათმობაზე წასვლას ჩვენი ხელისუფლება არ აპირებს და მკაცრად აცხადებს, რომ მაგისტრალურ მილსადენს არ გაყიდის. რუსეთის შანტაჟს საქართველომ თავი მხოლოდ ალტერნატიული წყაროების გამონახვის გზით შეიძლება აარიდოს, ერთი მხრივ, ჰიდრორესურსების გამოყენებაზე გადაერთოს და მეორე მხრივ, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენიდან მისაღები ბუნებრივი აირის წილის გაზრდაზე იზრუნოს".

რამდენით გაიზრდება ტარიფი, დანამდვილებით თქმა ძნელია, თუმცა, თუ დსთ-ის სივრცეში გაზის ფასის საერთაშორისო ტარიფთან გათანაბრების შესახებ „გაზპრომის" მუქარას გავიხსენებთ, იგი 220 დოლარს უნდა გაუტოლდეს. თუ ასე მოხდა, საქართველოში გაზის ფასი გაორმაგდება. რუსეთ-ირანის ბოლო შეხვედრას თუ გავითვალისწინებთ, როცა ამ ქვეყნების პრეზიდენტები გაზზე ფასების დაბალანსებაზე შეთანხმდნენ, სავარაუდოდ, მეორე ალტერნატიული წყაროც გაგვიძვირდება.

რაც შეეხება შაჰდენიზი-ერზრუმის ალტერნატივას, რაზეც ენერგეტიკის სამინისტრო მუშაობს, 2007-08 წლებში საქართველო ამ მილსადენიდან მხოლოდ 200-250 მილიონ კუბურ მეტრ აირს მიიღებს, რაც საქართველოს მიერ წლის განმავლობაში მოხმარებული აირის მეხუთედია (ქვეყანა წლის განმავლობაში 1, 2 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მოიხმარს).

ენერგომატარებლების გაძვირება სამომხმარებლო ფასებზე უკვე აისახა. ინფლაცია ქვეყანაში აპრილის თვიდან გახდა შესამჩნევი. ბუნებრივი აირის გაძვირების გამო საწარმოების შემოსავლებმა მნიშვნელოვნად იკლო. გაზზე ფასის გაორმაგების შემთხვევაში ეს პროცესები განსაკუთრებით საგრძნობი გახდება. ექსპერტთა პროგნოზით, ამ შემთხვევაში ინფლაციის მაჩვენებელი 10-15 პროცენტით აიწევს, გაიზრდება წამგებიანი საწარმოების რიცხვი, გაიზრდება უმუშევრობა. იმ შემთხვევაში, თუ გაზის ფასი საქართველოში მოიმატებს და მეზობელ ქვეყნებში უცვლელი დარჩება, სავსებით მოსალოდნელია წარმოების ნაწილმა ამ ქვეყნებში გადაინაცვლოს. თავის მხრივ, ინფლაციური პროცესების თავიდან ასარიდებლად ეროვნული ბანკი ზრდის საპროცენტო განაკვეთს, რაც წარმოების აქტივობის დაცემის მიზეზი ხდება.

**სოსო ცისკარიშვილი** (ეკონომიკის ექსპერტი): „საქართველოში გაზის გაძვირებას იმავე დროს უნდა ველოდოთ, როცა „გაზპრომი" ფასს უკრაინას და ბალტიისპირეთის ქვეყნებს მოუმატებს. რუსეთმა გაზი რომ არ გაგვიძვიროს, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჩვენ მიმართ სერიოზული, საეჭვო მიზნები აქვს, ისევ ქვეშევრდომად და ვასალად გვთვლის. ევროპის სივრცეში გადანაცვლების პარალელურად იმისთვისაც უნდა ვიყოთ მზად, რომ იგივე ფასი გადავიხადოთ, რასაც ეს სახელმწიფოები იხდიან. ამავე დროს სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ იმ რესურსებით, რაც ბიუჯეტში არსებობს, ხალხს ენერგეტიკული საკითხებით გამოწვეული პრობლემები ააცილოს თავიდან. საამისო რეზერვები არის, რომ მთავრობამ მოსახლეობას ეს ტვირთი შეუმსუბუქოს. ფასები, რა თქმა უნდა, მოიმატებს, სიძვირე იქნება, მაგრამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ფასად რუსეთს შეღავათებზე უარი უნდა ვუთხრათ. ინფლაციურ პროცესებს დადებითი შედეგიც შეიძლება მოჰყვეს, ქვეყანაში ექსპორტის ხელშეწყობის პირობა შექმნას".

როგორც მთავრობის წევრები ამბობენ, „გაზპრომის" მხრიდან გაზის გაძვირების შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი.

**ნიკა გილაური** (ენერგეტიკის მინისტრი): „გაზის გაძვირების შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით. ამ თემაზე საუბარი ჯერ არ გვქონია. ახლა შაჰდენიზის პროექტზე ვმუშაობთ და რუსეთისთვის არ გვცალია. ვნახოთ, თუ ახალ ფასს შეგვატყობინებენ, კი ბატონო, მერე განვიხილავთ".

*ნონა ქვლივიძე*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 24 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7750 |
| ევრო | 2,2299 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,2427 |
| რუსული რუბლი | 0,0656 |
| თურქული ლირა (1*) | 1,0453 |





თიბისი ბანკი TBC Bank

მხოლოდ თიბისი ბანკში!

ავტომატური კომუნალური გადასახადები

1 სექტემბრამდე
დარეგისტრირდით ავტომატური კომუნალური გადარიცხვების სერვისზე და
- თბილგაზის პირველი თვის გადასახადს ბანკი აგინაზღაურებთ.*
- თქვენთვის მომსახურება 2006 წლის ბოლომდე უფასოა!

* თანხა ანგარიშზე დაგიბრუნდებათ გადარიცხვიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე (მაქსიმუმ 25 ლარის ოდენობით).

☎ 27 27 27 www.tbcbank.ge

ცხოვრება ზოგისთვის თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის, ზოგისთვის კი ურემივით მიიზლაზნება. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ორომტრიალშიც ხშირად დგება მომენტი, როდესაც გვახსენდება გოეთეს ფრაზა — „შეჩერდი, წამო...“ „გაიყინება“, გაირინდება ადამიანის არსებობის ერთი მცირე მონაკვეთი და ისევ თავაწყვეტილი სრბოლით გაგრძელდება წუთისოფლის ტრიალი... შეჩერებულმა წამმა კი იქნებ საუკუნეების ხანგრძლივობაც დაიტიოს თავისი ყოვლისმომცველი იდუმალებით...

„კვირის პალიტრის“ ამ ფოტოგალერეაში საინფორმაციო სააგენტო **„ინტერპრესნიუსის“** ფოტოკორესპონდენტების მიერ დანახული ქართული რეალობაა წარმოდგენილი, ჩვენი დღევანდელობა და სინამდვილე. „შეჩერებული ნამი“ — როგორც ჩვენი ისტორია და... მარადიულობა(?!.).



გასულ კვირას საქართველოს შს მინისტრს და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მილიციის შეფს ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის დოკუმენტზე უნდა მოეწერათ ხელი, მაგრამ სეპარატისტებმა ხელმოსაწერ დოკუმენტში საქართველო და სამხრეთ ოსეთი თანაბარ სახელმწიფოებად „შემოაპარეს“, რასაც მერაბიშვილი არ წამოეგო და ბინძურ თამაშზე უარი თქვა.

„ვერ გასწავლეთ, კაცო, პატაკების შედგენა, დაწერთ რაღაც აბდაუბდას და გინდათ ხელი მომაწეროთ...“ (კ/ფ „რეკორდი“)

„Нашел фраера с тобой играть! У тебя же в колоде девять тузов!..“ (კ/ფ „იღბლიანი ჯენტლმენები“)



## „სიზმარში ვარ“ (კ/ფ „ლონდრე“)



დებიუტანტი უკრაინა წინ მიიწევს

დედაუნივერსიტეტში უცნაური ვითარებაა: შენობაში დღეში რამდენჯერმე პატრული შერბის და „ურჩ“ პროფესორ-მასწავლებლებს მუჯლუგუნებით უსწორდება. მეცნიერთა ერთი ნაწილი უკმაყოფილოა უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმებით და დიალოგს ითხოვს რექტორთან, რომელიც აცხადებს, რომ კანონს ემსახურება. კანონი უნდა შესრულდეს, მაგრამ მხცოვან აკადემიკოსს რომ პირტიტველა სამართალდამცველი ლანძღვა-გინებითა და ხელის კვრით იმ შენობიდან აგდებს, სადაც მეცნიერს მთელი ცხოვრება უმუშავია, ალბათ ასეთი კანონი უნდა გადაიხედოს. განათლების მინისტრს კი ჯერ საამისოდ არ სცალია, რადგან უცხოეთიდან ჩამოტანილი საგამოცდო ტესტების დაბინავებით არის დაკავებული...



„არ მცალია მე თქვენთვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტში ვარ“. (კ/ფ „რეკორდი“)

„მუშტი არ იხმარო, მუშტი!“ (კ/ფ „რაც გინახავს, ველარ ნახავ“)



## ვარსკვლავთცვენა და პაგონთხევა უნივერსიტეტში



## ბრაზილია 4:1 იაპონია



რონალდო გამოფხიზლდა

„ლუარსაბ, ეს როგორ ლამაზად გაიღვიძე, გენაცვალოს ხორეშან-დედი!..“ (სპექტაკლი „კაცია-ადამიანი?!“)

## გერმანია 2:0 შვეცია



პოდოლსკი-კლოზეს დუეტმა ვიკინგები დააჩოქა!

## „დიდი გასეირნება“



თბილისში უკრაინული ავტობუსების ახალი პარტია ჩამოვიდა. „ბოგდანები“ უკვე ხაზებზე გაუშვეს და მათი პირველი „აბკატკა“ ქალაქის მერმა შეამოწმა. უგულავა ავტობუსებით კმაყოფილი დარჩა. სხვა თუ არაფერი, „ბოგდანებში“ ფანჯრები მაინც იღება და უჰაერობისგან მგზავრთა გაგუდვის საშიშროება მოხსნილია.

„ - Дали!
- Что дали?
- 26-Б дали. Такая гидравлика, с ума соедешь...
Я так думаю!..“
(კ/ფ „მიმინო“)

## ვის შეხვდება საჩემპიონო ნამცხვარი?





# „ზღაპარში ხომ არა ვართ, ბაყბაყდევის რომ შეგვეშინდეს“

## ვიღაც იდიოტებმა ხმაური თავის გამოჩენის მიზნით ატეხეს

*მას შემდეგ, რაც მდინარეების აუზების მართვის უფლებითა და ტყეების გრძელვადიანი იჯარით გაცემაზე დაიწყო ლაპარაკი, ბუნების დაცვითი ორგანიზაციები და ოპოზიცია სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძეს უტევენ — ყველაფერს ყიდის და მალე ჰაერზეც გადასახადს დააწესებსო.*

*ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პრეტენზიაში მართლაც არის ლოგიკა — ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა რჩება და სახელმწიფო მინისტრის ლაკონიური და დამცინავი კომენტარი, ჩემი ოპონენტები იდიოტები არიანო, მოსახლეობისთვის სერიოზული არგუმენტი ვერ არის. ხომ არ მოიმატებს წყლის ტარიფი; სოფლად გლეხს მდინარის წყლით საკარმიდამო ნაკვეთის მორწყვის უფლებას უსასყიდლოდ მისცემენ თუ გადასახადს დაუწესებენ; რით გათბეს სოფლის მოსახლეობა ზამთარში, თუკი მოიჯარე მათ ტყეში ფეხს არ შეადგმევინებს — ამ თემებზე სახელმწიფო მინისტრს ჯერ ვრცელი განმარტება არ გაუკეთებია. გავითვალისწინეთ რა საზოგადოების ინტერესი ამ საკითხებისადმი,* **კახა ბენდუქიძეს** *რამდენიმე კითხვით მივმართეთ.*

**— მდინარეებისა და წყალსაცავების გაყიდვის (ან იჯარით გაცემის) საკითხმა საზოგადოებაში შეშფოთება გამოიწვია. ამას ბუნების დაცვითი ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიებიც ეწინააღმდეგებიან. რაზეა გათვლილი თქვენი ეს ინიციატივა?**

— მდინარეებსა და წყალსაცავებს არავინ ყიდის და არც იჯარით გაცემაზეა ლაპარაკი. ეტყობა, ვიღაც იდიოტებმა ხმაური თავის გამოჩენის მიზნით ატეხეს. სინამდვილეში ლაპარაკია მდინარეთა სააუზო მართვაზე, რაც გულისხმობს, რომ მთელ მდინარის აუზზე ერთი იურიდიული პირი იქნება პასუხისმგებელი. ის იქნება პასუხისმგებელი კალაპოტის დაცვაზე, ჯებირების შეკეთებაზე, წყლის სისუფთავესა და მისი მიწოდების ხარისხზე, იმ ხელოვნურ და ბუნებრივ ტბებზე, რომლებიც ამ მდინარეს კვებავს და ა. შ. მდინარის სხვადასხვანაირად გამოყენება ერთმანეთს ვერ უთავსდება — მაგალითად, ვიღაცას მდინარეზე წყალსაცავის აშენება უნდა ჰიდროელექტროსადგურების გასაკეთებლად, ვიღაცას კი თევზის დაჭერა. წინააღმდეგობა რომ არ შეიქმნას, მდინარე უნდა იმართებოდეს როგორც ერთიანი ბუნებრივი და ეკონომიკური ობიექტი. უნდა შეიქმნას ე. წ. სააუზო სამმართველოები. მსოფლიო გამოცდილების თანახმად, მდინარეთა აუზების გამსხვილება ხდება. საქართველოში 26 ათასი მდინარეა. ცხადია, თითოეულს მომვლელი და მეთვალყურე ვერ ეყოლება. ჩვენ 2-3 გამსხვილებული აუზის შექმნას ვვარაუდობთ. მაგალითად, იქნება რიონის აუზი, რომელშიც შევა ენგურიც და ჭოროხიც, მეორე — მტკვრის აუზი და მესამე, შესაძლოა, ალაზნის აუზი.

**— ვის ჩააბარებთ მდინარეთა აუზების მართვას?**

— აუზები შეიძლება მართოს სახელმწიფომ ან გამოცხადდეს კონკურსი მართვაზე.

გამოცდილ ჰიდროლოგებთან მქონდა შეხვედრა და ძალიან გაიხარეს, როდესაც ეს ამბავი შეიტყვეს. ეს არის ერთადერთი სწორი გზა. ასეა მოწყობილი მდინარე რურის აუზი გერმანიაში, ბოლო 90 წელია ის ამგვარად იმართება. თუ არ ვცდები, მისი წლიური ბრუნვა 700 მილიონი ევროა. მდინარის ნაპირის ამაღლებასაც და ჯებირის გაკეთებასაც, რა თქმა უნდა, ხარჯი სჭირდება, საამისოდ შემოსავალია საჭირო. მაგალითად, შემოსავალი შეიძლება მივიღოთ ჰიდროელექტროსადგურისგან, რომელიც ამ მდინარის წყლის მარაგს ხმარობს; ქარხნიდან, რომელიც ასევე იყენებს მდინარის წყალს ტექნოლოგიურ პროცესში.

წყლის რესურსებს გონივრული და გამჭვირვალე მართვა სჭირდება. არ ვამბობ, ვიღაც ბაყბაყდევივით(!) დაჯდეს და განაცხადოს — ეს მდინარე ჩემია და არავინ გაბედოს მასში ხელის დაბანაო... ზღაპარში ხომ არა ვართ.

**— გლეხს, რომელსაც საკარმიდამო ნაკვეთის მორწყვა უნდა, რა ეშველება? მასაც გადასახადს დაუწესებენ?**

— მაგალითად, კახეთში ნაკვეთებს საირიგაციო სისტემის მეშვეობით რწყავენ. ამაში ყველა ფულს იხდის და არსებობს დაწესებული ტარიფიც. ქვემო და შიდა ქართლში არის სოფლები, სადაც ხალხი ცისტერნებით ყიდულობს სარწყავ წყალს... არაგვზე მდინარის კალაპოტში აქვთ ჩადგმული სახლები. არადა ეს დაუშვებელია — ამით კალაპოტი ვიწროვდება და შეიძლება მოსახლეობას პრობლემა შეექმნას. ამიტომ არის საჭირო, რომ მდინარე როგორც ერთიანი ორგანიზმი, იმართებოდეს. მდინარეზე რომ კაშხალი ააშენო, შესაძლოა, ზღვამ რომელიმე ქალაქი დატბოროს. მაგალითად, ჭოროხზე თურქებმა რამდენიმე ელექტროსადგური ააშენეს, რამაც გაზარდა ქვიანი ჩამონატანი შავ ზღვაში, შედეგად ბათუმთან ზოგიერთი პლაჟი დაპატარავდა.

წყალი სახელმწიფოს საკუთრებაა და იჯარით მას არ გავცემთ. მართვის უფლებით გადაცემა არ შეიძლება იჯარასთან გაიგივდეს.

მკითხეთ, გლეხს რა ელისო. კანონის თანახმად, გადასახადის გადახდა ეკისრება მას, ვინც ორგანიზებულ საქმიანობას ეწევა. მან, ვისაც 500 ჰექტარი ნათესი აქვს, არხის საშუალებით რწყავს მას, აწარმოებს პროდუქციას და ფულს აკეთებს, უნდა გადაიხადოს, მაგრამ ის გლეხი, რომელიც თოხით აკეთებს პატარა რუს, რომ ბოსტანი ან საკარმიდამო ნაკვეთი მორწყას, არაფერს გადაიხდის. ასე რომ, ეს მოთხოვნები არ ეხება გლეხურ, ოჯახურ და კუსტარულ საქმიანობას.

**— ყველაფერი ეს ხომ არ გამოიწვევს სასმელი წყლის ტარიფის გაზრდას?**

— არა, ამას არავითარი კავშირი არ ექნება წყლის ტარიფთან.

**— ტყეების იჯარით გაცემის საკითხიც საკმაოდ მტკივნეულად იქნა აღქმული.**

— ჩვენი ბრალია, რომ ეს საკითხი სათანადოდ ვერ ავხსენით. მოიჯარე ხეებს კი არ ყიდულობს, არამედ ტყის მოვლის უფლებას იღებს. ტყეების საქმე სხვაგვარადაა — ჩვენ ვლაპარაკობთ გრძელვადიან ლიცენზიებსა და იჯარებზე. მსოფლიოში სულ ექვსი ქვეყანაა, სადაც ტყე მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაშია — მალტაში (სადაც საერთოდ არ მინახავს ტყე), რუსეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, ყაზახეთსა და საქართველოში. მსოფლიოში არავის მოსვლია ფიქრად, კერძოდ ტყე აეკრძალა. როგორ, მინდორი რომ ვიყიდო და მასზე ტყე გავაშენო, სახელმწიფოს უნდა ჩავაბარო?!

**— ამბობენ, რომ ტყეების იჯარით გაცემა მათ გაჩეხას გამოიწვევს.**

— რატომ იმეორებთ არაკომპეტენტური პირების აზრს? თქვენ რომ გითხრან, ასი წლით შეგიძლიათ აიღოთ ტყე, ოღონდ ხე არ მოჭრათო, რას იზამდით?

**— ვიფიქრებდი, თუ ხეს ვერ მოვჭრი, ტყის სხვა რა სიკეთით ვისარგებლო-მეთქი.**

— დიახ, ასე იქნება... თუ ტყეში არის ნაბლი, კაკალი, წიფელი, ხომ მოაგროვებთ, ეს არის სარგებელი. მოაგროვებთ ფიჩხსაც, სოკოსაც, მოცვსაც და გაისეირნებთ კიდეც...

სხვადასხვა კატეგორიის ტყეები იქნება. მაგალითად, ისეთები, რომლებსაც სამონადირეო მეურნეობის მოსაწყობად გამოიყენებენ. ასეთ ტყეში ხის მოჭრა მოიჯარეს დააზარალებს და ამიტომ ეცდება, არ მოჭრას. იქნება ტყეები, სადაც მხოლოდ ხეების 3%-ის მოჭრა იქნება ნებადართული, რათა აქვე აშენდეს სასტუმროები.

დღეს, როდესაც ტყე არავისი არ არის (უფრო სწორად, სახელმწიფო საკუთრებაშია), გარემოს დაცვის ინსპექცია უამრავ მოჭრილ ხეს პოულობს. ვის მოსთხოვოს პასუხი? ტყე რომ ვინმეზე იყოს მიწერილი, ისიც ყურადღებით იქნებოდა, აღარავის მოაჭრევინებდა ხეებს.

**— გამოდის, სოფლად გლეხს ხის მოჭრის უფლება არ ეძლევა, როგორ გათბეს ზამთარში ან ღობე თუ დაზიანდა, რით შეაკეთოს?**

— ვფიქრობ, უნდა არსებობდეს სათემო ტყეები, რომლებიც სოფლის საკუთრება იქნება. რა თქმა უნდა, კონტროლი იქაც საჭიროა, მაგრამ თუკი გლეხს ხე სამეურნეო მიზნებისთვის სჭირდება ან ფიჩხის შეგროვებას აპირებს, მას ეს არ უნდა ავუკრძალოთ. არ ვიცი, დაუჭერს თუ არა მხარს ამას მთავრობა და პარლამენტი — ეს ჩემი აზრია. ასევე უნდა იყოს სარეკრეაციო ტყეები, სადაც მხოლოდ გამხმარი ხეების მოჭრა იქნება ნებადართული; კომერციულად გამოსაყენებელი ტყეები, სადაც ხეს კი მოჭრიან, მაგრამ უსათუოდ უნდა დარგონ სანაცვლო.

ამ გზით ბიუჯეტში დიდი შემოსავალი არ შევა. ჩვენ გვინდა ტყე მოვლილი იყოს. თვალის ჩაკვრის, კაიბიჭობის გამო ან კიდევ დაფიცებაზე ტყეს იჯარით არავის მივცემთ. მთავარია, პირობები და გარანტიები, რომელსაც მოიჯარე მოგვცემს...

**— ოპოზიცია წყლისა და ტყის იჯარით გაცემის საკითხებზე აქციების გამართვას აპირებს.**

— მათი ნებაა... შეუძლიათ აქციები მზის ჩასვლისა და მთვარის ამოსვლის გამოც მოაწყონ...

P.S. მდინარეების აუზებისა და წყლების იჯარით გაცემის საკითხის განხილვა პარლამენტში ჯერ არ დაწყებულა. ოპოზიცია ამ საკითხზე მწვავე რეაგირებას აპირებს და როგორც ჩვენ შევიტყვეთ, საპარლამენტო უმრავლესობაც არ დარჩება გულხელდაკრეფილი. ერთმა აზერბაიჯანელმა დეპუტატმა „კვირის პალიტრასთან“ საუბარში განაცხადა, ეს რა მოუფიქრებია კახას, ერთი შემოიტანოს ეს კანონპროექტები პარლამენტში, თუ ქართველები გაჩუმდებიან, მე აზერბაიჯანელი არ დავუშვებ ამის განხორციელებასო. სახელმწიფო მინისტრს თუ დავუჯერებთ, დიდი შემოსავლის წყარო არც მდინარეთა აუზების მართვა იქნება და არც ტყის იჯარით აღება. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რისთვის აიტკივებენ მაანნი თავს, თუკი შემოსავალი არ მიიღეს და მუდამ დაჯარიმების შიში ექნათ?!

**მარი ზანდუკელი**

# სანამ ყვარელი დურუჯს ჩაუნთქავს

კარგა ხანია მეცნიერთა ერთი ნაწილი ყვარლის რაიონში მოსალოდნელ კატასტროფაზე ლაპარაკობს. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის, გივი გავარდაშვილის თქმით, პრობლემა ყოველ წამს უფრო და უფრო საშიში ხდება — მდინარე წარღვნით ემუქრება ყვარელს და მის მიმდებარე სოფლებს. მეცნიერები მდინარე დურუჯს მსოფლიოში არსებულ იშვიათ, გამოუცნობი ხასიათის მდინარეთა კატეგორიას მიაკუთვნებენ. იგი უპროგნოზოა, ზუსტად არავის შეუძლია გათვალოს, როდის ადიდდება და, მთიდან ჩამოვარდნილი, ღვარცოფად როდის დაატყდება ქალაქს. იქ, სადაც თეთრი და შავი დურუჯი ერთმანეთს ერთვის, უკვე საუკუნეზე მეტია, მთების კლდოვანი ნაწილი იშლება. ტონობით ნაშალი გამუდმებით გროვდება მდინარის კალაპოტში და დროდადრო წვიმის წყლით ივსება. ერთ დღესაც ნატანის უზარმაზარი მასა მოულოდნელად წყდება და საშინელი სიჩქარით მოექანება ბარისკენ. თვითმხილველთა თქმით, ამ დროს შავი ტალღების სიმაღლე 10 მეტრამდე აღწევს და გზად ყველაფერს ანადგურებს. 1899 წლიდან დღემდე დაფიქსირებული დურუჯის ორმოცივე მოვარდნა მოულოდნელი იყო. ღვარცოფი ნატანთან ერთად გააქანებს ქალაქისკენ. ამიტომაც ასე საშურია მისი გამაგრება“, — მიხსნის მეგზური.

ქალაში შავ ლოდებს შორის ჭიაყელასავით მოიკლაკნება დურუჯი. ვერც კი წარმოიდგენ, რომ ეს უსუსური ნაკადული, გადარეული ერთბაშად ფარავს 500-600 მეტრი დიამეტრის ფართობს და უზარმაზარ ლოდებს ბურთივით მოათამაშებს. ერთ-ერთი, რომელიც ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოუგორებია, 220 ტონას იწონის და ილიასეულ გაბიონთან ახლაც დგას. ყვარელში ამბობენ, ბადრი პატარკაციშვილს მოეწონა და თბილისში წაღება დაუპირა, მაგრამ წასაღები საშუალება ვერ იპოვაო.

დურუჯის კალაპოტის გასწვრივ რამდენიმე სუსტი წერტილია, საიდანაც მდინარეს გამანადგურებელი დარტყმის მიყენება შეუძლია ქალაქისა და მისი მიმდებარე სოფლებისთვის. პირველი სუსტი წერტილი ყვარლის სამგორის ველზეა, სამალის ხევის შესართავთან. სამი მთის შუაგულში, უზარმაზარ ქალაში, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გამალებული მშენებლობა მიმდინარეობს. როგორც გაირკვა, საქართველოს გზების დეპარტამენტი ყორებეტონის კედელზე უზარმაზარ გაბიონს, ანუ რკინის ბადურაში შეკრულ ქვებ-



ხიდის ბურჯები წყლიდან 10 მეტრამდე იყო დაშორებული, ახლა ხიდსა და მდინარის ფსკერს 2 მეტრილა აშორებს

## ხელისუფალნო, მდინარის გაცოფება ყოველ წამს არის მოსალოდნელი!

უკანასკნელად (უფრო ხშირად წყალმოვარდნებია) 1999 წელს მოვარდა. ყვარელში იხსენებენ, რომ იმ დღეს, 28 აგვისტოს, პაპანაქება სიცხე იყო, უცებ წვიმამ დასცხო და ქარიშხალი ამოვარდა. შავი კლდის ძირში დაგუბებული მასა დაიძრა და ხეობა თვალის დახამხამებაში დაიფარა უზარმაზარი ლოდებით. მაშინ ქალაქი წალეკვას სასწაულებრივად გადაურჩა ძირითადი დამცავით, თუმცა უკვე ამორტიზებული დამბის წყალობით. პირველი ტრაგედიის შემდეგ, ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით აუგიათ აქ ქვის გაბიონი, რომელიც გასული საუკუნის ორმოციანი წლების ბოლომდე იცავდა ქალაქს. 1949 წელს მან ქვაღორღიანი მასის დარტყმას ვეღარ გაუძლო და ისევ დატრიალდა ტრაგედია. ათეული წლების წინ ღვარცოფისა და წყალდიდობისგან მოსახლეობის დასაცავად ნაპირები რამდენჯერმე გაამაგრეს დამბებით. მეცნიერები ჩივიან, რომ ამ კედლებმა თავისი დრო მოჭამეს და თუ შესაბამისი ორგანიზაციები სასწრაფოდ არ იღონებენ რამეს, კატასტროფა გარდაუვალი იქნება — ღვარცოფი ქალაქს დაანგრევს. ყვარელში ჩვენი ჩასვლისას უფრო საგრძნობი გახდა საგანგაშო პროგნოზი. აქაურები ამბობენ, ღამით ხეირიანად ვერ დაგვიძინია დურუჯის შიშით. ალბათ, ღვარცოფი რომ ჩაგვაქვესკნელებს, მთავრობა მერე დაიწყებს წუწუნს, ეს რა დაგვემართაო.

ჩვენ არაერთხელ გაგვიშუქებია ლაგოდეხის რაიონში წყალში ჩაძირული ტყის პრობლემა, ჯერ კიდევ 2-3 წლის წინ სწორედ „კვირის პალიტრის“ საშუალებით ითქვა, რომ თუ მდინარე კაბალის კალაპოტი დროზე არ გაიწმინდებოდა, ტრაგედია დატრიალდებოდა. სამწუხაროდ, ეს პროგნოზი ერთი თვის წინ გამართლდა. კალაპოტიდან გადმოვარდნილმა მდინარემ ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობას დიდი ზარალი მიაყენა და ერთი ახალგაზრდა მესაზღვრეც იმსხვერპლა. მხოლოდ ამ ტრაგედიის შემდეგ დაიწყო ხელისუფლებამ ჭიაურის ტყის პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა, ყვარლელებს დურუჯის ხეობაში იმავეს განმეორების ეშინიათ.

...გზას მდინარის სათავისკენ მივუყვები, მგონია, სამანქანო ტრასაზე ვდგავარ. მეგზური, ყვარლელი **თამაზ ნაზარიშვილი** მიხსნის, რომ ეს ნაპირსამაგრი დამბაა, რომელიც გასული საუკუნის სამოციან წლებში აშენდა. „ამ ყორებეტონის კედელმა ბევრჯერ გადაგვარჩინა წყალდიდობისგანაც და ღვარცოფისგანაც, მაგრამ ახლა ძალა აღარ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ 40 მეტრი სიგანისაა, ღვარცოფად წამოსულ დურუჯს 2-3 საათი სჭირდება მის გასანგრევად. ძირს გამოუთხრის, მერე კი მთელ კედელს ქვის ნაკადთან

ის კედელს აშენებს. პირველ ეტაპზე კედელი 160 მეტრის სიგრძეზე და 3 მეტრის სიმაღლეზე აშენდება, შემდეგ სიმაღლეში კიდევ დაემატება 4 მეტრი. შესაბამისად, ამ მონაკვეთში დარტყმისგან დაცული იქნება ქალაქი. ღვარცოფის პირველ დიდ დარტყმას ეს კედელი მიიღებს, შემდეგ ტალღა უკან გადავარდება კალაპოტში, რომელსაც მთელ სიგრძეზე გასდევს უზარმაზარი ამორტიზებული დამბა.

**გივი გავარდაშვილი:** — პროექტი ექსპერტიზაზე ჩვენ გადმოგვეცა. გავიგნდი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ყვარლის დურუჯისგან დაცვას თხელი რკინაბეტონის ფილების კედლით აპირებდნენ. მოვითხოვე დიდი გაბიონი აშენებულიყო. საბედნიეროდ, გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ მხარი დამიჭირა და პროექტი შეცვალეს.

> მეცნიერები ჩივიან, რომ ამ კედლებმა თავისი დრო მოჭამეს და თუ შესაბამისი ორგანიზაციები სასწრაფოდ არ იღონებენ რამეს, კატასტროფა გარდაუვალი იქნება – ღვარცოფი ქალაქს დაანგრევს. ყვარელში ჩვენი ჩასვლისას უფრო საგრძნობი გახდა საგანგაშო პროგნოზი. აქაურები ამბობენ, ღამით ხეირიანად ვერ დაგვიძინია დურუჯის შიშით. ალბათ, ღვარცოფი რომ ჩაგვაქვესკნელებს, მთავრობა მერე დაიწყებს წუწუნს, ეს რა დაგვემართაო...

რაიონის გამგებლის მოადგილე **ზურაბ ფეიქრიშვილი** ეჭვობს, რომ თბილისში კარგად არა აქვთ გაცნობიერებული ყვარელში არსებული საფრთხის არსი: „წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობაში არავინ იტყოდა, ფული არ გვაქვს და დურუჯის პრობლემაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევიაო. მართალია, ამ საქმეს მილიონები სჭირდება და ერთბაშად არც ამხელა თანხის მოძიებაა იოლი, მაგრამ კალაპოტიდან ნაშალის გატანა კი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. დამცავი კედელი თავის ფუნქციას მხოლოდ ამ შემთხვევაში შეასრულებს, თუ არა და იგი ორ-სამ წელიწადში უვარგისი გახდება. 20 წელია აქაურობა არ გაწმენდილა. ამიტომაც მდინარის კალაპოტი ქალაქის დონეზე 7-8 მეტრით მაღლა მოექცა.

მდგომარეობა რომ მართლაც საგანგაშოა, ეს ყველაზე უკეთ ყვარელი-თელავის ცენტრალურ საგზაო მაგისტრალზე ჩანს. ამ მონაკვეთზე არსებული ხიდი, რომლის ბურჯების სიმაღლე წყლის დონიდან ოდესღაც 10 მეტრამდე იყო, დღეს მხოლოდ მეტრ-ნახევრის სიმაღლეზე ჩანს, დანარჩენი მდინარის ნატანშია ჩაფლული. კალაპოტის ორივე მხარეს აშენებული ნაპირსამაგრი დამბებიც თითქმის კალაპოტის დონეზეა გასწორებული.

გივი გავარდაშვილის განმარტებით, როდესაც წყალდიდობები ხშირია, მდინარის სათავის ნატანისგან დროდადრო გამოთავისუფლება ბუნებრივად ხდება. იმ შემთხვევაში, თუ წყალდიდობებს რეგულარული ხასიათი არ აქვს, დურუჯის გაცოფება ყოველ წამს არის მოსალოდნელი.

P.S. დღეს დურუჯი მშვიდია, მაგრამ ხვალ, ღმერთმა იცის, თუ აბობოქრდა, რა მოხდება.

**ეკა ლომიძე**

## მსოფლიო რეიტინგები

### ყველაზე პოპულარული და მაღალშემოსავლიანი ვარსკვლავები



ჟურნალმა „ფორბსმა“ კინოს, ტელევიზიის, მუსიკისა და სპორტის სფეროში ყველაზე მაღალშემოსავლიანი და პოპულარული ვარსკვლავების ასეული გამოაქვეყნა. პირველ ადგილზე ტომ კრუზია, მიუხედავად იმისა, რომ მან შარშან მხოლოდ 67 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. კრუზი უკვე მეორედ მოხვდა პოპულარულთა რეიტინგის სათავეში — მანამდე ანალოგიურ ჩამონათვალში ის 2001 წელს აღმოჩნდა პირველ ადგილზე.



როკის ვეტერანი Rolling Stones-ი მეორე ადგილზეა, ხოლო შარშანდელი რეიტინგის ლიდერი, ცნობილი ამერიკელი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი წელს მესამე ადგილზეა 225 მილიონდოლარიანი შემოსავლით.

პოპულარულთა შორის ყველაზე მაღალშემოსავლიანი კინორეჟისორი სტივენ სპილბერგია — წელიწადში 332 მილიონი დოლარით ის „ფორბსის“ სიაში მეექვსე ადგილზეა.

ყველაზე მდიდარი სპორტსმენი „ფორბსის“ ვერსიით გოლფის მოთამაშე ტაიგერ ვუდსია. მან 90 მილიონი დოლარით მეხუთე ადგილი დაიკავა.

ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი, ამერიკელი რადიოწამყვანი ჰოვარდ სტერნი მეშვიდე ადგილს ფლობს.

ათეულს სკანდალური წიგნის „და ვინჩის კოდის“ ავტორი, მწერალი დენ ბრაუნი ასრულებს. წიგნი მთელ მსოფლიოში 61-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. ათეულში ვერც წელს მოხვდა ბრედ პიტი — შარშან ის მხოლოდ მეთერთმეტე ადგილზე იყო, წელს კი — მეოცეზეა. მისი ყოფილი მეუღლე ჯენიფერ ანისტონი და ახლანდელი მეგობარი ანჯელინა ჯოლი კი „ფორბსის“ ჩამონათვალშიც „მეზობლები“ აღმოჩნდნენ და 35-ე და 36-ე პოზიციაზე იმყოფებიან.



ათეული ასე გამოიყურება:

1. ტომ კრუზი;
2. Rolling Stones;
3. ოპრა უინფრი;
4. U2;
5. ტაიგერ ვუდსი;
6. სტივენ სპილბერგი;
7. ჰოვარდ სტერნი;
8. 50 Cent;
9. სერიალ „სოპრანოს კლანის“ მსახიობთა შემადგენლობა;
10. დენ ბრაუნი.

### სად ცხოვრობენ ყველაზე თავაზიანები

მსოფლიოს 35 უდიდეს ქალაქის მცხოვრებთა შორის ყველაზე თავაზიანი ნიუ-იორკის მოსახლეობაა.

პოპულარული ამერიკული ჟურნალის „რიდერს დაიჯესტის“ თანამშრომლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და კონტინენტზე ერთი მიზნით გაეშურნენ — დაეთვალათ, თუ რამდენი ადამიანი გააღებდა კაფეში შესასვლელ კარს მათ




წინ, რამდენი მიაწვდიდა ხელიდან გავარდნილ გაზეთს და რამდენი გამყიდველი გადაუხდიდა მადლობას მას შემდეგ, როცა ისინი რამეს იყიდდნენ.

ნიუ-იორკში „შემოწმება“ კაფე „Stabucks“-ში ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ შემთხვევათა 90%-ში მოქალაქეებმა ხელი შეაშველეს კაფეში შესასვლელ კარს, როცა ჟურნალისტები შიგნით შედიოდნენ; ოციდან ცხრამეტმა მოლარემ მათ მადლობა გადაუხადა, ძირს დავარდნილი გაზეთი კი ექსპერიმენტის უნებლიე მონაწილეთა 55%-მა მიაწოდა.

საერთო ჯამში ნიუ-იორკელებმა 80 ქულა მოაგროვეს, ციურიხელებმა — 77, ხოლო ტორონტოელებმა — 70. ჟურნალის პირველ ათეულში მოხვდნენ ასევე ქალაქები — ბერლინი, სან-პაულუ, ზაგრები, ოკლენდი (ახალი ზელანდია), ვარშავა, მეხიკო და სტოკჰოლმი. მოსკოვისა და სინგაპურის მოქალაქეებმა — 42, სეულის — 40, ბუქარესტის მცხოვრებლებმა კი 35 ქულა დაიმსახურეს.

თავაზიანობაში ყველაზე მეტად ინდოეთის ქალაქ მუმბაის (32 ქულა) მოსახლეობა მოიკოჭლებს.

# მოსკოვურ ბომონდში შემთხვევით ვერავინ ხვდება

(დასაწყისი გვ.20)

— **ქეთამ როდის გაიგო, რომ შეიძლებოდა „A-სტუდიოს“ სოლისტი გამხდარიყო?**

— ყველაზე ბოლოს... მართალია ამ ამბავს მშვიდად შეხვდა, თუმცა, ალბათ, ბოლომდე არც მას სჯეროდა, რომ ასე მოხდებოდა. მოლაპარაკებებს მე ვაწარმოებდი, ამიტომაც საქართველოში ჩამოსვლის, ქეთას მოსმენისა და გადალების შემდგომ დავიწყე „A-სტუდიოსთან“ უკვე არა მეგობრული, არამედ საქმიანი ურთიერთობა. გვქონდა პრობლემები, აყოვნებდნენ გადაწყვეტილების მიღებას და გასაგებიც იყო — ჯგუფს, რომელიც რუსეთში „ლეგენდად“ აღიარეს, სოლისტის არჩევისას შეცდომა არ უნდა დაეშვა. მოლაპარაკებებს ორი თვე და უძილო ღამეები დასჭირდა. ამ პერიოდში ქეთას არც ერთი ზედმეტი კითხვა არ დაუსვამს... არც მისთვის იყო ეს ჩვეულებრივი შემოთავაზება, ქეთას ცხოვრება, რომ იტყვიან, თავდაყირა დადგა.

— **ამჟამად რა ხდება, ამართლებს ქეთა თუ „A-სტუდიო“ ისედაც ლეგენდაა?**

— შარშან, დეკემბერში, კონკურსში „წლის სიმღერა“ სიმღერამ „Улетаю“ პირველი ადგილი დაიკავა, მაშინ, როცა ამ კონკურსზე ბოლო ხუთი წელი „A-სტუდიო“ წარმოდგენილიც არ ყოფილა. გარდა ამისა, ყველა საახალწლო პროექტში MTV-ზე, НТВ-სა და ყველა რუსულ არხზე იყო ქეთა და „A-სტუდიო“. ეს ძალზე მაღალი რეიტინგის მიმანიშნებელია.

— **შესაბამისად, ჰონორარებიც დიდი იქნება.**

— რა თქმა უნდა!

— **ანუ რისი უფლება შეუძლია თავს მისცეს?**

— ალბათ, დროთა განმავლობაში იყიდის სახლსა და მანქანას მოსკოვში.

— **ამაზე ოცნებობს?**

— „ვაიმე, სახლი და მანქანა მოსკოვში!..“ — ეგეთი ტიპი არ არის, უბრალოდ, მოსკოვში რომ ცხოვრობ, ეს გჭირდება. ქეთა სულ სხვა გოგონაა, მიზანდასახული, შრომისმოყვარე...

— **ახლა სად და ვისთან ერთად ცხოვრობს?**

— მოსკოვის ცენტრში, არაჩვეულებრივ სახლში (ოღონდ ნაქირავებში) დედასთან ერთად. ჰყავს ორი პატარა ძაღლი, პუჩი და გეთი.

— **გვერდით დედა რომ არა, ცხოვრების წესს შეიცვლიდა, ეს საფრთხე არსებობს?**

— ქეთა არის ისეთივე, როგორიც იყო — მხიარული, მეგობრული და არანაირად არ უშლის დედა ხელს. თანაც მაქსიმუმ ორ-ორი დღით თუ არის ხოლმე მოსკოვში, დანარჩენი სულ გასტროლებზეა და რომ ბრუნდება, ყველაფერი ისე ხვდება მოსკოვურ სახლში, როგორც აქ, თბილისში. ნატა ყველანაირად უწყობს ხელს ქალიშვილს...

— **ქეთას ლამაზად ჩაცმა უყვარს, ახლაც საკმაოდ გემოვნებით აცვია. იმიჯმეიკერი ჰყავს?**





— საერთოდ, ყველაფერს თავისი გემოვნებით არჩევს. თუმცა ცნობილი დიზაინერები თავის კაბებს სთავაზობენ. მაგალითად, იუდაშკინმა თავის ჩვენებაზეც გამოიყვანა. ბესო რაზმაძე, იგივე „ბესალინა“, რომელიც იუდაშკინის სახელოსნოს დირექტორია, ქეთას ყოველთვის ეხმარება.

— **ცნობილი მომღერლისა და ლამაზი ქალის პირადი ცხოვრებაც არანაკლებ აინტერესებთ თაყვანისმცემლებს...**

— ქეთა ძალიან ბევრს მოსწონს... თუმცა კონკრეტულად ვერაფერს გეტყვი...

— **ყველაფერს გიყვება?**

— როცა რამე სერიოზულია, რა თქმა უნდა. ზოგჯერ მეტყვის, იმას კი მოვწონვარ, მე არ მომწონს, ან ეგ ჭორიაო...

— **ჭორი, რომელიც ნატო დუმბაძეს უნდა, რომ სიმართლედ იქცეს... ანუ არის თაყვანისმცემლებს შორის ისეთი ვინმე, ვის გვერდითაც ქეთას ბედნიერად წარმოიდგენდი?**

— (იცინის) არის ასეთი ვინმე, ოღონდ არ დავასახელებ... ისე, ქეთამ ამაზე ჩემი აზრი იცის.

— **ქართველია?**

— რა თქმა უნდა, ქართველია!

— **„A-სტუდიოს“ ბიჭებმა ქეთას „ცხვირი ხომ არ აუწიეს“?**

— ქეთამ იცის, თავი როგორ დაიჭიროს, ზედმეტ სიტყვას არავის ათქმევინებს...

— **თბილისი არ ენატრება?**

— ენატრება რომელია, თუკი თავისუფალი ორი დღე მაინც გამოუჩნდა, თბილისში ჩამოდის.

— **კონცერტით ხომ არ აპირებს თბილისში ჩამოსვლას?**

— არ არის დაგეგმილი, ვნახოთ, არაფერია გამორიცხული.

**ინგა უბილავა**




## ჰოლივუდელი ძიძები



ჩვეულებრივ „ვარსკვლავური ძიძები“ თავიანთ მოგონებებს იმ შემთხვევაში ამზეურებენ, თუ დააჯარიმეს ან სამუშაოდან დაითხოვეს. ბოლო ორი წელია ყვითელი პრესის სასურველი რესპონდენტები დევიდ ბექჰემის და ვიქტორიას მოსამსახურეები არიან. ჯერ იყო და დევიდის პირადმა მდივანმა და ვიქტორიას ვიზაჟისტმა უამბეს ქვეყანას თავიანთ ინტიმურ კავშირზე ფეხბურთის ვარსკვლავთან (რამაც წყვილი ლამის განშორებამდე მიიყვანა). სკანდალების ამ ჯაჭვში ბოლო იყო ძიძა ები გიბსონი. ები ვიქტორიამ იმ მიზეზით დაითხოვა, რომ იგი თავისი ყოფილი ჭორიკანა ვიზაჟისტის გვერდით იხილა. პასუხად ძიძამ ჟურნალისტებთან თავი მოხსნა ტყუილების გუდას და დაუსრულებლად ყვებოდა ათასგვარ ამბებს.

როცა ბრიტნი სპირსის და კევინ ფედერლაინის 9 თვის შონძამ თავის ქალის სერიოზული ტრავმა მიიღო (გადმოვარდა გატეხილი საბავშვო სკამიდან), მისმა ვარსკვლავმა დედიკომ ძიძას სასამართლოში უჩივლა. ძიძამ კი იქით დაადანაშაულა დედ-მამა, — ჩხუბის დროს ყველაფერს ამსხვრევენ და ბავშვის სკამიც ალბათ მათ გატეხესო. ბრიტნიმ იგი დაითხოვა და ამჯერად მის პატარას გოლიათი მამაკაცი-ძიძა უვლის.

როცა ჯულია რობერტსმა ტყუპი გააჩინა, ძიძის აყვანა არც უფიქრია. ჟურნალისტებს კი გამოუტყდა, — იმდენ ხანს ველოდი შვილს, რომ მათ ახლა ვერაფრით ვანდობ უცხო ადამიანსო. თუმცა კი მერე, როცა პატარები ერთი წლისა შესრულდნენ, მსახიობმა ზანგი ძიძა დაიქირავა.

დეიზი რაიტმ, ჯუდ ლოუს 3 შვილის 26 წლის ძიძამ ყველაფერი იღონა მსახიობის შესაცდენად. მამიკოს რომანის შესახებ დედას 4 წლის აირისმა უამბო. ლოუს ყოფილმა ცოლმა მაშინვე დაითხოვა ძიძა. დეიზიმ ყველაფერი ჯუდს გადააბრალა, „შემაცდინაო“...



# ვლადიმერ გუცაევი: „გერმანია უპირველესი ფავორიტია“

განვლილი კვირის ყველაზე დიდ მოულოდნელობად ქვეჯგუფში ჩეხეთის ნაკრების ჩარჩენა იქცა. მერვედფინალს მიღმა დარჩენასთან საკმაოდ ახლოს იყო საფრანგეთის ნაკრებიც, თუმცა, „მამლებმა“ მობილიზება მოახერხეს და ესპანელებთან ერთად, მერვედფინალის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წყვილიც შექმნეს. არანაკლებ დამაინტრიგებელი იქნება დანარჩენი მატჩებიც — შაბათ-კვირას გამართულმა შეხვედრებმა ოთხი მეოთხედფინალისტი უკვე გამოარჩინა, რამდენიმე ნაკრები კი დღეს-ხვალ გაარკვევს შემდეგ ეტაპზე გამსვლელთა ვინაობას. თუმცა, მანამდე საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნისა და ვეტერანი ფეხბურთელის პოზიცია-პროგნოზებს გაეცანით.

**გიორგი ნემსაძე:** — მსოფლიო ჩემპიონატი ისე საინტერესოდ მიმდინარეობს, როგორც ფეხბურთის ყველა მოყვარული ინატრებდა. არც ბევრი მოულოდნელობა ყოფილა. რა თქმა უნდა, რამდენიმე გაუთვალისწინებელი შედეგი დაფიქსირდა, თუმცა, ხმაურიანი სენსაცია ჯერ არ მომხდარა. მერვედფინალებიდან ნებისმიერი მატჩი სულ უფრო დაძაბული და საინტერესო ხდება. გამორიცხული არ არის, რაც ჯგუფურ ეტაპზე დაგვაკლდა, ახლა „ავინაზღაუროთ“ და სენსაციური შედეგების მოწმენი გავხდეთ.

**— აქამდე მომხდარიდან ყველაზე მოულოდნელად რას დაასახელებთ?**

— საფრანგეთის ნაკრების თამაშს. საწყის ორ შეხვედრაში მათ გარჯას „წვალების“ გარდა ვერაფერს დაარქმევ. ფრანგებმა მხოლოდ ტოგოელთა ძლევით მოახერხეს მერვედფინალში გაღწევა და ისიც — მეორე ადგილიდან. არცთუ ისე ძლიერ ქვეჯგუფში მოთამაშე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონისაგან აშკარად მეტს ელოდნენ. იმის მიუხედავად, რომ ეს ნაკრები დიდად არ მომწონს, ფაქტია — ესპანელებს ძალზე არასასიამოვნო მეტოქე ერგოთ.

**— განსაკუთრებით რომელი მატჩი მოგეწონათ?**

— კარგი იყო იტალიის პირველი მატჩი, ურიგოდ არ უთამაშია ბრაზილიას ხორვატებთან შეხვედრის პირველ ტაიმში... რა გითხრათ, საკმაოდ ბევრი იყო ლამაზი და თვალსასეირო მატჩი. კარგია, რომ მოლოდინი გაგვიმართლდა და ძალზე საინტერესო ჩემპიონატს ვუყურებთ.

**— ვიცი, რომ ბრაზილიის გულშემატკივარი ხართ. ამ გუნდის გამოსვლაზე რას იტყვით?**

— იმ გუნდების თამაში მომწონს, ბურთთან „ურთიერთობა“ რომ არ ეშლებათ და ბუნებრივია, ბრაზილია ჩემი ფავორიტია. საწყის ტურებში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა არცთუ ისე კარგად ითამაშეს, თუმცა სასურველ შედეგს უპრობლემოდ მიაღწიეს და ახლა მერვედფინალისთვის ემზადებიან. იაპონიასთან მატჩში გუნდმა თავისუფლად, ლაღად ითამაშა და იმის მიუხედავად, რომ ჯგუფში პირველი ადგილი უკვე „დაჯავშნული“ ჰქონდა, ქომაგი ლამაზი გოლებითა და თამაშით გაართო.

**— და ჩემპიონობის მთავარი ფავორიტიც არის?**

— წინასწარ ამის თქმა ძალზე ძნელია. ბრაზილიასთან ერთად, ჩემპიონობისთვის ბრძოლა არგენტინას და გერმანიასაც შეუძლიათ.

**— მასპინძლებზე აუცილებლად უნდა გკითხოთ — გერმანიის ნაკრებზე რა აზრი გაქვთ?**

— გერმანია შინაურ კედლებში თამაშობს და ეს ძალზე დიდ უპირატესობას აძლევს. მერე კიდევ, ეს მართლა ამოუცნობი გუნდია და წინასწარ ვერაფრით განსაზღვრავ, რა შეუძლია და რა — არა. მაგალითად, წინა მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანელები ფინალში გავიდნენ, არადა, ვფიქრობდი, არათუ ჩემპიონატის უმთავრეს მატჩში, მეოთხედფინალში გასვლაც გაუჭირდებოდათ. ყველამ კარგად იცის, ხასიათის როგორი სიმტკიცითა და დისციპლინით გამოირჩევა ეს ნაკრები, შინ თამაშიც ბევრს ნიშნავს და...

**— ამ ჩემპიონატზე თუ არის თავდამსხმელი, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ...**

— ასეთი ბევრია. მსოფლიო ჩემპიონატზე მოთამაშე თავდამსხმელთა უმეტესობის თამაშები ნანახი მაქვს და უნდა აღვნიშნო, რომ თითქმის ყველა მათგანი შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენს. გამორჩეულად ვადევნებ თვალს რონალდინიოს თამაშს. ბრაზილიელ სუპერვარსკვლავს ჯერ გასაგიჟებელი არაფერი უჩვენებია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი წინ არის და ეს ფეხბურთელი აუცილებლად გაიბრწყინებს. თანაც, რაც უფრო ვუახლოვდებით ფინალს, ამა თუ იმ ვარსკვლავის თამაში სულ უფრო თვალში საცემი ხდება. და რაც უფრო მეტ რთულ ეტაპს გადალახავს ბრაზილია, რონალდინიო უფრო და უფრო „გამოჩნდება“.

**— ბოლოს, მერვედფინალის იმ დაპირისპირებებზეც ვთქვათ, რომლებიც მიმდინარე კვირას გაიმართება.**

— მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიამ ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა, ავსტრალია-იტალიის წყვილში ფავორიტად ისევ იტალია რჩება. ვფიქრობ, აპენინელები, პირველ რიგში, კლასის ხარჯზე გაიმარჯვებენ. რაც შეეხება ბრაზილია-განას დაპირისპირებას, აქ უდავო ფავორიტი მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონია. განელებს სიმპათიური გუნდი ჰყავთ და მერვედფინალში შემთხვევით არ გასულან, თუმცა, არა მგონია, ბრაზილიელებს პრობლემები შეექმნათ.

უკრაინა-შვეიცარიის დუელში უკრაინელებს ვანიჭებ უპირატესობას. მერვედფინალის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დუელი კი ჰანოვერში გაიმართება. ფრანგებს ძალზე გამოცდილი და ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ, მაგრამ მე ესპანელებს ვუქომაგებ და მინდა, სწორედ ამ ნაკრებმა გააგრძელოს გზა მეოთხედფინალისკენ...

**ვლადიმერ გუცაევი:** — ჯგუფური ეტაპის მატჩებით კმაყოფილი ვარ. წინა ჩემპიონატებთან შედარებით, გაცილებით სანახაობრივი შეხვედრები ვნახეთ. ძალიან მომეწონა გერმანიის ნაკრები — მობილური ნახევარდაცვა, სწრაფი ფორვარდები ჰყავთ, ძალიან არც დაცვაში უჭირთ და მეკარეც მაღალი კლასის არის. ისევე როგორც ყველა, მეც უკმაყოფილო ვარ ფრანგების თამაშით. ამხელა გამოცდილებისა და კლასის გუნდი ასე არ



უნდა თამაშობდეს. მეტს მოველოდით ბრაზილიელებისგანაც. ჩემი აზრით, მწვრთნელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ნელა მოთამაშე ემერსონი სწრაფი ნახევარმცველებით შეცვალა. ცუდად ჩაატარეს საწყისი ორი მატჩი რონალდომ და ადრიანომ.

**— როგორც ამბობენ, ძველი რონალდოსგან მხოლოდ აჩრდილია დარჩენილი. თუმცა, იაპონელებთან შესრულებულმა დუბლმა იგი ისტორიულ შედეგთან მიაახლოვა — მსოფლიო ჩემპიონატებზე ბრაზილიელს უკვე 14 გოლი აქვს გატანილი და გერდ მიულერის მიღწევაც გაიმეორა. ერთი გოლიც და, რონალდო მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდება...**

— იმის მიუხედავად, რომ ბოლო დროს ძველებურად ვეღარ თამაშობს, რონალდო უკვე კარგა ხანია ისტორიაში შევიდა. ამ ფეხბურთელს ახლა შესანიშნავი შანსი აქვს, მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირად იქცეს. რაც არ უნდა წონაში მომატებული და სისწრაფედაკარგული იყოს, ერთი გოლის გატანას მაინც მოახერხებს და მიულერის რეკორდს მოხსნის.

**— მიმდინარე ჩემპიონატზე რომელი მატჩი მოგეწონათ ყველაზე მეტად?**

— გერმანელთა მიერ ეკვადორთან ნაჩვენები თამაში. იმ დღეს მასპინძლებმა დაამტკიცეს, რომ ძალზე ძლიერი გუნდი ჰყავთ — ახალგაზრდული, შემტევი, მებრძოლი ხასიათის. თავი გამოიჩინა ბალაკმაც. იმის გარდა, რომ ბევრს შრომობს, უზუსტესი გადაცემების „დარიგებაც“ შეუძლია თანაგუნდელთათვის. მისი სახით გერმანელებს აშკარა ვარსკვლავი ჰყავთ...

**— როგორც ვხედავ, წლევანდელი ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად გერმანია მიგაჩნიათ...**

— რა თქმა უნდა, მერვედფინალიდან ყველა გუნდი უფრო ძლიერად ათამაშდება, რათა ჩემპიონატს არ დაემშვიდობოს, მაგრამ თუ ჯგუფურ ეტაპზე ნაჩვენებ თამაშს გავითვალისწინებთ, გერმანია უპირველესი ფავორიტია. შინაური კედლებიც დაეხმარებათ, მაგრამ მასპინძლებს მართლა ძლიერი ნაკრები ჰყავს.

**— თქვენ ვისი გულშემატკივარი ხართ?**

— გამოკვეთილი ფავორიტი არ მყავს. მე უფრო სანახაობრივ ფეხბურთს ვგულშემატკივრობ. აქამდე გერმანიის ნაკრების თამაში არ მომწონდა და ამას ხშირად აღვნიშნავდი, მაგრამ ამ ტურნირზე კლინსმანმა ისეთ შემადგენლობას მოუყარა თავი და ისე აათამაშა, მათ გამოსვლას სიამოვნებით ვადევნებ თვალს.

**— ამ ჩემპიონატზე სიახლეებს უნდა ველოდოთ?**

— არა მგონია ეს მუნდიალი რაიმეთი განსაკუთრებული გამოდგეს, ყველა პერიოდს საკუთარი „სიჩქარეები“, ტაქტიკური მონახაზები აქვს და ალბათ, ასე იქნება ახლაც. გერმანიის სტადიონებზე ძალზე ბევრი ორთაბრძოლაა და მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ამ კომპონენტს დღეს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი რამ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც იყო, მერე ჰოლანდიელებმა „ტოტალური ფეხბურთი“ შემოიტანეს და ამ ტაქტიკას დღესაც ბევრი გუნდი იყენებს. გათანაბრდა საერთო დონეც და როცა ერთმანეთს ხვდებიან, ის გაიმარჯვებს, ვინც მოცემულ მომენტში უკეთ იქნება მზად. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აფრიკულმა გუნდებმაც. მართალია, ტაქტიკური განსწავლულობით ჯერ ევროპელებს ვერ შეედრებიან, მაგრამ ამის დროც მოვა...

**— შესანიშნავ თავდამსხმელს — ვოვა გუცაევს რომელი ფორვარდი მოსწონს ყველაზე მეტად?**

— ძალიან მომეწონა გერმანიის ნაკრების ორივე ფორვარდი — კლოზეც და პოდოლსკიც, ჩინებული თავდამსხმელები არიან. კლოზე უფრო „მიმწოლია“, ბომბარდირული თვისებებით დაჯილდოებული ფეხბურთელია; პოდოლსკი სწრაფი, ტექნიკური მოთამაშეა. ბრაზილიელებიდან რობინიო მომწონს, არგენტინელებიდან — ტევესი... მოკლედ, თანამედროვე ფეხბურთში დღეს ბევრი მაღალი კლასის ფორვარდია, მსოფლიო ჩემპიონატი კი მათი „ახლოდან“ ნახვის შესაძლებლობას გვაძლევს. მეტს ველი რონალდინიოსგან. იმ ფუნქციებს, რაც ევალება — გუნდის გაძღოლა, პასების დარიგება, ჯერჯერობით ჩვეულად ვერ ართმევს თავს. თუმცა, იმედია, მალე გაიბრწყინებს.

**— ბოლოს, მერვედფინალებზეც გვითხარით თქვენი აზრი...**

— იტალია-ავსტრალია კარგი თამაში უნდა იყოს. ავსტრალიელებს საინტერესო, ფიზიკურად ძლიერი გუნდი ჰყავთ და ჯგუფიდანაც არ გასულან შემთხვევით. თუმცა, მაინც იტალია გაიმარჯვებს, რადგან უფრო გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს და უდიდეს საფეხბურთო ქვეყანას წარმოადგენს. იმავეს თქმა შეიძლება ბრაზილია-განას წყვილზეც. ბრაზილიელებმა რომ ეს ეტაპი ვერ გადალახონ, მათი რეიტინგი კატასტროფულად დაეცემა... ისე კი, არა მგონია, განამ სასწაულის მოხდენა შეძლოს.

ყველაზე დაძაბული ესპანეთისა და საფრანგეთის დაპირისპირება უნდა გამოდგეს. რომ შევადაროთ, ესპანეთი უფრო კარგი გუნდია. კი, ფრანგებს გამოცდილი, მაღალი კლასის მოთამაშეები ჰყავთ, მაგრამ ესპანელები შემსრულებლებით სჯაბნიან... რაც შეეხება უკრაინა-შვეიცარიის წყვილს, აქაც თანაბარი ბრძოლა იქნება. თუმცა, ბუნებრივია, უკრაინას ვგულშემატკივრობ. ჯერ ერთი, ჩვენი მეგობარი, ყოფილი საბჭოთა ქვეყანაა, თანაც, მათი მთავარი მწვრთნელი, ოლეგ ბლოხინიც ჩემი მეგობარია.

თქვენი დაბალანსებული
ცხოვრება

ბალანსი მაგთიში...
ბალანსი ცხოვრებაში...



ცვლილება თქვენს სასარგებლოდ

ხართ მაგთის წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტი?
ამიერიდან
- თუ ანგარიშზე გაქვთ თანხა, თქვენი ნომერი აქტიური იქნება ბოლო გადახდიდან მთელი 1 წლის განმავლობაში, ანუ შეძლებთ დარეკვას, შეტყობინების გაგზავნას, და ა. შ.
- თუ ანგარიშზე ამოგეწურებათ თანხა, გინარჩუნდებათ გარანტირებული შემომავალი ზარი ბოლო გადახდიდან 1 წლის განმავლობაში.
- შემომავალი ზარების გათიშვის შემდეგ 1 წლით გინარჩუნდებათ ნომერი.
- თქვენი ადგილობრივი ზარები აღირიცხება და იანგარიშება 1 წამის სიზუსტით.

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

## ფოტო განწყობისათვის



მელბურნის ზოოპარკის ბინადარმა სპილომ ხორთუმით ხატვა ისწავლა და თანაც ისე მოხერხებულად, რომ მისი ტილოები აუქციონზე ისეთივე წარმატებით იყიდება, როგორც ცნობილი თანამედროვე მხატვრებისა!..

### წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კუმისი; 5. სუტანა; 9. მგელი; 11. აჩრდილი; 12. დიკენსი; 13. ატამი; 14. აბელარი; 17. გვირილა; 18. ტაქსა; 20. ოუენი; 21. დეფექტი; 24. აზბესტი; 28. ქვავი; 31. რეიგანი; 32. ენოლოგი; 33. ორგია; 34. იდილია; 35. რიბერა.

**შვეულად:** 1. კოკარდა; 2. მედრესე; 3. სიცილია; 4. კენია; 6. უნიკუმი; 7 ამანათი; 8. ასპინძა; 9. მზია; 10. იოდი; 15. ინტერპოლი; 16. შუქი; 17. გრამატიკა; 19. დელი; 21. დავრიში; 22. ფორინტი; 23. ქამანდი; 25. ბინოკლი; 26. სოფოკლე; 27. ინდიანა; 28. ჭიგო; 29. ამაგი; 30. იენა.

25/VI ახალი მთვარე

28,29,30/VI 1/VII მაგნიტური დღეებია



**თარაზულად:** 1. უბანი თბილისში; 6. მწერი; 7. მწვერვალი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე; 8. ცხენბურთი; 9. გადასახურავი მასალა; 10. ბიბლიის ათი მცნება; 14. მტკიცე პირობა; 16. კუნთების ტკივილის შეტევა; 18. სასვენი ნიშანი; 19. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი; 22. ჰოლანდიელი მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონი 1935-37წ.წ.; 23. პორტუგალიელი ფეხბურთელი; 24. იაპონური ავტომობილი; 26. ჭადრაკის ფიგურა; 27. მე-17 საუკუნის ინგლისელი პოეტი, ავტორი პოემისა „დაკარგული სამოთხე“; 31. დაუკოდავი მამალი ცხვარი; 33. იგივეა, რაც თოჯინა; 34. სამხედრო ფორმის პალტო; 35. მუსლიმანთა მოსამართლე; 36. დიდი თხოვნა, ხვეწნა; 37. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 38. ხელოვნური თმა.

**შვეულად:** 1. სქელი წინდისებური უძირო ნაქსოვი; 2. კორიდორი; 3. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგი; 4. ქალაქი იტალიაში; 5. ცის ქვეშ დანთებული დიდი ცეცხლი; 10. კანის ანთება; 11. დიდი სწრაფმავალი სამხედრო გემი; 12. ტოგოს დედაქალაქი; 13. მიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 15. პურის სოკო; 17. სისხლის შედედების უნარის დაკარგვა; 19. ღვინის საწყაო, დაახლოებით უდრის ერთ ფუთს; 20. სამხედრო მოსამსახურის ალკაზმულობა, გარდა იარაღისა და ტანისამოსისა; 21. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან გამოსახულება; 25. ამერიკელი მსახიობი ... კრუზი; 26. ფრანგული ვაზის ჯიში; 28. ფოთლოვანი ბოსტნეული მცენარე, იხმარება მხალად; 29. შეძახილი კორიდაზე; 30. ილია ჭავჭავაძის პოემა; 31. ყვავილი; 32. თვალის გუგის შიგნითა გარსი; 33. ბუდისტური სამლოცველო.




ყოველ სამშაბათს
ყველაფერი ბომონდის შესახებ


## რემბო–60!



შეუდარებელ რემბოს ახლახან 60 წელი შეუსრულდა. საზეიმო წვეულება გაიმართა ლას-ვეგასში, სტალონეს რესტორანში. სლაის დაბადების დღე მიულოცეს კოლეგებმა — „პლანეტა ჰოლივუდის“ რესტორნების მფლობელმა მსახიობებმა: ბრიუს უილისმა, დევიდ სპეიმ, ჯონ ტრავოლტამ, კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა. ზეიმს უძღვებოდა იუბილარის მეუღლე ჯენიფერ ფლავინი.

საღამო დისკოს სტილისა გახლდათ. 70-იანი წლების ვარსკვლავმა ტომ ჯონსმა სტალონეს სერენადა უმღერა. საჩუქარი სლაიმაც უძღვნა თავის თავს — კინოეპოპეის მეოთხე ნაწილი ვიეტნამის ომის ვეტერან ჯონ რემბოზე. ფილმი ეკრანზე გაისად გამოვა.


„კვირის პალიტრის“ რედაქცია სათანამშრომლოდ იწვევს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ პროფესიონალ ჟურნალისტებს.

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ (ტელ.: 899 90-31-38)

ან მობრძანდეთ რედაქციაში ოთხშაბათს, 15-დან 17 საათამდე.


## პენელოპა კრუსი კვლავ მარტოა



სამუშაოსა და პირადი ცხოვრების შეთავსება არ არის იოლი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ლაპარაკია პენელოპა კრუსსა და მეთიუ მაკონახზე. ერთი სიტყვით, „მადრიდელი მადონა“ და 2005 წლის „ყველაზე სექსუალური მამაკაცი“ (ჟურნალ PEOPLE-ის გამოკითხვით) ერთად აღარ არიან.

მსახიობებმა ერთმანეთი შარშან გაიცნეს სათავგადასავლო ფილმის, „საჰარას“ გადაღებისას და მალევე სხვადასხვა მიმართულებით გასწიეს. კრუსი მექსიკაში გაფრინდა ფილმ „ბანდიტ ქალში“ სათამაშოდ, ხოლო მაკონახი — ჰოლივუდში, რომანტიკული კომედიის, „სიყვარული და სხვა უსიამოვნებები“, გადაღებებზე.

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ძნელია ურთიერთობის შენარჩუნება. ამიტომ გადაწყვიტეს, მეგობრულად დაშორებოდნენ ერთმანეთს...

## ჰიუ გრანტი ცოლს ირთავს

ცნობილი ბერბიჭას ცხოვრებაში მალე დიდი ცვლილება მოხდება — მსახიობი ქორწილისთვის ემზადება. 45 წლის ჰიუ გრანტი ცოლად ირთავს 32 წლის ჯემაიმა ჰანს, ბრიტანელი მილიარდერის, ჯეიმს გოლდსმიტის ქალიშვილს. თურმე შეყვარებულები ნახევარი წელია, დანიშნულები ყოფილან. ქალისთვის ცოლობა გრანტს საშობაო არდადეგებზე, კუნძულ ბარბადოსზე უთხოვია, სადაც ისვენებდნენ. ნიშნად სიყვარულისა და ერთგულებისა, ულამაზესი ბრილიანტისა და საფირონის თვლებით მოოჭვილი ბეჭედიც მიურთმევია.



თუ ხელი არაფერმა შეუშალა, მალე ჰიუ გრანტი ოჯახის უფროსად მოგვევლინება.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49

ტელ.: რედაქცია: 389-888; რეკლამა: 377-807, ფაქსი: 987-444

news@kvirispalitra.com

www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.